დავით ქართველიშვილი • ახალი წიგნი

ეძღვნება ანა ციციშვილს.
ერთმანეთს შევხვდით და
ერთმანეთი მკვდრეთით აღვადგინეთ.

დავით ქართველიშვილი

ახალი წიგნი

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

დავით ქართველიშვილი
ახალი წიგნი
რომანი
პირველი გამოცემა, თბილისი 2008

© დავით ქართველიშვილი, 2008

ყველა უფლება დაცულია

ყდაზე გამოყენებულია მართა თაბუკაშვილის ფოტო

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"
დავით აღმაშენებლის 150, 380012, თბილისი
ელ-ფოსტა:info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-403-86-6

David Kartvelishvili
A NEW BOOK
Novel

© David Kartvelishvili, 2008
All rights reserved

First published in 2008 by
Bakur Sulakauri Publishing, Tbilisi, Georgia

www.sulakauri.ge

„იქ, სადაც აღარ არის სრულყოფილების იმედი,
განცხრომა ნებადართულია.“
წმინდა მამა ბასილი დიდი

პროლოგი

„გუშინ კორპორაცია „გლობუსის“ სათაო ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე კორპორაციის დამაარსებელმა და პრეზიდენტმა ალექსანდრე ჯაფარიძემ აქტიური ბიზნესიდან წასვლის შესახებ გააკეთა განცხადება. „უკვე სამოცდახუთი წლის ვარ, დროა დავისვენო“, – ასე ახსნა საკუთარი გადაწყვეტილება ალექსანდრე ჯაფარიძემ. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ალექსანდრე ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ აპირებს მემუარების დაწერას. „საინტერესოდ ვიცხოვრე, ვფიქრობ, ჩემი გამოცდილება ცხოვრებაში და ბიზნესში ბევრ ადამიანს დააინტერესებს“, – განაცხადა ალექსანდრე ჯაფარიძემ.“

გაზეთი „გლობუსი“, 2 სექტემბერი, 2007 წელი

ნაწილი

I

- 1 -

მაგიდის კუთხეში ვზივარ, ზუსტად იმ ადგილზე, რომელზე მჯდომი ადამიანიც გავრცელებული ცრურწმენის თანახმად უახლოესი შვიდი წელიწადი ვერ დაქორწინდება. „ესე იგი, ოცდაცხრამეტ წლამდე არაფერი მეშველება“, ვფიქრობ და მეღიმება. ასაკის მატებასთან ერთად სულ უფრო და უფრო ცრუმორწმუნე ვხდები, მაგრამ ჯერჯერობით იმ დონეზე არ ვარ, მაგიდის კუთხეში ჯდომასა და ქორწინებას შორის რაიმე კავშირი დავინახო.

ხაჭაპურის ნაჭერს ვიდებ თეფშზე. დილემის წინაშე ვარ, ვფიქრობ: ხაჭაპური დანა-ჩანგლით ვჭამო თუ ხელით. საერთოდ, ხაჭაპური ხელით იჭმევა, ასე უფრო ბუნებრივია და აქედან გამომდინარე, გემრიელიც, მაგრამ როდესაც მაგიდას აქეთ-იქიდან ორივე სქესის წარმომადგენელი სნობები უსხედან, ყოველგვარი ბუნებრიობის გამოვლენა აქციაა და რადგან მე აქ (ჩემი ბავშვობის მეგობრის დაბადების დღეზე) არა აქციის მოსაწყობად, არამედ მეგობრის პატივსაცემად ვარ მოსული, ხელში ვერცხლის დანა-ჩანგალს ვიღებ და ხაჭაპურის ნაჭრის დანაწევრებას ვიწყებ; ერთი ნაჭერი ორად იქცა, ორი – ოთხად; ოთხი – სამად, რაც იმას ნიშნავს, რომ ჭამა დავიწყე.

სწორედ ამ დროს ერთ-ერთი სტუმარი 1999 წელს იხსენებს და ამბობს:

– გახსოვთ, მთელი მსოფლიო ქვეყნის აღსასრულზე რომ ლაპარაკობდა?!

როდესაც ადამიანი, მით უმეტეს, სნობი ადამიანი ამ-

ბობს „მთელ მსოფლიოს“, რეალურად ადამიანების ძალიან მცირე ჯგუფს გულისხმობს, ე. წ. საკუთარ წრეს, წრეკი, განსაკუთრებით საკუთარი, ყოველთვის მანკიერია, რადგან სასრულობის ილუზიას ქმნის, ასეთი ილუზიის მიღმა კი (როგორც წესი) ყოველთვის უფსკრულია.

– 2 –

ხაჭაპურის ჭამას მოვრჩი, სუფრას ვზვერავ, ახალ სასუსნავს ვეძებ ვარ, შემწვარ წიწილას ვადგამ თვალს, მარჯვენა ხელი შემწვარი წიწილის ბარკლისკენ მიმაქვს, მაგრამ ამ დროს მობილურ ტელეფონზე მირეკავენ და იძულებული ვარ, შემწვარი წიწილის ბარკლის ნაცვლად ხელში მობილური ტელეფონი დავიჭირო. ეკრანს დავცქერი – უცნობი ნომერია, ვდგები, სწრაფად გავდივარ გვერდითა ოთახში, საკონტაქტო ღილაკს ვაჭერ თითს, ტელეფონი ყურთან მიმაქვს და ვამბობ:

– ბატონო.

– გამარჯობა, – ახალგაზრდა ქალის ხმა, – ბატონი ირაკლი ანდღულაძე ბრძანდებით?

– დიახ, ირაკლი ვარ.

– სასიამოვნოა, მე მარი ვარ, ალექსანდრე ჯაფარიძის შვილი, თქვენთან მამას შემოთავაზება აქვს, – ხანმოკლე პაუზა, – შეძლებთ ხვალ ორ საათზე ჩვენთან მობრძანებას?

– კი, შევძლებ.

– მანქანას გამოგიგზავნით, – მთავაზობს მარი.

– არა, არ არის საჭირო, მე თვითონ მოვალ, თქვენ უბრალოდ მითხარით, სად მოვიდე.

მარი მისამართს მკარნახობს.

– 3 –

სუფრასთან ვბრუნდები, იმავე თემაზე საუბრობენ. ერთ-ერთი სტუმარი ამბობს:

– მე მეგონა, რომ ყველაფერი წყლით დაიფარებოდა.

– მე ცეცხლს ვანიჭებდი უპირატესობას, – ამბობს მეორე.

ვჯდები და ვფიქრობ: „რა უნდა ჩემგან ალექსანდრე ჯაფარიძეს?“ პასუხი არ მაქვს.

დაბნეული ვარ.

– 4 –

წერას ვწყვეტ, საწერი მაგიდის უჯრას ვაღებ, სიგარეტს და სანთებელას ვიღებ, ვდგები, ფანჯარასთან მივდივარ, სიგარეტს ვუკიდებ, ვეწევი და ქუჩას გავცქერი. კარგ ხასიათზე ვარ. რამდენიმე თვე ვერაფერს ვერ ვწერდი, უფრო სწორად, ვწერდი და ვხევდი. ახლა გული მიგრძნობს, ამ ნაწერს იგივე არ დაემართება და მიხარია.

ოთახში ჩემი ცოლი შემოდის, მინაზე ვხედავ მის ანარეკლს, ვტრიალდები და ნამდვილ ჩემ ცოლს ვხედავ.

– ელისო, – ვეუბნები, – მგონი მეშველა.

– ხვალამდე თუ არ დახევ, დავიჯერებ, რომ მართლა გეშველა.

– არ დავხევ.

– ერთი საშინელი შეკითხვა შეიძლება?

– შეიძლება, – ვეუბნები ელისოს და წინასწარ ვიცი ამ საშინელი შეკითხვის არსი.

– მთავარ გმირს რა ქვია? – მეკითხება ელისო.

– გმირი ხმამაღალი ნათქვამია, – ვიღიმი – ჩემზე ვწერ, ოღონდ წიგნში უცოლო ვარ.

– ჩაუწვები ეხლა ყველა კარგ ქალს არა?!

– სხვათა შორის არა, მხოლოდ ერთს და ეგ ამბავიც სათუოა.

– ვეჭვიანობ, – მეუბნება ელისო.

– კარგი რა, – ვამბობ მე, ელისოსთან მივდივარ, შუბლზე ვკოცნი და თავზე ვუსვამ ხელს, – წიგნია.

საწერ მაგიდასთან ვბრუნდები, სიგარეტს საფერფლეში ვფერფლავ.

განვითარებული მსოფლიოსთვის საქართველო ე. წ. მესამე სამყაროს ერთ-ერთი ქვეყანაა, მაგრამ ამ კორუმპირებულ, ყელამდე ვალებში მყოფ, ღარიბ ქვეყანაში რამდენიმე ისეთი ფეშენებელური სახლი დგას, რომ ცივილიზებული სამყაროს ნებისმიერი მოქალაქე პირს დააღებს. ერთ-ერთი ასეთი სახლი ბიზნესმენ ალექსანდრე ჯაფარიძეს ეკუთვნის.

უზარმაზარ ჭიშკართან ვდგავარ, საკუთარი გულის მძლავრი ცემა მესმის, ღრმად ვსუნთქავ, მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითს ზარის ღილაკს ვაჭერ და მოვლენების განვითარებას ველი.

– გისმენთ, – მესმის ბოხი ხმა მიკროფონში.

– გამარჯობა, მე ირაკლი ანდღულაძე ვარ, ბატონ ალექსანდრესთან მაქვს დანიშნული შეხვედრა.

– მობრძანდით, – ჭიშკარი ავტომატურად იღება და ალექსანდრე ჯაფარიძის სამფლობელოში ვდგამ ფეხს.

დინჯად არა, უფრო უხერხულად და გაუბედავად ვმოძრაობ. იმედი მაქვს, რომ ვინმე შემეგებება. თანდათან ვუახლოვდები ალექსანდრე ჯაფარიძის სასახლეს.

– ერთი წუთით, – მესმის ხმა ზურგს უკან, ვჩერდები და ვტრიალდები. უზარმაზარი ახმახი მოდის ჩემკენ, ხელში რაცია უჭირავს, აი, ის უკვე ჩემ წინ დგას, რაციის შხრიალი მესმის.

ახმახი მეუბნება:

– ბატონო ირაკლი, მომყევით.

მივყვები.

პატარა ოთახში შევდივართ.

– მაპატიეთ, მაგრამ უნდა გაგჩხრიკოთ.

ხელებს მაღლა ვწევ, ახმახი მჩხრეკს.

– კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს, მაგრამ ხომ გესმით, – მეუბნება ახმახი გაჩხრეკის შემდეგ, – ეს აუცილებელი ფორმალობაა. წამობრძანდით.

პატარა ოთახიდან გამოვდივართ, რამდენიმე წუთის

შემდეგ ალექსანდრე ჯაფარიძის სამუშაო ოთახში ვდგავარ და წიგნებს ვათვალიერებ, სხვადასხვა ენაზე გამოცემული უძვირფასესი წიგნებია. მინდა შევეხო, გადმოვიღო, დავათვალიერო, მაგრამ ვერ ვბედავ.

თავად ალექსანდრე ჯაფარიძე ჯერჯერობით არ ჩანს.

– 6 –

ღამეა, ვწევარ. რისი დაწერაც მოვასწარი, იმას ვკითხულობ, რამდენიმე შენიშვნა მაქვს. შენიშვნა პირველი: სამყაროს აღსასრულზე მოსაუბრეებს სქესი არ აქვთ, ჩემი აზრით უფრო ქალები არიან, ვიდრე კაცები, თუმცა შეიძლება კაცებიც იყვნენ. გადაწერისას შეიძლება მათი სქესის დაზუსტება.

შენიშვნა მეორე: ვამბობ, რომ ასაკის მატებასთან ერთად სულ უფრო და უფრო ცრუმორწმუნე ვხდები. ამის დასადასტურებელად კი შესანიშნავი შანსი არ მაქვს გამოყენებული (როდესაც ალექსანდრე ჯაფარიძის სამფლობელოს კარი იღება ჩემ წინ). გადაწერისას აუცილებლად უნდა დაზუსტდეს, რომ მარჯვენა ფეხით შევდივარ შიგნით.

რვეულს ვხურავ, ვდგები, საწერ მაგიდასთან მივდივარ, უჯრას ვაღებ, რვეულს და კალამს უჯრაში ვდებ და უჯრას ვხურავ.

ლოჯში გავდივარ.

– 7 –

ელისო დივანზე ზის, კალთაში მიწის თხილით სავსე პატარა ჯამი უდევს, თხილს აკნატუნებს და ტელევიზორს უყურებს.

გვერდზე ვუჯდები, მხარზე ვკოცნი, შემდეგ მეც მიწის თხილის კნატუნს ვიწყებ. ელისო FTV-ს უყურებს. პოდიუმზე ლამაზი გოგოები ლამაზ საღამოს კაბებში მიდიმოდიან. მე მოდის ტენდენციების დიდი მცოდნე არ ვარ, მაგრამ ვალენტინოს ხელწერას მაშინვე ვხვდები. აი, თავად ისიც – მარცხენა ხელი შარვლის ჯიბეში უდევს, მარ-

ჯვენათი ჩვენებაზე დამსწრე საზოგადოებას ესალმება და მადლობას უხდის (ალბათ ყველაფრისთვის). ყველაფერზე ეტყობა, რომ გოგოა კაცის სხეულით.

– უკვე ჩაწექით? – მეკითხება ელისო.

– რაა?

– შენ და ის, წიგნის ქალი, – ამ შემთხვევაში წიგნის ქალი ქუჩის ქალის სინონიმია, – უკვე ჩაწექით?

– რა გჭირს, ძვირფასო? – თვალებში ვუყურებ ელისოს.

– იმასაც ეგრე მიმართავ?

– არა, ჯერ საერთოდ არც შევხვედრივარ.

ელისო ჯამს მაგიდაზე დგამს, დგება და საძინებლისკენ მიდის, საძინებლის კართან ჩერდება და მეუბნება:

– წამო, უნდა შეგამოწმო.

– 8 –

რა თქმა უნდა, წიგნის პერსონაჟზე ეჭვიანობა სისულელეა, მაგრამ ელისომ იცის, რას ნიშნავს ჩემთვის წერა და რა მემართება წერისას, საჯაროდ ამის შესახებ საუბარს ყოველთვის ვერიდები. არ მიყვარს პათეტიკა, ხოლო მნიშვნელოვან საკითხებზე პათეტიკის გარეშე საუბარი შეუძლებელია. არაფერს ვამბობ ქრისტიანებზე და მუსლიმებზე. ბუდისტებიც კი, როდესაც ნირვანის არსს უხსნიან ვინმეს, როგორი პათეტიკურები არიან ამ დროს, თუმცა თავისთავად ნირვანა ყოველგვარ პათეტიკას გამორიცხავს.

რა თქმა უნდა, ლიტერატურა რელიგია არ არის, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის არ არის. ლიტერატურას სულის ხსნა არ შეუძლია. ხსნის სფეროში ლიტერატურის მაქსიმუმი მოწყენილობისგან ხსნაა. ლიტერატურა ერთ-ერთი მიწიერი სიამოვნებაა. როდესაც ამბობენ, რომ ჭამა ან ძილი სიამოვნებაა, ცდებიან, რადგან ჭამა და ძილი აუცილებლობაა, სიამოვნება იწყება იქ, სადაც აუცილებლობა მთავრდება.

ლიტერატურა (კონკრეტულად, ლიტერატურის წერა, თხზვა, ქმნა) ჩემთვის ყველაზე დიდი მიწიერი სიამოვნებაა.

როცა ვერ ვწერ, ვიტანჯები, როცა ვწერ, კარგად ვარ. პათეტიკა ახლა იწყება: როცა ვწერ, მთლიანად ნაწერში ვარ. თუ ვინმე კვდება წიგნში, მეც ვკვდები, თუ ვინმე ათავებს, მეც ვათავებ, თუ ვინმე ბედნიერია, მეც ბედნიერი ვარ. ელისომ ეს იცის და ამიტომ ეჭვიანობს, მით უმეტეს, რომ ახალ წიგნში ჩემი სახელით (ირაკლი) და გვარით (ანდღულაძე) ვმოქმედებ (ამ მომენტისათვის ჩემი სამოქმედო არეალი შეზღუდულია, რადგან ალექსანდრე ჯაფარიძის ოთახში მივდი-მოვდივარ, წიგნებს ვათვალიერებ და ბატონი ალექსანდრეს გამოჩენას ველი).

– 9 –

საძინებელში საწოლის ზევით ბრა ანთია, ელისო საწოლზე ზის და მობილურ ტელეფონზე ლაპარაკობს:

– კარგი დედა, გავიგე დედა!

ელისოს გვერდით ვჯდები, შემდეგ ვწვები და ელისოს ზურგს ვუცქერ, ელისო ტელეფონზე საუბარს განაგრძობს;

– ნუ ნერვიულობ, დედა, მოვალ და ორი-სამი დღე შენთან დავრჩები, – ხანმოკლე პაუზა, – კი, დედა, დღესვე მოვალ.

ელისო ტელეფონზე საუბარს ამთავრებს, მობილურ ტელეფონს ტუმბოზე დებს, თავს ჩემკენ ატრიალებს და მეუბნება:

– უნდა წავიდე.

– და შემოწმება? – ვცდილობ, ვიხუმრო.

– კაი რა, ირაკლი, ხომ ხედავ, რა დღეში ვარ.

– ისევ კოშმარებს ხედავს?

– ხო, მამაშენი მესიზმრება, წამო ჩემთანო, მეუბნებაო, – ელისოს მამა ექვსი თვის წინ გარდაეცვალა და ახლა ცოლს სიზმარში ეცხადება და საიქიოში უხმობს.

ელისო დგება, საგარეოდ იცვამს, შემდეგ მობილურ ტელეფონს იღებს, რეკავს და ტაქსის იძახებს.

– სამი დღე დედაჩემთან დავრჩები, ცოტა ხანს მივხე-

დავ, დაველაპარაკები და იქნებ ცოტა აზრზე მოვიდეს, – პაუზა, ელისო სარკეში იხედება და თმას ივარცხნის, შემდეგ ამბობს: – სიბერე არის საშინელება.

– საუკეთესო შემთხვევაში ჩვენც დავბერდებით.

– ჰო, საუკეთესო შემთხვევაში, – მეუბნება ელისო, – რა დებილობაა ეს ცხოვრება. მოდი ჩემთან, მომეხვიე.

ვდგები, ელისოსთან მივდივარ, ზურგსუკან ვუდგები და ვეხვევი, სარკეში ვიხედებით და ვიღიმით. მიხარია ელისოს სამდღიანი გადაბარგება დედამისთან, ვცდილობ არ შევიმჩნიო ეს სიხარული, მაგრამ ელისო წამში მშიფრავს:

– ირაკლი, თუ გინდა, სულ წავალ.

– რა სისულელეა, – ვამბობ მე.

– რა ვიცი, ისე გიბრწყინავს თვალები და ისეთი ბედნიერი ხარ ჩემი წასვლით, რომ ვიფიქრე...

ელისოს სათქმელს არ ვამთავრებინებ.

– ჩუუ, – ელისოს ხელი ჩემს ტუჩებთან მიმაქვს, ვკოცნი.

ელისო ჩემი მკლავებისაგან ითავისუფლებს თავს.

– ირაკლი, მომისმინე, – ტრიალდება და თვალებში მიყურებს, – კარგად მომისმინე! ყველა შენი წიგნის, ყველა შენი დაწერილი სიტყვის, ყველა დასმული წერტილ-მძიმის და რაც მთავარია, ყველა შენი წიგნის ქალის დედა მოვტყან მე, გაიგეე?! რატომ მამყრალებინებ პირს, რა გინდა! ყოველთვის ვეჭვიანობდი შენს წიგნებზე და წიგნის ქალებზე. ადრე უბრალოდ ჩუმად ვიყავი, ვიტანდი, იმიტომ, რომ მთავარ გმირს სხვა სახელი და გვარი ქონდა, ეხლა კიდევ...

– მითხარი, რა ვქნა?

– სახელი და გვარი შეუცვალე მთავარ გმირს, ან წიგნს წინათქმა გაუკეთე და აღნიშნე, რომ ცოლიანი ხარ და ცოლი ყველაზე და ყველაფერზე მეტად გიყვარს.

– ელისო, შენ მე რომანს მინგრევ!

– ყველაზე და ყველაფერზე მეტად შენი თავი და შენი წიგნები გიყვარს.

ელისოს მობილურ ტელეფონზე რეკავენ.

ვფიქრობ: ვაშა ტაქსისტებს!

– დიახ, კარგით, ჩამოვდივარ.

ელისოს კარამდე ვაცილებ, უფრო სწორად მივყვები, რადგან ის თავისთვისაა, მე – ჩემთვის. ელისო კარს აღებს, ერთმანეთს არ ვემშვიდობებით, ელისო მიდის. მე კარს ვკეტავ.

გახარებული ვარ. იმედი მაქვს, რომ ბევრს და კარგად დავწერ.

– 10 –

არ მეძინება, დივანზე ვჯდები, ხელში პულტს ვიღებ და არხიდან არხზე გადავდივარ. არსად არაფერი საინტერესო სანახავი არ არის და ამიტომ მუსიკალურ არხზე ვჩერდები, თვალებს ვხუჭავ და ვხვდები, რომ მოსასმენიც არაფერია.

თვალებს ვახელ, ვდგები, ტელევიზორს ჩართულს ვტოვებ და სამზარეულოში გავდივარ, ყავას ვადუღებ. მაგიდასთან ვჯდები და ყავას ვსვამ. „ელისო ჩემი ცენზორია", ვფიქრობ და მეღიმება. შემდეგ ჩამონათვალს ვაკეთებ: ჩემი წარმომავლობა, ჩემი ტემპერამენტი, ჩემი ინტელექტი – ეს შინაგანი ცენზორები. ახლა გარე ცენზორები: მშობლები, დედმამიშვილები, მეგობრები, ცოლი და ალბათ შვილები (მე და ელისოს ჯერჯერობით შვილები არ გვყავს). ყველას უნდა, რომ რაღაცნაირი იყო, რაღაცნაირად აკეთო საქმე, რაღაცნაირად მოიქცე, ხოლო თუ არ გაგიმართლა და ტოტალიტარულ ქვეყანაში დაიბადე, ამ ყველაფერს ემატება სახელმწიფო ჩარევები.

ყავის სმას ვამთავრებ, ფინჯანით ხელში ონკანთან მივდივარ, ონკანს ვხსნი და ფინჯანს წყალს ვავლებ. ონკანს ვკეტავ, შემდეგ სუფთა ფინჯანს კარადაში ვდებ, სამზარეულოში შუქს ვაქრობ და ლოჯში ვბრუნდები. დივანზე ვჯდები, პულტს ვიღებ და არხიდან არხზე გადავდივარ, არსად არაფერი საინტერესო.

სახლის ტელეფონზე რეკავენ. ვდგები და ტელეფონთან მივდივარ, ყურმილს ვიღებ.

– ბატონო.

– მივედი, – მეუბნება ელისო და ყურმილს მიკიდებს.

გაბრაზებულია. ამ შემთხვევაში მართალია – მე უნდა დამერეკა და მომეკითხა. სამუშაო ოთახში შევდივარ, საწერი მაგიდიდან მობილურ ტელეფონს ვიღებ და ელისოს სასიყვარულო მესიჯს ვუგზავნი.

შემდეგ საწერად ვჯდები.

– 11 –

კარი იღება და ოთახში ალექსანდრე ჯაფარიძე შემოდის, ხელს მიწვდის.

– გამარჯობა, ბატონო ირაკლი.

– გამარჯობა, ბატონო ალექსანდრე, – ხელს ვართმევ და ვუღიმი.

ალექსანდრე ჯაფარიძე ფოტოებზე და ტელევიზორში ოდნავ უკეთესად გამოიყურება, უფრო სწორად, უფრო ახალგაზრდულად, ვიდრე სინამდვილეში.

– დაბრძანდით ბატონო ირაკლი, – ალექსანდრე ჯაფარიძე სავარძელზე მითითებს, ვჯდები, – ყავა, ჩაი, წვენი? იქნებ რამე უფრო მაგარი, კონიაკი, ვისკი? – მთავაზობს ბატონი ალექსანდრე და მე ვფიქრობ, რომ მისი შესაძლებლობების ადამიანს თავისუფლად შეუძლია შემოსათავაზებელი სასმელების ჩამონათვალი უსასრულოდ გააგრძელოს.

– წყალი, ჩვეულებრივი წყალი, თუ შეიძლება, – ვამბობ მე.

ბატონი ალექსანდრე საწერ მაგიდასთან იხრება, ღილაკს აჭერს თითს და მიკროფონში ამბობს:

– ორი წყალი, – ალექსანდრე ჯაფარიძე ჯდება, – მე წავიკითხე თქვენი წიგნები. მომეწონა, ნიჭიერი ხართ, ზუსტად თქვენნაირი ადამიანი მჭირდება. ჩემი ქალიშვილი მარი თქვენი ერთგული მკითხველია და ჩემს გადაწყვეტილებაზე მან მოახდინა გადამწყვეტი გავლენა.

– მადლობა მარის, – ვამბობ მე და ვიღიმი.

– მადლობა მარის, – იმეორებს ალექსანდრე ჯაფარიძე და ისიც იღიმის.

კარი იღება და ოთახში სინით ხელში გოგო შემოდის. სინზე წყლით სავსე ორი ჭიქა და გრაფინი ანყვია.

– ეს ჩემი ქალიშვილი მარია, – ამბობს ალექსანდრე ჯაფარიძე, – იმდენად გცემთ პატივს, რომ თავად გემსახურებათ.

ვდგები, მარის ხელს ვუწვდი და ვესალმები. მარი ხელს მართმევს, მესალმება, შემდეგ ჩემკენ იხრება და მარცხენა ყურში მეჩურჩულება:

– მამაჩემს არ დაუჯერო, ქალიშვილი არ ვარ.

– 12 –

კალამს რვეულზე ვაგდებ, სკამის საზურგეს ვეყრდნობი, ხელებს ვშლი და ვიზმორები, შემდეგ თითებს ვატკაცუნებ. ზმორება და თითების ტკაცუნი საზოგადოებაში მიღებული არ არის, უზრდელობაა – მახსენდება ბავშვობაში ნასწავლი ქცევის წესების ერთ-ერთი პუნქტი, მაგრამ ახლა ჩემს ირგვლივ არავინ არ არის, მარტო ვარ. ხელებს თავქვეშ ვიდებ და მარიზე ვიწყებ ფიქრს. ჯერჯერობით მისი ფიზიკური მონაცემები არ მაქვს წარმოდგენილი, მხოლოდ და მხოლოდ მის შიგთავსზე შემიძლია ვწერო: როგორც ნებისმიერი მდიდარი მამიკოს შვილი, თამამია, ეს არის და ეს.

– 13 –

მარი ოთახიდან გადის, სინიდან წყლით სავსე ჭიქას ვიღებ და პირთან მიმაქვს.

– წყლის ძალა მოგვცეს ღმერთმა, – ვეუბნები ალექსანდრე ჯაფარიძეს და წყალს ვსვამ. ცარიელ ჭიქას კვლავ სინზე ვდებ, სავარძელში ვბრუნდები და ველი, რას მეტყვის ალექსანდრე ჯაფარიძე.

დიდხანს არ მიწევს ლოდინი.

– თქვენ ალბათ იცით, რომ მე აქტიური ბიზნესიდან წამ-

ოვედი და მემუარების დაწერას ვაპირებ.

– დიახ, – ვუდასტურებ, – გაზეთში წავიკითხე.

– ზუსტად ამ საქმეში მჭირდება თქვენი დახმარება: მინდა, რომ ჩემი ბავშვობის შესახებ დაწეროთ. თუ მომეწონება, დანარჩენ ჩემ ცხოვრებასაც თქვენ განდობთ, – ალექსანდრე ჯაფარიძე მიღიმის.

– სიამოვნებით, – ვეუბნები და მეც ვუღიმი.

– ფულზე რატომ არ მეკითხებით არაფერს?

– მეუხერხულება, – ვგრძნობ, რომ ოდნავ გავწითლდი.

ალექსანდრე ჯაფარიძე იცინის.

– ფულზე საუბარი ადამიანთან, რომელიც ყველასთვის ფულთან ასოცირდება, უხერხული არ არის. რამდენი გინდათ? – ალექსანდერე ჯაფარიძე თვალებში მიყურებს, ცისფერი, დიდი, წყლიანი თვალები აქვს, – პირდაპირ მითხარით.

– როგორ გითხრათ... ესე იგი, მე ყოველდღე თქვენთან უნდა მოვიდე, მოგისმინოთ, ეს ყველაფერი დიქტოფონზე ჩავწერო, მერე დავბრუნდე სახლში, მასალა გავშიფრო და ამ ყველაფერს მხატვრული ფორმა მივცე.

– არა, ვერ გამიგეთ, მე არაფრის მოყოლას არ ვაპირებ. ყველაფერი თქვენ უნდა მოიგონოთ და არც წინ და უკან მოგიწევთ სიარული, ჩემთან იცხოვრებთ. ჩემმა ქალიშვილმა ოთახი შეგირჩიათ და მოგიწყოთ. რა თქმა უნდა, თუ რამე არ მოგეწონებათ, პირდაპირ შეგიძლიათ თქვათ და უცებ ჩავატარებთ რეკონსტრუქციას.

პაუზა. და მე ამ პაუზით ვსარგებლობ.

– ბატონო ალექსანდრე, ერთი შეკითხვა მაქვს.

– გისმენთ.

– იცით, კარგად ვერ გავიგე, რას ნიშნავს: „მე არაფრის მოყოლას არ ვაპირებ, ყველაფერი თქვენ უნდა მოიგონოთ“.

– მე არაფრის მოყოლას არ ვაპირებ, ყველაფერი თქვენ უნდა მოიგონოთ. იცხოვრეთ ჩემთან, დამაკვირდით, ვისაუბროთ, გაითვალისწინეთ ჩემი საზოგადოე-

ბრივი მდგომარეობა და მომიგონეთ ბავშვობა, ამაში მე გადაგიხდით დღეში ას ევროს, ჭამა-სმა და ჭერი უფასო გექნებათ. მგონი, ქართველი მწერლისთვის საკმაოდ ნორმალური პირობებია. ახლა მაპატიეთ, შეხვედრა მაქვს და უნდა დაგტოვოთ, თქვენ მარი მოგხედავთ, – ალექსანდრე ჯაფარიძე დგება, თავს ოდნავ მიხრის და ოთახიდან გადის.

მე კვლავ სავარძელში ვზივარ. „უზრდელურად გამომივიდა", ვფიქრობ და უკმაყოფილო ვარ საკუთარი თავით.

– 14 –

ხელი დამეღალა. კომპიუტერზე უნდა გადავიდე. ზოგადად ვამბობ, თორემ ამ წუთას ვერ გადავალ, რადგან ამ მომენტისთვის კომპიუტერი არ მაქვს. ვდგები, სამუშაო ოთახიდან გავდივარ, სამზარეულოში შევდივარ, კალათიდან ვაშლს ვიღებ და ვკბეჩ, მოკბეჩილი ვაშლის ნაჭერს ვახრამუნებ და უცებ ვხვდები, როგორია მარი ფიზიკურად. ვაშლს მაგიდაზე ვდებ, ვაშლის მოკბეჩილ ნაჭერს ვყლაპავ და სამუშაო ოთახში ვბრუნდები. ხელში კალამს ვიღებ და სამზარეულოში ყოფნისას ფიზიკურად დანახული მარი შემყავს წიგნში.

– 15 –

ოთახში მარი შემოდის. ვდგები, მარის ვუყურებ და ვხვდები, რომ მამამისის ასლია. მამამისივით დიდი, ცისფერი, წყლიანი თვალები აქვს, მაღალია, თეთრი კანი აქვს და შავი თმა (ალბათ მამამისსაც ოდესღაც ასეთი თმა ქონდა).

– წამოდი, შენს ოთახს განახებ, – მეუბნება.

– მანახე, – ვუღიმი.

მარის მივყვები. ის ჩემზე რამდენიმე ნაბიჯით წინ მიდის, ასე რომ, მე მისი უკნიდან შეფასების საშუალება მეძლევა და მე ამ საშუალებას ხელიდან არ ვუშვებ: მარის მშვენიერი ტაკუნები აქვს (მამამისივით-თქო, ვერ ვიტყვი,

რადგან ბატონი ალექსანდრე ჯაფარიძე ამ მხრივ არ შემიფასებია). მოკლედ, მარი მამას წინიდან გავს.

უზარმაზარ დერეფანში მივდივართ, იატაკზე შინდისფერი ნოხია დაფენილი, ალაგ-ალაგ ანტიკვარული ნივთები დგას, ვაზები, ქანდაკებები; კედლებზე ნახატები კიდია. ახლა მე სიზმარში რომ ვიყო, ამ ყველაფერს ათასნაირ ინტერპრეტაციას მოვუძებნიდი, მაგრამ რადგან სიზმარში არ ვარ, ამ ყველაფრის ერთადერთი ინტერპრეტაცია მაქვს: უბრალოდ მდიდარი ადამიანის სახლის დერეფანში მივდივარ.

ჩემ წინ მარი მიდის.

დერეფნის ბოლოში თეთრ კართან ვჩერდებით, უფრო სწორად, ჯერ მარი ჩერდება, მერე მე, რადგან მე მარიზე ვარ დამოკიდებული – მოძრაობს, მეც ვმოძრაობ, დგას, მეც ვდგავარ.

მარი კარს აღებს, ღია კარში შედის, ტრიალდება, კარს მარცხენა მხარით ეყრდნობა და მეუბნება:

– აი, შენი ოთახი.

– 16 –

მე და მარი მარტოები ჩემს ახალ ოთახში. ალბათ ელისოს გაგიჟება ამ ეპიზოდიდან დაიწყება. მობილურ ტელეფონს ვიღებ და ელისოს ვურეკავ.

– როგორ ხარ, საყვარელო? – ვეკითხები.

– ნორმალურად, შენ?

– მეც ნორმალურად, დედა როგორ არის?

– მე მგონი, ცოტა დაწყნარდა.

– ძალიან კარგი. რომ მოიცლი დარეკე, კაი?!

– დავრეკავ, – პაუზა, – რას შვები, წერ?

– ცოტ-ცოტას.

– კაი, რომ მოვიცლი დაგირეკავ, – მეუბნება ელისო და ტელეფონს თიშავს.

ელისო ეჭვიანობს (ასე მგონია).

ყოველთვის ასე არ იყო, ანუ იყო დრო, როდესაც ელისო ჩემს ნაწერებზე არ ეჭვიანობდა, პირიქით ყველანაირად ხელს მიწყობდა, რომ მეწერა. ასე ჩვენი ურთიერთობის დასაწყისში ხდებოდა.

მე და ელისომ შვიდი წლის წინ გავიცანით ერთმანეთი: ერთ-ერთ მუსიკალურ-ლიტერატურულ ფესტივალზე ანუ ინტელექტუალურ დომხალში, რომელშიც მთელი თბილისის შემოქმედებითი ინტელიგენცია ანუ პროფესიონალი უსაქმურები (კაპიტალისტური გაგებით) მონაწილეობდნენ და რადგან მე ამ კასტის წევრი ვიყავი (დღემდე ვარ), ფესტივალში ვმონაწილეობდი ხან როგორც ავტორი, ხან როგორც მსმენელი.

ელისო ერთ-ერთ პოეტურ საღამოზე გავიცანი.

პოეტები ამბიციური ხალხია. ყველაზე მცირემასშტაბის პოეტიც კი (თუ ის საკუთარ თავს პოეტს უწოდებს) თავის შემოქმედებაში ისეთ დიდ პასუხისმგებლობას იღებს საკუთარ თავზე და იკიდებს მხრებზე (და ფეხებზეც), რომ გასაგებია, რატომ აღარ კითხულობენ თანამედროვე ადამიანები პოეზიას, და თუ კითხულობენ რატომ ღიზიანდებიან წაკითხულით. ჩვენ გლობალური კოლექტივიზაციის ეპოქაში ვცხოვრობთ. მზადაა გლობალური სახელმწიფოს პროექტი, მაგრამ ამ პროექტის სრულ განხორციელებას ორი რამ აფერხებს, პირველი: რელიგიური განსხვავებები, ანუ ტრადიცია და მეორე: ყოვედღიურობა.

ყოველდღიურობა საუკუნეების მანძილზე ეშმაკის მოკავშირედ ითვლებოდა, რადგან ის ღმერთზე და სულის ხსნაზე ფიქრის საშუალებას არ აძლევდა ადამიანს. რელიგიის ლოგიკა მარტივია – ვინც არ არის ღმერთთან, ის ეშმაკთანაა. ოქროს შუალედიც ეშმაკისაა.

დღეს ყოველდღიურობამ ახალი თვისება შეიძინა – ის გლობალურ კოლექტივიზაციას აფერხებს. თანამედროვე, ყოველდღიურობით შეჭმულ ადამიანს არ აქვს დრო ვიწრო

ნაციონალური კომპლექსების (გლობალისტების ტერმინია) დასაძლევად.

თანამედროვე ადამიანები მოუცლელები არიან; და მათ ზუსტად დიადი საკითხებისათვის პოეტების მოცლილობა აღიზიანებთ და არა მათი პოეტური თავისუფლება. ეს უკანასკნელი მათი გასართობია.

– 18 –

პოეტურ საღამოებს ყოველთვის უფრო მეტი ადამიანი ესწრება, ვიდრე პროზაულ საღამოებს. ალბათ ამის მიზეზი სიტყვა „პოეტურის" მდარე გაგებით გამოწვეული განწყობილებაა. რეალურად ადამიანური მოთხოვნილებები (მაგალითად, სახელმწიფოსადმი: სტაბილურობა, სამუშაო ადგილები, ღირსეული ხელფასები; ან, მაგალითად, ერთმანეთისადმი: ყურადღება, სითბო, ერთგულება) პროზაულია, პოეზია მხოლოდ (ამ და სხვა) იდეებშია.

– 19 –

ლიტერატურულ საღამოებზე დამსწრე საზოგადოება შეიძლება ორ კატეგორიად დავყოთ: მუდმივები და შემთხვევითები. მუდმივები არც ერთ საღამოს არ აცდენენ, თავადაც წერენ და აქედან გამომდინარე აინტერესებთ, სხვები რას წერენ და რას ფიქრობენ ლიტერატურაზე.

შემთხვევითები მუდმივებს მოყოლილი ადამიანები არიან: დაქალი ან ძმაკაცი, შეყვარებული ან დედმამიშვილი ან უფრო შორეული ნათესავი.

ელისო შემთხვევითების კატეგორიას ეკუთვნოდა.

ის ერთ-ერთ მაგიდასთან მარტო იჯდა, ფორთოხლის წვენს წრუპავდა და სიგარეტს ეწეოდა, აშკარად ვიღაცას ელოდებოდა. ზოგადად მე უცნობ გოგოებთან მიჯდომაში და საუბრის გაბმაში თამამი ვერ ვარ, მაგრამ ამ შემთხვევაში, ასე ვთქვათ, „საკუთარი მოედნის" ფაქტორმა გამაბედინა ელისოსთან მიჯდომა. რა თქმა უნდა, მაშინ არ ვიცოდი, რომ ელისო ერქვა. „კარგი გოგოა", ასე ვფიქრობდი მასზე.

– იცით, ეს ადგილი დაკავებულია, – მითხრა კარგმა გოგომ.

– ა, ელოდებით ვინმეს?! – გავიღიმე.

– კი, ველოდები, – კარგმა გოგომ სიგარეტი დააფერფლა და წვენი მოსვა. ვგრძნობდი, რომ კარგი გოგო ღელავდა.

– გოგოს ელოდებით თუ ბიჭს? – ვკითხე.

– რა მნიშვნელობა აქვს? – მითხრა კარგმა გოგომ და ჩვენ პირველად შევხედეთ ერთმანეთს თვალებში.

– ძალიან დიდი, – ვთქვი მე, – თუ გოგოს ელოდებით, ერთად დაველოდოთ, თუ ბიჭს, მაშინ ავდგები და წავალ.

– გეშინია? – ეს უკვე გამოწვევა იყო.

– ძალიან, – მოვისაწყლე თავი.

– ბიჭს ველოდები, – მითხრა კარგმა გოგომ და ზუსტად ამ დროს მისი ბიჭიც გამოჩნდა – ერთ-ერთი ჩემი კოლეგა.

– როგორ ხარ? – მკითხა მან და ხელი გამომიწოდა.

– კარგად, თავად? – ხელი ჩამოვართვი.

მან კარგ გოგოს შეხედა, აკოცა და მითხრა:

– ეს ელისოა. ჩემი... – გული გამიჩერდა, ახლა იტყვის, შეყვარებულიო, – ნათესავი. გაიცანით უკვე ერთმანეთი?

– ვერ მოვასწარით, – ვთქვი და ღრმად ამოვისუნთქე.

– ეს, – უკვე კარგ გოგო ელისოს მიმართა მან, – ირაკლი ანდღულაძეა, დიდი ქართველი.

– კაი ეხლა რა, – ღიმილით შევაწყვეტინე. კარგ გოგო ელისოს ვუყურებდი და მიხაროდა, რომ ის ჩემი კოლეგის მხოლოდ და მხოლოდ ნათესავი იყო.

საღამოს ბოლოს მე და ელისომ ტელეფონის ნომრები გავცვალეთ და მეორე დღიდან დაიწყო გადარეკვა-გადმორეკვის ხანა, რასაც აღმა-დაღმა სიარულის ანუ სეირნობის ხანა მოჰყვა.

ბოლოს ელისო ჩემთან დავპატიჟე, სახლში.

– 20 –

ელისო პუნქტუალურად მოვიდა. იმ დღეს ელისო პირველად ვნახე კაბაში.

– კაბა ძალიან გიხდება, – ვუთხარი.

ელისომ გაიღიმა და შემოვიდა.

კარი მივკეტე, ერთმანეთს შევხედეთ და დაბნეულად გავიღიმეთ. თავდაპირველად აუცილებელი მეშჩანური რიტუალი ჩავატარე – ელისოს სახლი დავათვალიერებინე, უსულო საგნების სიყვარული სიყვარულის სწორედ ის სახეობაა, რომელსაც საგულდაგულოდ მალვა ჭირდება. ელისომ ეს კარგად იცოდა, ამიტომაც ცივად თქვა:

– კარგი სახლი გაქვს, – და პაუზის შემდეგ მკითხა, – შენები სახლში არ არიან?

– ჩემები სახლში კი არა, საქართველოში არ არიან. 98 წლიდან ამერიკაში ცხოვრობენ. მამაჩემი ფიზიკოსია და მიწვევით მუშაობს ჩიკაგოს უნივერსიტეტში, დედაჩემი კი მამაჩემის ცოლია, – გამეცინა, – მაგ სტატუსით არის იქ. მოკლედ, გაუმართლათ: არც აქ მოუწიათ ბაზრობაზე დგომა და არც იქ – ბუზღუნა პენსიონერების მოვლა. აქამდე არ მილაპარაკია შენთან ჩემს მშობლებზე?

– არა. სხვათა შორის, არც მე მილაპარაკია შენთან ჩემს მშობლებზე, – მითხრა ელისომ, – არადა უკვე სამი თვეა, რაც ვკონტაქტობთ.

– ჩვენი თავით ძალიან ვიყავით დაკავებულები და მშობლები დაგვავიწყდა, – ხელები გავშალე.

სასტუმრო ოთახში შევედით. სუფრა წინასწარ მქონდა გაშლილი. ელისომ შემაქო:

– ყოჩაღ შენ!

დავსხედით. კონიაკი ჩამოვასხი. ელისომ თქვა:

– ჩემს მშობლებზე რა გითხრა... მამა ძველ დროში გეოლოგი იყო, ეხლა რაღაც პატარა ბიზნესი აქვს და, როგორც თვითონ ამბობს, „პურის ფულს შოულობს“. დედაჩემი ამ ფულს ხარჯავს და საჭმელს აკეთებს, ეგ არის და ეგ.

– გეოლოგობა საბჭოთა კავშირში რომანტიკული პროფესია იყო: კარვებში ცხოვრება, მიწაში ჭეშმარიტების ძიება...

– ერთი კვირით კარგია, მერე გბეზრდება, – თქვა ელისომ, – ბავშვობაში დავყავდი მამაჩემს ექსპედიციებში.

ჭიქა ავწიე.

– გაგიმარჯოს და კეთილი იყოს შენი ფეხი ჩემს სახლში.

ელისომაც აწია ჭიქა. ჭიქები მივაჭახუნეთ, დავლიეთ და ჭიქები მაგიდაზე დავდგით. მოულოდნელად ელისომ (ჩემთვის, თორემ თვითონ სულ ამაზე ფიქრობდა, როგორც მერე მითხრა) თქვა:

– ერთი რამე მინდა გთხოვო.

– გისმენ.

– დღეს არა, – ელისომ თავი დახარა.

– რა დღეს არა? – მართლა ვერ მივხვდი.

– დღეს არ დავწვეთ. ძალიან მინდა შენთან დაწოლა, მაგრამ მზად არ ვარ.

– კარგი, არ დავწვეთ, – ვთქვი მე და თავი არც დამარცხებულად, არც შეურაცხყოფილად და არც ზეჯენტლმენად არ მიგრძვნია.

– 21 –

ერთი თვის შემდეგ მე და ელისო დავქორწინდით, დავოჯახდით, მეუღლეები გავხდით – სამივე გამოთქმა სწორია.

მამაჩემმა შვებულება აიღო და თბილისში ჩამოფრინდა. მამაჩემს დედაჩემიც ჩამოჰყვა, რადგან დედაჩემი ყოველთვის იქ იყო (არის!) სადაც მამაჩემია.

ელისოს ნახვის, ათვალიერება-ჩათვალიერების შემდეგ მამამ თვალი ჩამიკრა იმის ნიშნად, რომ ელისო მოეწონა, მაგრამ ელისოზე მეტად მამაჩემს ელისოს მამა მოეწონა. ეს შუა ქორწილში გაირკვა, როდესაც მამაჩემი შეთვრა და ფიზიკაზე, უფრო სწორად სამყაროს ფიზიკურ წარმოშობაზე დაიწყო ლაპარაკი:

– ყველაფერი აფეთქებით დაიწყო, – თქვა მამამ და ამ თეორიის მტკიცებას შეუდგა. კიდევ კარგი, ახლომახლო

არც დაფა იყო და არც ცარცი, თორემ მამა შუა ქორწილში ფორმულების გამოყვანას დაიწყებდა.

ყველაზე ყურადღებით მამას ელისოს მამა, ბატონი ზურაბი (ასე მივმართავდი მას გარდაცვალებამდე) უსმენდა. მამამ ეს შენიშნა.

ქორწილის ბოლოს, როდესაც სტუმრები აირივნენ და მაგიდიდან მაგიდაზე გადასვლები დაიწყო, მამა და ბატონი ზურაბი ცალკე მოყუჩდნენ, საუბარი გააბეს. მე ამ საუბრის მხოლოდ ერთი ფრაგმენტი მოვისმინე, როდესაც ზრდილობის გამო მათთან მივედი და რამდენიმე წუთით ჩამოვჯექი.

– ირაკლის აფეთქების თეორიის არ ჯერა, – თქვა მამამ და მხარზე ხელი დამიტყაპუნა, – ირაკლი მორწმუნეა.

– 22 –

არ მომწონს, ასე რომ მიხსენიებენ – მორწმუნე, განსაკუთრებით მამაჩემის ყაიდის ადამიანები, ვისთვისაც რწმენა მხოლოდ და მხოლოდ კონცეფციაა, ანუ რწმენას არანაირი კავშირი არა აქვს ყოველდღიურ ცხოვრების წესთან. მამაჩემისთვის ღმერთის ხორცშესხმაცა და სამყაროს აფეთქების შედეგად წარმოშობაც კონცეფციაა, პირველი – ნაკლებად სავარაუდო, ხოლო მეორე – თითქმის დამტკიცებული ჭეშმარიტება.

არ მომწონს, ასე რომ მიხსენიებენ – მორწმუნე, განსაკუთრებით მამაჩემის ყაიდის ადამიანები, მაგრამ ხმამაღლა (აქტიურად) არასოდეს არ გამიპროტესტებია ეს ამბავი. ჩემი პროტესტი ყოველთვის ჩუმია (პასიურია), რადგან გასარკვევი და გასარჩევი სხვებთან კი არ მაქვს რამე, არამედ საკუთარ თავთან.

ჭეშმარიტება არაპოლიტკორექტულია, „ღმერთი ერთია, უბრალოდ ყველა სხვადასხვა სახელს უწოდებს“ – ეს ლიბერალური ათეიზმია. ღმერთი მართლაც ერთია, მაგრამ სამბუნებოვანი და მას კონკრეტული სახელი აქვს: მამა, ძე და სული წმინდა. მე, ვისაც ეს მწამს და ამავე დროს ვიცი,

რომ ამ ყველაფრის აღიარება ავტომატურად ცხოვრების გარკვეული წესის აღიარებას ნიშნავს, მაგრამ ვერ (არ) ვცხოვრობ ასე, შეიძლება მეწოდოს მორწმუნე თუ არა? რა თქმა უნდა, არ შეიძლება.

ხანდახან ვფიქრობ, რომ ზედმეტად ვართულებ ყველაფერს, მაგრამ სჯობს, ახლა გავართულო ეს საკითხი, ვიდრე გარდაცვალების შემდეგ გამირთულდეს ცხოვრება.

არ მომწონს, ასე რომ მიხსენიებენ – მორწმუნე, მაგრამ ხმამაღლა (აქტიურად) არასოდეს ვაპროტესტებ ამ ამბავს, არც იმ დღეს გამიპროტესტებია. როდესაც მამაჩემმა მხარზე ხელი დამიტყაპუნა და ბატონ ზურაბს უთხრა:

– ირაკლი მორწმუნეა.

– 23 –

ქალიშვილობა გარკვეულ ასაკამდე (22-23) უფრო იდეური მდგომარეობაა, ვიდრე ფიზიკური. შემდეგ ქალიშვილობა იდეური მდგომარეობიდან ფიზიკურ მდგომარეობაში გადადის და შემაწუხებელი ხდება (30 წლამდე), ამის შემდეგ ქალიშვილობა კვლავ იდეურ მდგომარეობას უბრუნდება, მაგრამ უკვე როგორც სუპერიდეა, რომელსაც ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა აქვს. ასე, რა თქმა უნდა, თავად ოცდაათ წელს გადაცილებული ქალიშვილი ფიქრობს, რადგან ასეთი ფიქრი მისთვის გამოსავალია.

ელისომ ქალიშვილობა პირველ ეტაპზე (21 წლის იყო) დაკარგა. იწვა ჩემ გვერდით, ხან მე მიყურებდა, ხან ჭერს და მომავალზე ფიქრობდა, არაქალიშვილი, გათხოვილი ქალის მომავალზე, ერთხანს ხმას არ იღებდა, შემდეგ ძალიან ჩუმად მითხრა:

– ირაკლი, ხომ არ მიმატოვებ?

მე ელისოს ხელები მოვხვიე, ჩავეხუტე და ვუთხარი:

– არა.

რამდენიმე ხნის (ალბათ თვის ან თვე-ნახევრის) შემდეგ ელისოსთვის ჩემთან წოლა უკვე ფიზიკური სიამოვნება

გახდა და აქედან გამომდინარე ელისო საწოლში გააქ-ტიურდა.

– საერთოდ აღარ მრცხვენია შენი, – მეუბნებოდა ელისო.

– ყოჩაღ, – ვეუბნებოდი ელისოს და ვუღიმოდი.

– ნუ დამცინიხარ, – სიყვარულით მჩქმეტდა ელისო მუ-ცელზე, – თავიდან ძალიან მრცხვენოდა.

– თავიდან ყველას რცხვენია, მერე თანდათან აღარ.

– ვინ ყველას?! ნუ მადრი ვიღაცეებს. მეზიზღება ყველა შენი ყოფილი ქალი!

ელისოს დღემდე გაზვიადებული წარმოდგენა აქვს ჩემი ყოფილი ქალების რაოდენობაზე. მე ამ გაზვიადებული წარ-მოდგენის კორექტირება და რეალურ მონაცემებთან მიახ-ლოება რამდენიმეჯერ ვცადე, მაგრამ უშედეგოდ.

დღესდღეობით მე და ელისო ერთმანეთთან ძირითა-დად შვილის ჩასახვის მიზნით ვწევართ. „ძირითადად" არ ნიშნავს ყოველთვის, ხანდახან ძველებურად ვგიჟობთ ხოლმე.

– 24 –

თავიდან ელისო ფიქრობდა, რომ წერა ჩემთვის გარ-თობაა (ჰობია), და ყველანაირად მიწყობდა ამ გართო-ბაში ხელს. ასეთი დამოკიდებულება ლიტერატურისადმი ქართველების უმრავლესობას აქვს: არა სერიოზული საქმე, არამედ გართობა, ჰობი. ამის მთავარი მიზეზი, რა თქმა უნდა, ლიტერატურის არარენტაბელურობაა, ანუ ლიტერატურით ფული არ იშოვება (ქართველებს, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ერის წარმომადგენელს, ძალიან, ძალიან, ძალიან უყვართ ფული. მაგრამ თუ მაგალითად, ამერიკელისთვის ფული ერთ-ერთი ოფიციალური ღირე-ბულებაა, ქართველების სიყვარული ფულისადმი ჯერ-ჯერობით არალეგალურ მდგომარეობაშია და ამიტომაც საქართველოში ფულზე ხმამაღლა საუბარი, მისთვის ხმამაღლა სიყვარულის ახსნა ჯერჯერობით ცუდ ტონად

ითვლება). არსებობს სხვა მიზეზიც: ბოლო ათწლეულების განმავლობაში სახელმწიფოს მიერ პროპაგანდირებული იყო მდარე, პატრიოტული ლიტერატურა. ამ ლიტერატურამ ძალიან შეურყია ზოგადად ქართულ ლიტერატურას რეპუტაცია, ხოლო მკითხველს გემოვნება შეურყვნა.

სახელმწიფოს მიერ პროპაგანდირებული მდარე, პატრიოტული ლიტერატურა უკანასკნელ ათწლეულებში ბულვარულმა ლიტერატურამ ჩაანაცვლა. ეს ახალი პროპაგანდაა, ხოლო ახალი პროპაგანდისტები გამომცემლები არიან – გაცილებით სიმპათიური ხალხი, ვიდრე პარტიული ფუნქციონერები და ბულვარული ბელეტრისტიკაც ლიტერატურის უფრო მისაღები ჟანრია, ვიდრე მდარე, პატრიოტული ლიტერატურა. მოკლედ, ვპროგრესირებთ, მაგრამ პროგრესი და ბედნიერება სინონიმები არაა.

მაგალითად, ჩემი ლიტერატურული პროგრესი და ელისოს ბედნიერება.

– 25 –

თავიდან ელისომ ჩემთან ურთიერთობის გასარკვევად ტრადიციულ მეთოდს მიმართა – დამელაპარაკა.

სამზარეულოში ვისხედით და ვსადილობდით. ჭამის დროს ლაპარაკი უზრდელობაა, მაგრამ როდესაც ორი ადამიანის ურთიერთობაში (თუნდაც ერთ-ერთის აზრით), სერიოზული პრობლემაა, ეტიკეტის დაცვას არანაირი აზრი არა აქვს.

– თუ ამჩნევ, რომ ბოლო დროს საერთოდ აღარ მაქცევ ყურადღებას? – მითხრა ელისომ.

მე ჭამა შევწყვიტე და ელისოს შევხედე. ელისო ბუნებით მორცხვი ადამიანია. მას ადამიანისათვის თვალის გასწორება ყოველთვის უჭირდა (უჭირს), მაგრამ იმ დღეს ელისოს ჩემთვის თვალი არ მოურიდებია, თვალებში მიყურებდა, მარჯვენა ხელში დანა ეჭირა და მე საშინელი რამ გავიფიქრე: „ახლა უცბად რომ მთხაროს დანა ყელში“. ნერწყვი მძიმედ ჩავყლაპე და ვიგრძენი, რომ ჭამის ყო-

ველგვარი სურვილი გამიქრა. ელისო თითქოს მიხვდა, რაზე ვფიქრობდი და დანა თეფშზე დადო. შემდეგ ის დრო გაიხსენა, როდესაც ყველაფერი სხვანაირად (კარგად) იყო – ადრე სულ მელაპარაკებოდი, ვმსჯელობდით, საერთო გეგმები გვქონდა – ელისოს თვალები გაუბრწყინდა, სულ რამდენიმე წამით, შემდეგ თვალებში ბრწყინვა ჩაუქრა და მივხვდი, რომ ელისო ისევ აწმყოში დაბრუნდა, – ეხლა ზიხარ შენს ოთახში და ფეხზე გკიდივარ, წერ და წერ, დიდი რამე გგონია შენ ეგ წერა.

– ადრე წერე, წერეო, მეუბნებოდი და ეხლა რა დაგემართა? – ვუთხარი ელისოს და გავუღიმე, – რაც შეეხება ჩვენს მსჯელობებს და საერთო გეგმებს, გაიხსენე რაზე ვმსჯელობდით და რა საერთო გეგმები გვქონდა?! გაიხსენე: რომ მე გავხდებოდი ცნობილი მწერალი, საქართველოს მასშტაბით კი არა, მსოფლიო მასშტაბით, შენ იქნებოდი ჩემი ამაყი ცოლი და ვივლიდით აქეთ-იქით.

– მაშინ პატარები ვიყავით და რაღაც სისულელეების გვჯეროდა. შენც კარგად იცი, რომ არაფერი არ გამოვა მაქედან, ირაკლი.

– რატომ არ გამოვა? – ვკითხე ელისოს.

– ჯერ ერთი, მსოფლიოს არ აინტერესებს შენ რას წერ; და მეორე, ყველაზე მთავარი, შენ თუ წერას ამდენი დრო დაუთმე, რამდენსაც ახლა უთმობ, რამდენიმე თვეში ჩვენი ურთიერთობა ბოლომდე გაფუჭდება, – ელისომ ტირილი დაიწყო.

წამოვდექი, ელისოსთან მივედი, მისი თავი მუცელზე მივიდე და მარჯვენა ხელისგულით თავზე მოვეფერე.

– ნუ გეშინია, – ვუთხარი, – არაფერი არ გაფუჭდება, ჩემიც უნდა გაიგო, ვწერ და შინაგანად უკვე ისე ვარ, რომ აღარ შემიძლია, არ ვწერო, ნარკომანივით ვარ, გესმის? – ეს ყველაფერი სიმართლე იყო, სიმართლეს მივაყოლე ტყუილი, – მსოფლიო აღიარება კიდევ მკიდია.

ელისომ ცალი თვალით ამომხედა, ცრემლიანი, გაკვირვებული თვალით.

რეალურად, რა თქმა უნდა, ჩემთვის სულერთი არ არის ჩემს ნაწერებს საქართველოს მოსახლეობის მცირე ნაწილი წაიკითხავს, თუ მსოფლიოს მოსახლეობის მცირე ნაწილი, რადგან ამ ორ მცირე ნაწილს შორის დიდი რაოდენობრივი სხვაობაა. ელისოსაგან განსხვავებით მე წარმოუდგენლად არ მიმაჩნია მსოფლიო არენაზე გასვლა. ჩვენ ახალი მსოფლიო კულტურის სათავეებთან ვდგავართ, რამდენიმე ათეული, (შეიძლება ასეული) წლის შემდეგ ახალი მსოფლიო კულტურა ძველ, ეთნიკურ კულტურას საბოლოოდ ჩაანაცვლებს, ვინ ხარ და საიდან ხარ, აღარ ექნება მნიშვნელობა. რა თქმა უნდა, ეს ახალი კულტურის ფორმაც ოდესღაც მოძველდება და შეიცვლება, მაგრამ ჯერჯერობით სათავეებთან ვდგავართ.

მსოფლიო არენაზე გასვლა თუ მოვახერხე, საქართველოში ყოველთვის იმას ვიტყვი, რომ ჩემი წარმატება და ჩემი პოპულარობა საქართველოს პოპულარობაა და ა. შ. მოკლედ, რომ განუყოფელები ვართ მე და საქართველო. ენობრივ დონეზე ეს მართლაც ასეა, მაგრამ ენის მიღმა ყველაფერი ტყუილია.

ადამიანს სამშობლოსთან ორი რამ აკავშირებს – ენა და წარსული, რომლის ყველაზე ნათელი განსახიერება ახლობლების საფლავებია. საფლავებს დიდი ძალა აქვს და თუ რამე გვიხმობს ხოლმე უკან, სამშობლოში, ეს საფლავებია, ანუ ჩვენი უკვე მიწადქცეული ახლობლები. მე მგონია, რომ ძველი დროის ადამიანები მშობლიურ მიწაში გარდაცვლილ ახლობელ ადამიანებს გულისხმობდნენ.

ახალი მსოფლიო კულტურა ცდილობს, მიწა გამოგვაცალოს ფეხქვეშ. ეს საჭირო რამ არის, რადგან, ჩემი აზრით, ადამიანები მყარად კი არ უნდა ვიდგეთ მიწაზე, არამედ ცას უნდა ვიყოთ გამოკერებულები (არაიდიომატური გაგებით) და ჩვენი გარდაცვლილი ახლობლებიც ცაში უნდა ვიგულისხმოთ და არა მიწაში.

მსოფლიო არენა, ახალი მსოფლიო კულტურა, ეს ყვე-

ლაფერი კარგია, მაგრამ მსოფლიო არენაზე გასასვლელად, ახალი მსოფლიო კულტურის ნაწილად ქცევისთვის საჭიროა, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, ახალი წიგნი, რომელიც ჯერჯერობით არ არსებობს.

– 27 –

შემდეგმა ათმა დღემ გარეგნულად მშვიდად ჩაიარა. ელისო ძირითადად იჯდა და ტელევიზორს უყურებდა. მე აზრად არ მომსვლია იმის დაჯერება, რომ ელისო მართლა მშვიდად იყო, რომ არ ნერვიულობდა, რომ არ განიცდიდა ჩემს უყურადღებობას.

მე ვწერდი.

ნებისმიერი ადამიანი ცდილობს, სხვა ადამიანების თვალში საკუთარი საქმიანობა (ან უსაქმურობა) მნიშვნელოვან მოვლენად წარმოაჩინოს, როდესაც ეს საქმიანობა (ან უსაქმურობა) უკვე ბედისწერაა.

ათი დღის წინ ელისოსთან საუბრისას სწორედ ეს სიტყვა მინდოდა მეთქვა – რომ წერა ჩემი ბედისწერაა, მაგრამ თავი შევიკავე და სიტყვა ნარკომანი ვახსენე. ჩავთვალე, რომ ამით უადგილო პათეტიკას მოვერიდებოდი, რადგან ელისოსთვის ბედისწერა შუბლზე წინასწარ წარნერილ შეთქმულებას ნიშნავს, რომელსაც ადამიანი ვერანაირად თავს ვერ დააღწევს. ელისო ამ მხრივ წარმართია, ჩემთვის ბედისწერა საკუთარი არჩევანების ჯამია.

მე ვწერდი. ამ ათი დღის განმავლობაში ყოველთვის ერთნაირი შთაგონებით და სიძლიერით ვერა, ხანდახან უბრალოდ ვიჯექი, დავყურებდი ფურცელს და კალამს ვათამაშებდი. რა თქმა უნდა, ასეთ მომენტებში შემეძლო ოთახიდან გასვლა, ელისოს გვერდზე მიჯდომა და ტელევიზორში პოდიუმზე სხვადასხვა ტანსაცმელში წინ და უკან მოსიარულე მანეკენების ცქერა; შემეძლო ელისოს მოფერება, მისთვის თბილი სიტყვების თქმა, მანეკენების ბოღმიანი გაჭორვა, მაგალითად, იმის თქმა, რომ ფიგურის შესანარჩუნებლად ისინი დღეში ორჯერ იკეთებენ ოყნას.

მე არ ვიცი, სწორია თუ არა ეს ინფორმაცია, მაგრამ ვიცი, რომ ელისოს ამაზე გაეცინებოდა. ამ ყველაფრის გაკეთება შემეძლო, მაგრამ არ გავაკეთე, რადგან ვფიქრობდი, რომ ჩემი ოთახიდან გასვლით ელისოში დაწყებულ შეგუების პროცესს შევაფერხებდი. ეს რთული და ხანგრძლივი პროცესია და საბოლოო შედეგი მხოლოდ შემგუებლის მხრიდან ამბოხის აქტის განხორციელების შემდეგ მიიღწევა. ელისომ ამბოხის უცნაური (ჩემთვის მოულოდნელი) ფორმა შეარჩია.

-28-

გარეგნულად მშვიდი დეკამერონის შემდეგ, მეთერთმეტე დღეს, შუადღისას ელისომ ჩემი ოთახის კარი შემოაღო. კარის გაღების ხმაზე მე თავი ავწიე და სრულიად შიშველი ელისო დავინახე.

– ირაკლი, მე გავალ, გავისეირნებ და მოვალ, – მითხრა ელისომ და კარი მოხურა.

წამოვვარდი, კარი გავაღე, გავედი და ელისო შევაჩერე, მკლავებში მოვკიდე ხელები, შევანჯღრიე და ვუყვირე:

– რას შვები?! – ელისოს თვალები გაუფართოვდა, მივხვდი, რომ შეეშინდა, ოღონდ ამ შიშში სიამოვნებაც იყო, რადგან ელისოს ამბოხმა შედეგი გამოიღო. მე ვყვიროდი, – რას შვები?! გამოყლევდი შეჩემა?!

– რა იყო ირაკლი, გრცხვენია, შენმა ცოლმა შიშველმა რომ გაისეირნოს ქუჩაში?!

– კი, მრცხვენია, – ვთქვი მე.

– აი, ეხლაც მარტო შენს თავზე ფიქრობ, – ელისოს თვალებში სიამოვნებანარევი შიში გაუქრა, – შენი პრესტიჟის გარდა ყველაფერი ფეხებზე გკიდია, – უკვე სევდა ედგა თვალებში ელისოს, – შენი პრესტიჟი, – ელისო ახარხარდა.

– არა, შენ არ მკიდიხარ, – ვთქვი და ელისო ხელებში ავიტაცე, ელისომ თმაში ჩამავლო ხელები და მსუბუქად მომწიწკნა, – გამიშვი, გამიშვი, სასეირნოდ უნდა წავიდე,

– ელისო ჩემ ხელში იყო და ამიტომ უკვე ფიქრის საშუალება მქონდა, გავიფიქრე: „ეხლა რომ გავუშვა, რას იზამს, მართლა ხომ არ წავა შიშველი სასეირნოდ?"

ერთმნიშვნელოვანი, ზუსტი პასუხი არ მქონდა ამ კითხვაზე, რადგან ერთმნიშვნელოვნად ზუსტად არც ერთმა ადამიანმა არ იცის, რას მოიმოქმედებს მეორე, თუნდაც უახლოესი ადამიანი.

– მიყვარხარ, – ვუთხარი ელისოს უცვეთი, ჯადოსნური სიტყვა და ელისოთი ხელში საძინებლისკენ დავიძარი.

ამ დღის შემდეგ ელისო შეეგუა, რომ მე უნდა ვწერო, მაგრამ წერაზე ეჭვიანობა არ შეუწყვეტია, დღემდე ეჭვიანობს.

-29-

ოთახში შევდივარ, მარი კარს კეტავს, ხმას არ იღებს, ოთახის დათვალიერებას მაცლის.

ოთახი დიდია და ნათელი, სადადაა მოწყობილი, მხოლოდ აუცილებელი საგნები: საწერი მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, სავარძელი (მოსასვენებლად) კარადა (ტანსაცმლისთვის) სარკე, (საკუთარი თავის დასანახად და კიდევ იმისთვის, რომ არ დამავიწყდეს: ჯერჯერობით სამყაროს ისე ვხედავ, როგორც სარკეში), დიდი საწოლი. კედლები თეთრადაა შეღებილი, მთავარი კარის გარდა ოთახში კიდევ ერთი კარია, მარი მამჩნევს, რომ ამ კარს ვუყურებ.

– მანდ აბაზანა და ტუალეტია, – მეუბნება მარი, – გინდა ნახო? – მარი მიღიმის.

– არა, მე თვითონ ვნახავ მერე, – ვამბობ და მარის ვუღიმი, – მომწონს. კარგი ოთახია, – ვასკვნი, – წავალ ეხლა მე და ხვალ მოვალ.

– სად წახვალ? – მეკითხება მარი.

– სახლში, ტანსაცმელს გადმოვიტან.

– არ არის საჭირო, – მეუბნება მარი, კარადასთან მიდის, აღებს და ხელით მანიშნებს, რომ მასთან და კარადასთან მივიდე.

მივდივარ. კარადა სავსეა ახალთახალი ტანსაცმლით.

– ეს ყველაფერი შენია, – მჩუქნის მარი ტანსაცმელს.

– დიდი მადლობა, – ვამბობ მე, – მაგრამ მაინც უნდა წავიდე.

– რატომ? – მეკითხება მარი.

– ახალი წიგნის მასალები მიდევს სახლში და უნდა წამოვიღო, მამაშენის მემუარების პარალელურად იქნებ რამის დაწერა მოვახერხო.

– ახალ წიგნს წერ? ძალიან მაინტერესებს.

– ვცდილობ, რომ დავწერო, ჯერჯერობით თავში ვარ.

მარი კარადის კარს ხურავს.

– წამო, მე მიგიყვან სახლამდე, – მთავაზობს მარი.

– არა, ნუ შეწუხდები.

– არანაირად არ ვწუხდები, წამო, წამო, – მარი მთავარი კარისკენ მიდის, მივყვები. მარი კარს აღებს, მიმეორებს, – წამო, წამო, – ოთახიდან გამოვდივართ.

მარი კარს კეტავს და კვლავ დერეფანში ვართ, ერთ დერეფანში ორჯერ ვერ მოვხვდები, რადგან მე ვიცვლები.

– 30 –

მარი „ახალი წიგნის“ (გადავწყვიტე, სწორედ ასე დავარქვა ჩემს ახალ რომანს – „ახალი წიგნი“) ერთ-ერთი პირველხარისხოვანი პერსონაჟია, რომელიც თანდათან ყალიბდება ჩემს თავში. მაგალითად, მისი გარეგნობა სამზარეულოში ვაშლის ჩაკბეჩა-ჩახრამუნებისას დავინახე. ახლა მარის ასაკზე ვფიქრობ: რა ასაკისაა მარი? ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორი ავტომობილით გამოვა მარი გარაჟიდან. თუ მარი სპორტული ავტომობილით გამოსრიალდება, ესე იგი ის 25 წლამდეა, თუ კლასიკური სტილის ავტომობილით – 30 წლამდე; თუ სპეციალურად ქალური დიზანით შექმნილი ავტომობილით, მაშინ მარი 30 წელს ზევითაა.

გარაჟის კარი ავტომატურად იღება და ჩემთვის სრულიად მოულოდნელად მარი გარაჟიდან მოტოციკ-

ლეტით გამოდის. ვიღიმი, მარი მოტოციკლეტს ჩემ წინ აჩერებს და მეუბნება:

– დაჯექი.

ვჯდები, მარის წელზე ვხვევ ხელებს. ვიწრო წელი აქვს მარის.

მარი მოტოციკლეტს ძრავს და სწორედ ამ დროს მე ვხვდები მარის ასაკს – მარი თინეიჯერია. 19 წლის. ასევე ვხვდები, რატომ თქვა მარიმ, რომ ქალიშვილი არ არის. ასაკობრივი თავქარიანობაა და არა ფაქტის კონსტატაცია.

-31-

სულ უფრო და უფრო მაგრად ვხვევ მარის წელზე ხელებს, (მაგრად, მაგრამ არა უხეშად) რადგან სულ უფრო და უფრო სწრაფად მიაქროლებს მარი მოტოციკლეტს. მიხარია, რომ მარი უკვე რეალურია, აქვს: გარეგნობა, ასაკი, თვისებები, (მაგალითად: აინტერესებს ლიტერატურა და მართავს მოტოციკლეტს).

ცენტრალურ ქუჩაზე გავდივართ. გზაზე საცობია. მარი სიჩქარეს აგდებს. მანქანებს შორის მივძვრებით, ავტომობილებიდან მძღოლები და მგზავრები გვათვალიერებენ, მოტოციკლეტით აღფრთოვანებულები არიან, მოტოციკლეტზე ჩემი და მარის განლაგებით ოდნავ გაკვირვებულები, საერთოდ პირიქითაა: წინ კაცი ზის და მართავს მოტოციკლეტს, ქალი კი – უკან.

ცენტრალური ქუჩიდან ტრასაზე გავდივართ და მარი კვლავ სიჩქარეს ზრდის. დროდადრო მინდა, რომ ვიკივლო და ვიყვირო, რომ მეშინია ასეთი ქროლვის, მაგრამ თავს ვიკავებ, ისედაც ქალურ მდგომარეობაში ვარ.

-32-

მარი მოტოციკლეტს ჩემს სადარბაზოსთან აჩერებს. მოტოციკლეტიდან გადმოვდივარ და მხოლოდ ახლა მახსენდება, რომ მარისთვის ჩემი სახლის მისამართი არ

მითქვამს. „ჯაფარიძეს თავიდან ბოლომდე ვყავარ შესწავლილი“, ვასკვნი.

– არ ამოხვალ? – ეს კითხვით ფორმაში ნათქვამი შეთავაზებაა.

– არა, – მეუბნება მარი.

– მაშინ ხვალამდე, – ვეუბნები მარის.

– ცხრა საათისთვის აქ ვიქნები. ხვალამდე, – მემშვიდობება მარი, მოტოციკლეტს ატრიალებს და მიდის.

მე სადარბაზოში შევდივარ, ლიფტს ვიძახებ, კაბინის დაძვრის ხმა მესმის, შემდეგ ტროსების ჭრიალი, შემდეგ კაბინის გაჩერების ხმა, კარი იღება და კაბინაში შევდივარ. ღილაკს თითს ვაჭერ და იწყება ზესვლა.

– 33 –

ალექსანდრე ჯაფარიძის სასახლის და ამ სასახლეში ჩემთვის გამოყოფილი ოთახის ნახვის შემდეგ ჩემს სახლზე რაღაც გული აღარ მიმდის. სამუშაო ოთახში შევდივარ, ახალი წიგნის უკვე დაწერილ თავებს ვკრებ, საქაღალდეში ვაწყობ, შემდეგ კარადიდან ჩანთას ვიღებ, ჩანთაში საქაღალდეს ვდებ, ჩანთას ვკეტავ და საწერ მაგიდაზე ვდებ. შემდეგ სამუშაო ოთახს ვტოვებ და მივდივარ იქ, სადაც თვით ალექსანდრე ჯაფარიძეც საკუთარი ფეხით დადის.

ტუალეტის კარს ვაღებ, შევდივარ, კარს ვკეტავ და უნიტაზის თავსახურს ვწევ. წყლის ჩქრიალი მესმის. ალექსანდრე ჯაფარიძის სასახლეში ჩემი ტუალეტი არ მინახავს, ამიტომაც ჯერ ჩემი სახლის ტუალეტი არ დაკნინებულა ჩემს თვალში.

ქამარს ვიხსნი, შემდეგ შარვლის ღილებს, მოსაშარდ აპარატს (ამ კონკრეტულ შემთხვევაში ასეა) ვიღებ და სწორედ ამ დროს მობილურ ტელეფონზე მირეკავენ. აპარატს ხელს ვუჭერ, ხოლო მეორე ჯიბიდან მობილურ ტელეფონს ვიღებ, უცნობი ნომერია.

მოშარდვას და ტელეფონზე საუბარს ერთდროულად ვიწყებ:

– ბატონო.

– გამარჯობა. ბატონი ირაკლი ანდღულაძე ბრძანდებით? – ქალის ხმაა.

– დიახ, ირაკლი ვარ.

– გამარჯობა, ბატონო ირაკლი, მე ჟურნალ „გლობუსის" ჟურნალისტი თამთა გველესიანი ვარ, ინტერვიუ მინდა თქვენთან რომ გავაკეთო.

– სიამოვნებით, – ვამბობ და უნიტაზში აქაფებულ შარდს ვუცქერ.

– შეგიძლიათ ერთ საათში შემხვდეთ კაფე „გლობუსში?"

– შემიძლია.

– ძალიან კარგი, გელოდებით.

– დროებით, – ვამბობ მე და ტელეფონს ვთიშავ, ტელეფონის აპარატს ჯიბეში ვიდებ, ხოლო მოსაშარდ აპარატს ჯერ ვფერთხავ, შემდეგ ტრუსებში ვაბინავებ, შარვლის ღილებს და ქამარს ვიკრავ, უნიტაზს ვრეცხავ და ონკანთან მივდივარ. ონკანს ვხსნი და ხელებს ვიბან.

– 34 –

კაფე „გლობუსი" ჩემი სახლიდან რამდენიმე ასეულ მეტრშია და რადგან გარეთ კარგი ამინდია, შეხვედრაზე ფეხით მივდივარ.

ინტერვიუებით დიდად განებივრებული არ ვარ. სულ რამდენიმე ინტერვიუ მაქვს მიცემული, ისიც მცირეტირაჟიანი ლიტერატურული ჟურნალებისთვის, ასე რომ, ეს ჩემი პირველი ინტერვიუა მასისთვის. ამის უკან, რა თქმა უნდა, ალექსანდრე ჯაფარიძე დგას, მისი დავალება თუ კარგად შევასრულე, ის საკუთარი ტელევიზიის „გლობუსტვ"-ის ეთერსაც დამითმობს. ეს ამბავი მახარებს, თუმცა საფრთხეებსაც ვგრძნობ. ხშირი ინტერვიუებით, ტელეეკრანზე ხშირი გამოჩენით შესაძლებელია ჩემი წიგნების გარეშე გავხდე ცნობილი მწერალი – ანუ ყველა მცნობს, ყველა მაღიარებს მაგარ მწერლად, მაგრამ რეალურად

არავის ჩემი ტექსტები წაკითხული არ აქვს.

კაფე „გლობუსის" კარს ვაღებ, შევდივარ, აქეთ-იქით ვიხედები. კაფე ნახევრად ცარიელია, ძირითადად წყვილები სხედან, წვენებს წრუპავენ და ერთმანეთს ეჩურჩულებიან.

კაფეს მარჯვენა კუთხეში მდგომ მაგიდასთან გოგოზის, ჩემ დანახვაზე დგება და ჩემკენ მოდის. მეც ვდგამ მისკენ რამდენიმე ნაბიჯს, და აი, ჩვენ პირისპირ ვდგავართ. ის ხელს მიწვდის და მესალმება:

– გამარჯობა, ბატონო ირაკლი, მე თამთა გველესიანი ვარ.

– გამარჯობა, თამთა, – ვუღიმი და ხელს ვართმევ, – ბატონობის გარეშე ვილაპარაკოთ, კარგი?

– კარგი, – მეუბნება თამთა და მიღიმის.

– 35 –

ადამიანების უმრავლესობას ჟურნალისტები არ უყვარს. ამის მიზეზი თავად ჟურნალისტების მიერ ადამიანების ცხოვრებაში და საქმიანობაში ცხვირის ჩაყოფის ზედმეტად აქტიური მცდელობაა, მაგრამ არსებობს კიდევ სხვა მიზეზიც (პირადად ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი): ჟურნალისტები (ყოველ შემთხვევაში, საქართველოში) პოლიტიკოსების დანამატად იქცნენ. ეს ჩვეულებრივი კორუფციაა და არა აქვს მნიშვნელობა, პოზიციის დანამატი ხარ თუ ოპოზიციის.

კულტურის სფეროში მომუშავე ჟურნალისტები, თითქოს ამ გარიგებაში არ მონაწილეობენ, მაგრამ თითქოს და ერთი შეხედვით, რადგან კულტურა პოლიტიკოსების ინტერესის სფეროა, პოლიტიკოსებს ჭირდებათ კულტურა საკუთარ სამსახურში. თუ პოლიტიკოსი დიქტატორია, ის არასოდეს კმაყოფილდება თავისი თანამედროვე კულტურით, ის ყოველთვის წარსულის დიდ სახელებს უნევს ექსპლუატაციას. განსხვავებულ მდგომარეობაშია დემოკრატი პოლიტიკოსი. მისი პოლიტიკური კარიერა არჩევნებზეა

დამოკიდებული, არჩევნები მასობრივი მოვლენაა, თანაც დროში შეზღუდული. აქედან გამომდინარე, პოლიტიკოსი იძულებულია, თავად იქცეს მასის ნაწილად. ზუსტად ამიტომ იყენებენ დემოკრატი პოლიტიკოსები მასკულტურის წარმომადგენლებს, თორემ არ მგონია, მათ ნაგავ მუსიკას ან მათ მდარე სერიალებს თავად უსმენდნენ ან უყურებდნენ. არჩევნების შემდეგ ხელისუფლება მასობრივი პოლიტიკიდან კორპორატიულ პოლიტიკაზე გადადის. ეს ტენდენცია მთელ მსოფლიოში შეინიშნება; მთელ მსოფლიოში საჯარო პოლიტიკას თანდათან კორპორაციული პოლიტიკა ენაცვლება (ყველაზე დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი). მოქალაქეების ინტერესებზე მაღლა კორპორაციის ინტერესები დგება. განვითარებული ქვეყნები ამას ჯერჯერობით იტანენ, რადგან ამ ქვეყნების მოქალაქეები ავტომატურად სხვადასხვა კორპორაციების თანამშრომლები არიან, მაგრამ საქართველოსნაირ ქვეყანაში კორპორატიული პოლიტიკის წარმოება გამუდმებულად რევოლუციის საფრთხის წინაშე აყენებს ქვეყანას, ხოლო მოქალაქეები თანდათან პროფესიონალ რევოლუციონერებად ყალიბდებიან.

– 36 –

პირისპირ ვსხედვართ. ჯერჯერობით ზოგადი საუბარი გვაქვს, უფრო სწორად, თათია ლაპარაკობს, ჩემს ნაწარმოებს აქებს, ხოლო მე თავს ვუქნევ და „დიდი მადლობა“, „მიხარია, რომ მოგწონს“ ვიძახი.

მაგიდასთან ოფიციანტი გოგო მოდის. ის აშკარად თათიაზე ლამაზია, მაგრამ აშკარად თათიაზე უტვინო. თათია ამას გრძნობს, კლიენტის მდგომარეობას იყენებს და ოფიციანტ გოგოს ყოველგვარი „თუ შეიძლება“ და „თუ არ შეწუხდების“ და მსგავსი ფორმალობების გარეშე ეუბნება:

– ორი ყავა.

ოფიციანტი გოგო მე მიყურებს.

– ორი ყავა, – ვიმეორებ.

ოფიციანტი გოგო მიდის.

– დავიწყოთ ინტერვიუს ჩაწერა? – მეკითხება თათია.

– დავიწყოთ, – ვამბობ მე და კოლოფიდან სიგარეტს ვიღებ.

თათია ჩანთას ხსნის და დიქტოფონს იღებს. დიქტოფონი პატარაა. თათია დიქტოფონს რთავს.

– ერთი, ორი, სამი, – ამბობს თათია, შემდეგ ამოწმებს, ჩაიწერა თუ არა დიქტოფონმა მისი „ერთი, ორი, სამი", – ჩაიწერა. დავიწყოთ, – იმეორებს თათია და ვიწყებთ.

– 37 –

თათია: მომიყევით თქვენ შესახებ, სად და როდის დაიბადეთ, როგორი ბავშვობა გქონდათ (თათია მარჯვენა ხელის იდაყვით მაგიდას ეყრდნობა, ხოლო ხელისგულს ნიკაპქვეშ იდებს).

მე: დავიბადე (სიგარეტს ვუკიდებ, ღრმა ნაფაზს ვარტყამ, ცხვირიდან და პირიდან ვბოლავ) 1976 წელს, საბჭოთა კავშირში, კერძოდ ქალაქ თბილისში. მამაჩემი ფიზიკოსია, დედა – დიასახლისი. მქონდა ჩვეულებრივი საბჭოთა ბავშვობა (სიგარეტს ვფერფლავ). ვისაც არ უცხოვრია საბჭოთა კავშირში ის ვერასოდეს ვერ მიხვდება, რას ვგულისხმობ.

თათია: წერა რა ასაკში დაიწყეთ?

მე: წერა დავიწყე 18 წლის ასაკში, პროზაიკოსების უმეტესობა ლექსებით იწყებს და შემდეგ გადადის პროზაზე. ჩემს შემთხვევაში ასე არ მომხდარა – პირდაპირ პროზით დავიწყე (ვიტყუები, მინდა, რომ ორიგინალური ვიყო. რეალურად რა თქმა უნდა, ლექსებით დავიწყე. რამდენიმე ჩემი ლექსი ახლაც ზეპირად მახსოვს).

თათია: რაში ხედავთ თანამედროვე მწერლის დანიშნულებას (თათია ხელებს მაგიდაზე აწყობს)?

მე: კარგი წიგნების წერაში (ორივე ვიცინით).

– 38 –

ინტერვიუ ნახევარ საათს გაგრძელდა, შემდეგ თათია სამარშრუტო ტაქსიში ჩავსვი და გავუშვი, ხოლო მე სახლისკენ წამოვედი.

დაღლილი ვარ, ლაპარაკით დავიღალე. ინტერვიუ დაკითხვის ერთ-ერთი ფორმაა, ნებაყოფლობითი და არაძალადობრივი ფორმა, და სწორედ ეს ნებაყოფლობითობის და არაძალადობის განცდა აქაფებინებს პირს რესპოდენტს და ავიწყებს, რომ ინტერვიუს ნებისმიერი სიტყვა შეიძლება გამოყენებული იქნას მის წინააღმდეგ. სხვათა შორის, ლიტერატურაშიც ასეა: ნებისმიერი სიტყვა შეიძლება გამოყენებული იქნას ავტორის საწინააღმდეგოდ მკითხველის, კრიტიკოსის ან პერსონაჟის მიერ.

მინიმარკეტში შევდივარ, წვენს, სოსისს, მდოგვს და პურს ვყიდულობ, პარალელურად ინტერვიუზე ვფიქრობ, დეტალებს ვიხსენებ. მგონი ძირითადად საინტერესოდ ვილაპარაკე, ფინალისკენ ცოტა ავურიე, როდესაც თათიამ მკითხა, მაქვს თუ არა ჰობი, რაღაცეებს მივედ-მოვედე. არ არის საჭირო ყოველთვის ფილოსოფოსობა, ჰობი – ფეხბურთი, შემეძლო მეპასუხა, მაგრამ არ ვუპასუხე და ამოვიქექე, ჰობის არსი და ა. შ. არ იყო საჭირო.

სახლში შევდივარ, პროდუქტებს სამზარეულოში, მაგიდაზე ვაწყობ, შემდეგ წყლით ნახევრად სავსე ქვაბს გაზქურაზე ვდგამ და ქვაბში სოსისებს ვყრი.

მშია.

– 39 –

38-ე თავის უკანასკნელი სიტყვა ჩემს რეალურ მდგომარეობას გამოხატავს – „მშია“. წერას ვწყვეტ, კალამს ქაღალდზე ვდებ, ვდგები და სამზარეულოში გავდივარ, მაცივრის კარს ვაღებ. ღია მაცივრიდან წამოსული სიცივე მსიამოვნებს, მაგრამ გაცილებით სასიამოვნო სხვა რამ არის: კატლეტებიანი ქვაბი. კატლეტებიან ქვაბს ვიღებ. მაცივრის კარს ვხურავ, ქვაბს მაგიდაზე ვდგამ და ვფიქრობ:

გავაცხელო კატლეტები თუ არა? ჯობს გავაცხელო, ცხელი კატლეტი უფრო გემრიელია. ტაფას ვიღებ, გაზქურაზე ვდგამ, გაცხელებას ვაცლი, შემდეგ კარაქის ნაჭერს ვაგდებ და ტაფა შიშხინს იწყებს (ასე ამბობენ ხოლმე, თორემ რეალურად კარაქი შიშხინებს). კარაქის ნაჭერი რამდენიმე წამში დნება და მე დამდნარ კარაქში კატლეტებს ვაწყობ. პურს ვჭრი, მაცივრიდან ტყემალი გამომაქვს, კარადიდან თეფშს, ხოლო უჯრიდან დანა-ჩანგალს ვიღებ, ამ ყველაფერს მაგიდაზე ვაწყობ და ტაფასთან მივდივარ, კატლეტებს ვაბრუნებ და კვლავ მაცივართან მივდივარ, მახსენდება, რომ მაცივრიდან წვენის გამოღება დამავიწყდა. ვიღებ ატმის წვენს, მაცივრის კარს ვკეტავ, ვაღებ კარადას – ვიღებ ჭიქას, ვკეტავ კარადას და წვენს (მუყაოს კოლოფში) და ჭიქას მაგიდაზე ვდებ. ტაფასთან მივდივარ და კატლეტებს დავცქერი. „ეყოფა გაცხელება", ვფიქრობ და ტაფას ტარში ვკიდებ ხელს, მეორე ხელით გაზქურას ვაქრობ და მაგიდასთან მივდივარ, ტაფას ზედსადგამზე ვდგამ, ვჯდები, ხელებს ვიფშვნეტ, შემდეგ ჩანგალს ვიღებ და კატლეტში ვარჭობ (პირველყოფილი მონადირის დეგრადირებული ვარიანტი ვარ, შუბის ნაცვლად – პატარა ჩანგალი, ცოცხალი ნადირის ნაცვლად – კატლეტი) და კატლეტი თეფშზე გადმომაქვს. ნერწყვს ვყლაპავ, კატლეტს შუაზე ვჭრი და ჭამის დაწყებას ვაპირებ, მაგრამ სწორედ ამ დროს სახლის ტელეფონზე რეკავენ. ვინც არ უნდა იყო შენ, მდიდარი თუ მათხოვარი, ახლობელი თუ უცხო, შენი დედა ვატირე მე.

ვდგები და ტელეფონზე საპასუხოდ მივდივარ.

– 40 –

მამაჩემია. ამაღლებულ განწყობაზეა, ძირითადად თვითონ ლაპარაკობს. სამზარეულოდან კატლეტის სუნი გამოდის და ვიბნიდები, მაგრამ მამაჩემს ვერ ვეტყვი, მერე დამირეკე-მეთქი, ამის მიზეზი ისაა, რომ, გააზრებული მაქვს: საუკეთესო შემთხვევაში მეც მეყოლება შვილი და

არ მესიამოვნება, მერე დამირეკეო რომ მითხრას, მით უმ-ეტეს, თუ იმ დროს ამაღლებულ განწყობაზე (საშინელი გამოთქმაა) ვიქნები.

– შეგიძლია წინასწარ მომილოცო, – მეუბნება მამა.

– რა უნდა მოგილოცო? – ვეკითხები.

– მომავალი წლის ნობელის პრემია, – ამბობს მამა და მე ვხვდები მამას ამაღლებული განწყობის მიზეზს. ასე პირ-ველად არ ხდება, ახლა მამა მეტყვის, რომ მისი თეორია თითქმის დამტკიცებულია. ჩემი ცოდნა ფიზიკაში სასკოლო პროგრამას არ სცილდება, ეს რა თქმა უნდა სამწუხარო ფაქტია (პირადად ჩემთვის და არა კაცობრიობისთვის), რადგან ჩემი აზრით, პროზაიკოსმა, განსხვავებით პოეტის-გან (პოეტი უბრალოდ ნამდვილი პოეტი უნდა იყოს! თუმცა მე პირადად მხოლოდ და მხოლოდ გულით დაწერილი ლექსები დიდად არ მომწონს), კარგად უნდა იცოდეს მისი თანამედროვე მეცნიერების სხვადასხვა დარგის მიღწევები, რადგან პროზაიკოსი (ისევ!) პოეტისაგან განსხვავებით ტე-ქსტის სრული მესაკუთრე არ არის, ის მხოლოდ აქციების საკონტროლო პაკეტს ფლობს, დანარჩენი აქციები პერსონ-აჟებს ეკუთვნით. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ავტორი ტექსტის სტრატეგიას განსაზღვრავს. რაც შეეხება ტაქტიკას, მის შემუშავებაში პერსონაჟებიც მონ-აწილეობენ. ახლა დავუშვათ, რომ პერსონაჟები ტაქტიკის შემუშავებაში მეცნიერების სხვადასხვა დარგის მიღწევებს იყენებენ. ამ საკითხებში გაუთვითცნობიერებელი ავტორი იძულებულია, ერთპიროვნული გადაწყვეტილება მიიღოს და ტექსტი ლირიკული გახადოს. ლირიკა ყოველთვის ჰერ-მეტულია, ჰერმეტული რომანი, ჰერმეტული მოთხრობა – ეს თანამედროვე პროზის ყველაზე გავრცელებული სახე-ობებია (რა თქმა უნდა, ბულვარულ ლიტერატურას თუ არ ჩავთვლით) და ეს ყველაფერი სწორედ ავტორის მიერ ერთ-პიროვნულად მიღებული გადაწყვეტილების შედეგია.

ჩემი ტექსტები ამ მხრივ გამონაკლისი არ არის და მე ეს არ მომწონს.

მამაჩემმა კარგად იცის ფიზიკაში ჩემი ცოდნის დონე, ამიტომ საკუთარ მიღწევებზე სასაუბრო ენით მელაპარაკება და არა სპეცტერმინოლოგიით.

– მოკლედ, სუ ცოტა და ჩემი აღმოჩენა ფორმულის სახეს მიიღებს, – მეუბნება მამა, მე ჩუმად ვარ, – ხმას რატომ არ იღებ? – მსაყვედურობს მამა, – არ გიხარია?

– კი, როგორ არა, მიხარია, – ვამბობ მე. „უბრალოდ მშიერი ვარ", ვფიქრობ, მაგრამ არ ვამბობ, ვიმეორებ, – მიხარია, ძალიან მიხარია.

– უნდა გიხაროდეს, აბა რა, – ამბობს მამა. ახლა ჩემ გვერდით რომ იყოს, აუცილებლად მხარზე ხელს დამიტყაპუნებდა და თვალებში შემომხედავდა, – ხვალ მიდი ბანკში, ანგარიშზე ფული დაგისვი. ელისო როგორ არის? – მეკითხება მამა, ეს უკვე შინაურული საუბარია, ხოლო შინაურობას სულ სხვა პირველსაწყისი აქვს: შინაურების კარგად ყოფნა.

– კარგად არის, – მოკლედ ვპასუხობ მამას, რადგან ახსნა-განმარტების არანაირი სურვილი არ მაქვს, მით უმეტეს, რომ მამა არ მთხოვს ამის გაკეთებას, – დედა რას შვება? – ვეკითხები.

– მეუბნება, ჩქარა გამოიყვანე ეგ შენი ფორმულა და თბილისში დავბრუნდეთო. მეც ვპირდები, რომ გამოვიყვან და დავბრუნდები, არადა რეალურად ფორმულა თუ დაჯდა, საბოლოოდ აქ ვარ ჩარჩენილი. მოკლედ, ცუდადაა ჩემი საქმე, მამული დავკარგე, ენა უნივერსალური მაქვს, სარწმუნოება კიდევ არასდროს არ მქონია, ეჰ, – ოხრავს მამა.

ეს უკვე შინაურული საუბარი აღარ არის – ეს ეგზისტენციალურ პრობლემებზე საუბარია შინაურობაში.

– კარგი რა, მამა, მამულიც გაქვს, ენაც და სარწმუნოებაც, ოღონდ სარწმუნოება მცდარი.

– დაიწყე ეხლა, – მსაყვედურობს მამა, – ვერ ვიჯერებ. არაგონივრულია და ვერ ვიჯერებ.

– კაი, კაი, – ვამბობ მე.

ტელეფონში მობილურის წკრიალი მესმის.

– ერთი წუთით, – მეუბნება მამა, ტელეფონს იღებს და მამას ინგლისურ ენაზე საუბარი მესმის – საშინელი აქცენტი აქვს. მამა საუბარს ამთავრებს.

– წავედი, ლაბორატორიიდან დამირეკეს. მოკლედ, მიდი ხვალ ბანკში და ფული აიღე.

– მივალ, მადლობა მამა.

მამა ყურმილს კიდებს. მეც ვკიდებ ყურმილს და სამზარეულოში ვბრუნდები, მაგიდასთან ვჯდები. კატლეტი გაცივდა, მაგრამ ხელახლა გაცხელების თავი არა მაქვს.

ჭამას ვიწყებ.

– 42 –

ჭამის შემდეგ ლოჯში გავდივარ, თან წვენი (მუყაოს კოლოფში) და ჭიქა მიმაქვს. ლოჯში წვენს და ჭიქას მაგიდაზე ვდებ, სამუშაო ოთახში გასვლა მეზარება, ამიტომ მაგიდიდან ელისოს წვრილ, ქალის (თუ ქალურ?) სიგარეტს და მოხატულ სანთებელას ვიღებ, დივანზე ვჯდები და სიგარეტს ვუკიდებ. ვეწევი და მამაჩემზე ვფიქრობ, უფრო სწორად, მამაჩემის ერთ წინადადებაზე – „არაგონივრულია და ვერ ვიჯერებ". მამა ქრისტეს აღდგომას გულისხმობდა. აი, მაცხოვარს აღდგომის ფიზიკური ფორმულა რომ დაეტოვებინა, მაშინ მამა დაიჯერებდა. მკურნალმა პირველ რიგში საკუთარ თავს უნდა უმკურნალოს, მე ამ პრინციპიდან გამოვდივარ და რადგან მე თავად მძიმე ავადმყოფი ვარ, ანუ ჩემი რწმენის მიხედვით ვერ ვცხოვრობ, თავს უფლებას არ ვაძლევ, რომ მამას ახსნა-განმარტებითი სამუშაო ჩავუტარო.

სიგარეტს ვფერფლავ, წვენს ჭიქაში ვისხამ და ვსვამ, ჭიქას მაგიდაზე ვდებ და დივანის საზურგეს ვეყრდნობი. ფიქრს ვაგრძელებ: დავუშვათ, მამამ მართლა დააჯინა (თავად ამბობს ასე) ფორმულა და დამტკიცდა, რომ სამყარო აფეთქების შედეგად წარმოიქმნა, მამა არანაირად არ დაუშვებს იმას, რომ ეს აფეთქება ღმერთის სიტყვას

(იქმნეს ნათელი!) მოყოლილი ფიზიკური რეაქცია იყო. არგუმენტი იგივეა – ეს არაგონივრულია.

მაგიდისკენ ვიხრები, სიგარეტს საფერფლეში ვაქრობ, პულტს ვიღებ და ტელევიზორს ვრთავ. არხიდან არხზე არ გადავდივარ, პირდაპირ FTV-ის ვრთავ. აქ ყოველთვის კარგი მუსიკაა და ლამაზი გოგოები (მერე რა, რომ დღეში ორჯერ იკეთებენ ოყნას). როდესაც ელისოსთან ერთად ვუყურებ ამ გოგოებს, მშვიდად ვარ. ახლა, როდესაც მარტოკაცი ვარ და პოდიუმზე მოსიარულე გოგოებს ვუცქერ, გარყვნილებაში მივდივარ – სათითაოდ, ორი ერთად, ყველა ერთად, ორგია მაქვს თავში და თვალწინ და ჩემი მთავარი პრობლემა ზუსტად ეს არის – რამდენიმე წუთის წინ ღმერთის სიტყვაზე ვფიქრობდი, ხოლო ახლა თავში ორგია მაქვს.

ტელევიზორს ვთიშავ, პულტს მაგიდაზე ვდებ და სამუშაო ოთახში ვბრუნდები.

– 43 –

სოსისებს ქვაბიდან ვიღებ და თეფშზე ვაწყობ. სოსისებს ორთქლი ასდის. თეფშს მაგიდაზე ვდებ, სკამზე ვჯდები და ჭამას ვიწყებ. ვჭამ და ინტერვიუს დეტალებს ვიხსენებ. მე თუ ყველა ჩემს ინტერვიუზე ამდენი ვიფიქრე, დიდი შანსია, რომ ოცი-ოცდახუთი ინტერვიუს შემდეგ ნევროზი დამემართოს, მაგრამ ალბათ ასე არ მოხდება. ეს მასებზე გასვლის პირველი მცდელობაა და ამიტომ ვფიქრობ ამდენს.

სოსისებს შუაზე ვხლეჩ. მომწონს, როგორ ტკაცუნობენ. შემდეგ სათითაოდ მდოგვში ვაწობ და ვჭამ. ხვალიდან ჩემი მენიუ, იმედი მაქვს, რომ უფრო მრავალფეროვანი გახდება, აი ასე – სჯობს, კარგ რაღაცეებზე ვიფიქრო, ვიდრე ინტერვიუს დეტალები გავიხსენო და თითოეულ სუსტ პასუხზე ვინერვიულო. ინტერვიუ უკვე წარსულია.

წერას ვწყვეტ და ვფიქრობ, რომ უკეთესი იქნებოდა, 43-ე თავი მშიერს დამეწერა, უფრო ეფექტური გამოვიდოდა, ახლა მაძღარი ვარ და არ გამომდის ეფექტურად აღვწერო ქვაბიდან ახლად ამოღებული სოსისები, მათი ტკაცატკუცი გახლეჩისას და ა. შ. საერთოდ ვფიქრობ, რომ მაძღარზე წერა არ გამომდის, პაუზა უნდა გავაკეთო. კალამს ფურცელზე ვდებ, უჯრიდან სიგარეტს და სანთებელას ვიღებ, სიგარეტს ვუკიდებ (ბევრს ვეწევი), ვდგები და ოთახიდან გამოვდივარ. „ელისოს შევეხმიანები", ვფიქრობ და სახლის ტელეფონთან მივდივარ, ელისოს ნომერს ვკრეფ.

– ალო, – ელისოს ხმა მესმის ყურმილში.

– როგორ ხარ? – ვეკითხები.

– კარგად, შენ? – ელისოს ხმაზე ვატყობ, რომ დაღლილია.

– მეც არა მიშავს რა, – ვეუბნები, – მამამ ფული გამოაგზავნა, ხვალ დილით ბანკში შევივლი და იქიდან შენ გამოგივლი.

– მოდი, – მეპატიჟება ელისო.

პაუზა. ასეთი პაუზების დროს ძალიან ვიძაბები. მგონია, რომ ყველაფერი დამთავრდა ჩემი და ელისოს ურთიერთობაში. მინდა რაღაცა ვთქვა, მაგრამ ამ დროს სიტყვები მტოვებენ. პაუზა რამდენიმე წამს გრძელდება. ჩემთვის ეს წამები საათებია. ბანალური, გაცვეთილი ფრაზები ჩემს განცდებს ასაკის მატებასთან ერთად სულ უფრო ზუსტად გამოხატავენ, ასეა ამ შემთხვევაში. მე არ ვიცი, რას განიცდის ელისო მსგავს სიტუაციებში (ალბათ რაღაც მსგავსს), მაგრამ ჩემგან განსხვავებით ის ყოველთვის ახერხებს ხმის ამოღებას, ახლაც ასეა:

– მოკლედ, ხვალ გელოდები, – ამბობს ელისო.

– კარგი, – ყურმილის დადებას ვაპირებ, მაგრამ ელისოს ხმა მესმის.

– ირაკლი.

– ბატონო.

– ხომ ისევ გიყვარვარ?

– კი, ძალიან მიყვარხარ, – სიმართლეს ვამბობ.

– მეც, – მეუბნება ელისო, – ხვალამდე.

– ხვალამდე, – ვემშვიდობები ელისოს და ყურმილს ვდებ. მახსენდება, რომ დედამისი არ მომიკითხავს, „ეგ არაფერი", ვფიქრობ და ლოჯში გავდივარ. საფერფლეში სიგარეტს ვაქრობ, საფერფლეს ვიღებ და სამზარეულოში გავდივარ, საფერფლეს ნაგვის კოლოფში ვცლი.

– 45 –

ჯერჯერობით წერა არ შემიძლია, არც სიმაძღრე გადამსვლია და არც ხასიათზე ვარ. „წავიკითხავ რამეს", ვფიქრობ. წიგნის თაროებთან მივდივარ და ჯორჯ ბერკლის წიგნს „სამი საუბარი ჰილასსა და ფილონიუსს შორის" ვიღებ. ეს არ არის შემთხვევით გამოღებული წიგნი, ამ წიგნის გამოღებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს „ახალი წიგნის" სიუჟეტური განვითარებისთვის.

დივანზე ვწვები, წიგნს ვშლი და კითხვას ვიწყებ. იყო დრო, როდესაც წიგნებს ძალიან სწრაფად ვკითხულობდი, ახლა ასე აღარ არის – წავიკითხავ ერთ გვერდს და ფიქრში მივდივარ.

ამ შემთხვევაში ჩემი საფიქრალი ჯორჯ ბერკლის თხზულების ფორმამ წარმოშვა, ანუ ჩემი საფიქრალი და ჯორჯ ბერკლის ნაწარმოებები ურთიერთკავშირშია (ხდება ხოლმე: ნაწარმოები და საფიქრალი არანაირ კავშირში არ არის ერთმანეთთან. მაგალითად, ერთხელ ჰამლეტის ცნობილი მონოლოგის კითხვისას „რომა"-„ლაციოს" მომავალ მატჩზე ვფიქრობდი, თან სრულიად უანგაროდ, რადგან არც ტოტალიზატორზე და არც ხელზე არ ვმაზავ და არც გადაკლული გულშემატკივარი ვარ).

„საუბარი ჰილასსა და ფილონიუსს შორის" ფილოსოფიური დიალოგის ფორმით დაწერილი წიგნია. თანამედროვე ადამიანისთვის ეს ფორმა სრულიად არარეა-

ლისტურია. ორი ადამიანი ზის ან დგას, სულერთია (ბერკ-ლის წიგნში ეს საერთოდ არ არის მითითებული) და საუბრობს სხვადასხვა ფილოსოფიურ საკითხზე, ვრცლად და აუჩქარე-ბლად. თანამედროვე ადამიანისთვის ეს წარმოუდგენელი სიტუაციაა, რადგან ჩვენ ყველას დროის დეფიციტი გვაქვს. მაგალითად, მე ძალიან მინდა მამასთან ერთად ჩავჯდე და მე და მამამ ვისაუბროთ გონივრულობაზე და არაგ-ონივრულობაზე, ფიზიკაზე და მეტაფიზიკაზე. რეალუ-რად ეს წარმოუდგენელია, მაგრამ წიგნში? წიგნში, რა თქმა უნდა, ეს შესაძლებელია. ბერკლის წიგნს ვხურავ და მამაზე ვფიქრობ. ამ შემთხვევაში, უკვე როგორც პერსონაჟზე.

– 46 –

ბანკში ყოველთვის სოლიდურად ჩაცმული მივდივარ, რადგან ბანკი ის ადგილია, სადაც ჩაცმულობის მიხედვით გხვდებიან და ჩაცმულობის მიხედვით გაცილებენ. ამის მიზეზი ისაა, რომ ვიზიტები ბანკში ყოველთვის ხანმოკლეა და აქედან გამომდინარე, ვიზიტორი საკუთარი გონებრივი შესაძლებლობებით გაბრწყინებას ვერ ასწრებს ბანკის თანამშრომლების წინაშე.

ფულს და პასპორტს ჯიბეში ვიდებ, ბლანკზე ხელს ვაწერ, ოპერატორს ვემშვიდობები და ბანკის გასასვლელ-ისკენ მივდივარ. გზაზე ბანკის ერთ-ერთი თანამშრომელი მაჩერებს.

– გამარჯობა, – მესალმება.

მე თავს ვუქნევ.

– გამარჯობა.

– პლასტიკური ბარათით მომსახურების სისტემაზე გა-დასვლა ხომ არ გნებავთ? – სარეკლამო ბუკლეტს მაწვდის, – მომსახურების პროცენტი მაღალი არ არის.

ბუკლეტს ვართმევ.

– გავეცნობი და თუ დამიჯდა ჭკუაში... – ვუღიმი, – მოკლედ, ვნახოთ.

– კარგად ბრძანდებოდეთ, – მემშვიდობება ის.

– ნახვამდის.

ბანკიდან გამოვდივარ, აქეთ-იქით ვიხედები, კონკრეტულად არაფერს ვეძებ, ეს შენობიდან გამოსული ადამიანის ავტომატური რეაქციაა გაფართოებულ სივრცეზე.

ბუკლეტს ვკუჭავ, არანაირი პლასტიკური ბარათი მე არ მჭირდება, ჩემი ცხოვრების სტილი და პლასტიკური ბარათი ერთმანეთს არ შეეფერება. მე ჩემი ცხოვრების სტილით არ ვამაყობ, თუმცა მომწონს, რომ ადამიანებთან ურთიერთობაში ხაზგასმულად მწერალი (ხელოვანი, შემოქმედი) არ ვარ. გამონაკლისი ელისოა, იმიტომ, რომ ელისო ჩემთვის ყველაზე ახლობელი ადამიანია. ახლა სწორედ მის მოსანახულებლად მივდივარ.

პირველივე ნაგვის ურნაში დაკუჭულ ბუკლეტს ვაგდებ და ტაქსის გასაჩერებლად ვდგები. ჩემ წინ მანქანა ჩერდება. მინის მიღმა ჩემი ბავშვობის მეგობრის, საბა ძნელაძის გაღიმებულ სახეს ვხედავ.

მანქანასთან მივდივარ, კარს ვაღებ და ვჯდები.

– 47 –

– მანქანა გამოგიცვლია, – ვეუბნები საბას, მუხლზე ხელს ვუტყაპუნებ და ვულოცავ, – მშვიდობაში!

– გაიხარე, – მეუბნება საბა, შემდეგ მიხსნის, – ერთი კვირის წინ გამოვიყვანე. საით?

– ელისოსთან მივდივარ სახლში.

– ელისო საოცრებათა ქვეყანაში, – საბა იღიმის, – როგორ არის?

– ნორმალურად.

საბა მანქანას ძრავს.

„ელისო საოცრებათა ქვეყანაში“ – ეს საბას ძველისძველი (ჩემი აზრით, არც ისე მაგარი) ხუმრობაა.

– ისე, შენთან ამ დღეებში ვაპირებდი დარეკვას, – მეუბნება საბა, – საქმე მაქვს, უფრო სწორად – შემოთავაზება. კარგია, რომ შემხვდი, ბარემ აქვე გეტყვი.

– გისმენ, – თვალებში ვუყურებ საბას და ვულიმი.

საბა მანქანას აჩერებს. გადასასვლელზე ფეხით მოსიარულეები გადადიან. ერთ-ერთს, ახალგაზრდა კაცს, ორი დიდი ჩანთა აქვს მხრებზე გადაკიდებული და მიზოზინებს. საბა უსიგნალებს, მხრებზე ჩანთაგადაკიდებული კაცი ცდილობს, უფრო სწრაფად იმოძრაოს. საცოდაობაა.

– ნუ უსიგნალებ, რა, – ვთხოვ საბას.

– შენ ეხლა, როგორც მწერალს და ჰუმანისტს გეცოდება ხომ, ეს ტიპი და ამისნაირი ბედის საძიებლად ქალაქში ჩამოსული პროვინციელები? – მხრებზეჩანთებგადაკიდებული კაცი ტროტუარზე ადის. საბა მანქანას ძრავს, გზას ვაგრძელებთ, – არ უნდა გეცოდებოდეს, ამათი საშველი არ არის. აი, იმან, – საბა მარცხენა ხელის ცერათითს უკან იშვერს – მაქსიმუმ იცი რას შეიძლება მიაღწიოს ცხოვრებაში? – საბა თავს ჩემკენ ატრიალებს, მე უარის ნიშნად თავს ვაქნევ, – ორი ჩანთის მაგივრად, ერთი ჩანთა ათრიოს და ამ თრევაში ორი ჩანთის ფული აიღოს, მაგრამ არის სხვა საკითხიც – ეგეთებსაც აქვთ არჩევნებში ხმის უფლება. თავისთავად ეს მაგარი უსამართლობაა, მაგრამ ამას ხმამაღლა ვერ იტყვი.

– შენ პოლიტიკოსობას ხომ არ აპირებ? – ვაწყვეტინებ საბას.

– კი, – ამბობს საბა და თვალებში მიყურებს, ჩემი რეაქცია აინტერესებს.

– მდაააა.

– ძალიან გეჩქარება ელისოსთან? – მეკითხება საბა.

– ძალიან არა.

– მაშინ კაფეში დავსხდეთ და წყნარად დავილაპარაკოთ.

– კარგი.

საბა პირველივე (სოლიდურ) კაფესთან აჩერებს მანქანას. გადმოვდივართ, საბა მანქანას (ღილაკზე თითის დაჭერით) კეტავს და კაფეში შევდივართ.

ვსხდებით, ჯიბიდან სიგარეტის კოლოფებს და სანთებელებს (მე ჩემსას, საბა თავისას) ვიღებთ და მაგიდაზე ვაწყობთ. ოფიციანტი გოგონა მოდის.

– ორი ლუდი და მიწის თხილი, – უკვეთავს საბა.

ოფიციანტი გოგონა თავს აქნევს და მიდის.

– ამისნაირების მაქსიმუმი ცხოვრებაში ისაა, რომ შეიძლება კაფეს მენეჯერები გახდნენ, მაგრამ არჩევნებში ხმის უფლება ამათაც აქვთ, – მიხსნის საბა.

– აქვთ, – ვამბობ მე და ვიღიმი.

ოფიციანტ გოგონას ორი ლუდი და მიწის თხილი მოაქვს, მაგიდაზე დებს და მიდის. კათხა პირთან მიმაქვს და ლუდს ვსვამ. მიყვარს ლუდი, კათხას მაგიდაზე ვდგამ.

საბა ჯერჯერობით არ სვამს ლუდს.

– მე ამათ, – საბა ხელებს შლის, – შეურაცხყოფას კი არ ვაყენებ, უბრალოდ ფაქტის კონსტატაციას ვახდენ. ბრბოს თავისი პრობლემები აქვს, ბრბო ცხოვრობს მხოლოდ და მხოლოდ აწმყოთი, ერთ განზომილებაში არსებობენ.

– პირდაპირ მითხარი, რა გინდა, – ვეუბნები საბას. შეიძლება ცოტა უხეშად გამომივიდა, მაგრამ ბავშვობის მეგობრები ვართ და მოსულა.

– მოკლედ, – საბა კათხას იღებს, პირთან მიაქვს, ლუდს სვამს, კათხას მაგიდაზე დგამს და იმეორებს, – მოკლედ ბიზნესი მომწყინდა, ფულს მოაქვს მხოლოდ ფული, მაგრამ ფულს ძალაუფლების გარეშე არ მოაქვს სიმშვიდე, პირიქით – სულ ვნერვიულობ. დასაკარგი მაქვს ბევრი რამე, გესმის და ვნერვიულობ. პოლიტიკა კიდევ ძალაუფლებაა, შენთან პირდაპირ ვლაპარაკობ, ძმა ხარ და გენდობი, ცოტა ხანში არჩევნებია, მინდა, რომ გვერდში დამიდგე.

– მე რომელი ცნობილი სახე ვარ, – მეღიმება.

– ასე თუ ისე ცნობილი მწერალი ხარ, თან – ომის ვეტერანი. ტელეეთერს დაგითმობ და ერთ კვირაში გახდები ცნობილი სახე.

– შენ, ესე იგი, როგორც წარმატებული ახალგაზრდა

ბიზნესმენი და ომის ვეტერანი, ერთვები საქმეში? – ვეკითხები საბას, პასუხის გაცემას არ ვაცლი, მეორე შეკითხვას ვუსვამ, – ახალმა მთავრობამ გაგწეწა?

საბა ოხრავს.

ესე იგი, გაწეწეს.

– 49 –

ვდგებით, ჯიბეებში სიგარეტის კოლოფებს და სანთებელებს (მე ჩემსას, საბა თავისას) ვიდებთ. კაფეში ჯდომისას არც ერთს არ მოგვიწევია. გარეთ გამოსულები ღრმად ვისუნთქავთ ჰაერს და მანქანასთან მივდივართ. ვსხდებით, საბა მანქანას ქოქავს. მანქანასთან მოხუცი კაცი მოდის, საბა მოხუცს ხურდა ფულს აძლევს.

– გაივსო საქართველო მათხოვრებით, – წუხს საბა, წუხს უკვე, როგორც მომავალი პოლიტიკოსი და არა როგორც ჩვეულებრივი ადამიანი. ადამიანურ წუხილში ყოველთვის უიმედობა იგრძნობა, პოლიტიკოსის წუხილი კი პირიქით, ყოველთვის ოპტიმისტურია; იგულისხმება, რომ ის მოვა ხელისუფლებაში და ყველაფერს მოუვლის, მოაგვარებს, სამართლიანობას აღადგენს და ა. შ.

საბა მანქანას ძრავს.

– ახალს წერ რამეს? – სხვათა შორის მეკითხება.

– კი, – სხვათა შორის ვპასუხობ.

– კარგია, – ამბობს საბა.

საბა მანქანას ელისოს სადარბაზოსთან აჩერებს, მანქანის კარს ვაღებ.

– ერთ კვირაში გირეკავ და პასუხს მეუბნები, ხომ? – მეკითხება საბა.

– შევთანხმდით, – ხელს ვუწვდი. საბა ხელს მართმევს.

მანქანიდან გადმოვდივარ, სადარბაზოში შევდივარ და მახსენდება, რომ ხელცარიელი ვარ.

სადარბაზოდან გამოვდივარ, საბა მანქანას ატრიალებს, მოტრიალებულ მანქანას აჩერებს.

– ხომ მშვიდობაა?

– კი, მშვიდობაა. აი, ხელცარიელი რომ მივიდე სიდედრთან, უკვე მშვიდობა აღარ იქნება.

ვიცინით.

– 50 –

კარს ელისო მიღებს, შევდივარ, მე და ელისო ერთმანეთს ტუჩებში ვკოცნით (ხანმოკლედ და ჰაეროვნად).

– რას შვები? – ვეკითხები.

– არაფერს, – მპასუხობს ელისო.

– საით არის? – ვეკითხები ელისოს დედამისზე.

– თავის ოთახშია, ძინავს, – ანგარიშს მაბარებს ელისო, – დღეს ჯერჯერობით მშვიდადაა.

– რაღაცეები მოვუტანე, – პარკს ვუწვდი ელისოს. პარკში წვენია, ფორთოხლები და ტკბილეული.

ელისო პარკს მართმევს.

– გშია? – მეკითხება.

– ისე რა.

– წამო, მე დღეს არაფერი მიჭამია.

ელისო სამზარეულოსკენ მიდის, მივყვები. სამზარეულოს შესასვლელთან ელისოს წელზე ვხვევ ხელებს, ელისო ქვავდება, შემდეგ (სულ რამდენიმე წამში) ელისო ეშვება, ყელში ვკოცნი, ლოყაზე...

– მომენატრე, მიყვარხარ, – ვეჩურჩულები ყურში ელისოს, – ძალიან მიყვარხარ.

ელისო ტრიალდება, მარცხენა ხელში პარკი უჭირავს, თვალებგაბრწყინებულია. პარკს იატაკზე დებს და ერთმანეთს ვეხვევით, ვკოცნით, ვეჩურჩულებით. ელისო კისერზე მხვევს ხელებს, თვალებში მიყურებს და მიღიმის.

– წამო ჩემ ოთახში, ოღონდ ჩუმად, არ გავაღვიძოთ, – ელისო იატაკიდან პარკს იღებს, სამზარეულოში მაგიდაზე დებს, შემდეგ მე და ელისო ჩუმად, მაქსიმალურად ჩუმად ელისოს ოთახისკენ ხელჩაკიდებულები მივდივართ.

ელისო ფრთხილად აღებს კარს, შევდივართ, ელისო კარს ხურავს და საკეტით კეტავს. მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი ტუჩებთან მიაქვს და მანიშნებს, რომ ყველაფერი ჩუმად უნდა მოხდეს.

ელისოს საწოლზე ვწვებით, ელისოს შინაურულად აცვია – სპორტულები, მე საგარეოდ, აქედან გამომდინარე ელისოს სწრაფად და უპრობლემოდ ვხდი, ჩემი გახდა კი უფრო რთულია. ქამარს ვიხსნი, შარვლის ღილებს ვიხსნი სათითაოდ, ერთს, მეორეს, მესამეს, მეოთხეს...

ელისო ფეხებს წელზე მხვევს. ერთმანეთს თვალებში ვუყურებთ და ვქშინავთ. ელისოში შევდივარ, თავიდან ნელა ვმოძრაობ, შემდეგ თანდათან სიჩქარეს ვუმატებ. სიჩქარის მატებასთან ერთად მატულობს საწოლის ჭრაჭუნიც.

– მოიცა, მოიცა, – ამბობს ელისო. ვჩერდები, – მაგრად ჭრაჭუნობს, გაიგებს და გაიღვიძებს, – ელისო ფეხებს დაბლა უშვებს.

– ადექი, – მეუბნება.

ვდგები. ელისოც. კედელთან მიდის, მივყვები. შარვალი მუხლებამდე მაქვს ჩაწეული, აქედან გამომდინარე, სიარული მიჭირს, მივბაჯბაჯებ.

ელისო სახით კედლისკენაა, ორივე ხელის გული კედელზე აქვს მიდებული, წელზე ვკიდებ ხელებს, ვასწორებ და...

– ვაიმეე, – მესმის ელისოს დედის კივილი.

– აუ, – ელისო ხელებს ურტყამს კედელს, შემდეგ საწოლთან მიდის, შარვალს იღებს და სწრაფად იცვამს.

მე შარვალს ზევით ვიწევ და ვიკრავ, ჯერ ღილებს, სათითაოდ, ერთს, მეორეს, მესამეს, მეოთხეს, შემდეგ ქამარს.

– ჯერ მე გავალ, დავაწყნარებ და დაგიძახებ, – მეუბნება ელისო.

– კარგი, – ვეთანხმები.

ელისო კარს აღებს და გადის, მე სარკესთან მივდივარ,

თმას ვისწორებ, უკმაყოფილო ვარ, უფრო სწორად – დაუკმაყოფილებელი.

რამდენიმე წუთში ელისო მეძახის.

– ირაკლი, მოდი.

მივდივარ.

– 52 –

ელისოს დედა საწოლზე ზის, შინდისფერი ხალათი აცვია და შავი ჩუსტები.

– გამარჯობა, ქალბატონო მანანა, – ვესალმები, ლოყაზე ვკოცნი და ვეკითხები, – როგორ ხართ?

– ცუდად შვილო, – მეუბნება ქალბატონი მანანა, – ზურა მიხმობს, თავისთან, იქ, – ქალბატონი მანანა მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითს მაღლა წევს, – მე კიდევ აქ მინდა ყოფნა, ჯერ ისეთი მოხუცი არ ვარ, რომ იქ წავიდე. თან წარმოდგენა არ მაქვს, იქ რა ხდება. არც ზურა მეუბნება, უბრალოდ მიხმობს, წამოდიო. მეშინია შვილო, – ელისო აქამდე კედელთან იდგა, ახლა ის დედამისის გვერდზე ჯდება და თავზე უსვამს ხელს.

– დაწყნარდი, – ეუბნება დედამისს ელისო, თან თვალებით მანიშნებს, შენც უთხარი რამე დამამშვიდებელიო.

და მეც ვეუბნები:

– ნუ ნერვიულობთ, ქალბატონო მანანა, ოცდამეერთე საუკუნეა, – ეს არგუმენტი (რომ XXI საუკუნეა) პირადად ჩემთვის უმნიშვნელოა, მაგრამ სხვა არაფერი მომდის თავში, ვიმეორებ: – ოცდამეერთე საუკუნეა, სიზმრებს და ხილვებს არანაირი გავლენა აღარ აქვთ რეალურ ცხოვრებაზე, – მაინცდამაინც დიდად ჭკვიანური აზრი ვერ ვთქვი, მაგრამ ახლა ამას არ აქვს მნიშვნელობა, მთავარი ისაა, რომ ქალბატონი მანანას დამშვიდებაში მონაწილეობა მივიღე.

საწოლზე მსხდომ ელისოს და დედამისს ვუყურებ – ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. ვიღიმი. მამაჩემის ნათქვამი მახსენდება: „სანამ ცოლს მოიყვან, მომავალი სიდედრი უნდა გაიცნო, იმიტომ, რომ ადრე თუ გვიან ყველა ქალი

დედას ემსგავსება“. რა თქმა უნდა, მამაჩემის ეს დაკვირვება აბსოლუტური ჭეშმარიტება არ არის, მაგრამ ელისოს და დედამისის შემთხვევაში სწორია.

– 53 –

– მშია, – ამბობს ელისო და დგება, – შენ, დედა?

– არა, მაგრამ ჩაის დავლევ, – და დგება.

მე ხომ ისედაც ვდგავარ.

სამზარეულოში გავდივართ.

ქალბატონი მანანა და მე მაგიდას ვუსხდებით. ელისო ტრიალებს, გაზქურას ანთებს, ქვაბს დგამს ცეცხლზე, თეფშებს, დანა-ჩანგალს და ჭიქებს აწყობს მაგიდაზე, პურს ჭრის, ხრაშახრუში მესმის. დაჭრილი პურით სავსე პლასტმასის თეთრ საპურეს მაგიდაზე დებს, შემდეგ ტკბილეულს აწყობს დიდ თეფშზე და ისიც მოაქვს.

– ეს ირაკლიმ მოგიტანა, – ეუბნება ელისო დედამისს.

ქალბატონი მანანა მიღიმის და მადლობას მეუბნება, შემდეგ ამბობს, რომ ჩემი ხათრით ნამცხვარს გასინჯავს.

მე ნამცხვრებიან დიდ თეფშს ვიღებ და ქალბატონ მანანას ვუწვდი. ქალბატონი მანანა ერთ ნაჭერს იღებს საკუთარ თეფშზე, მე ნამცხვრებიან დიდ თეფშს მაგიდაზე ვდებ.

ქალბატონი მანანა მარჯვენა ხელში ჩანგალს იღებს და ნამცხვარს ანაწევრებს, შემდეგ ციცქნა ნაჭერს იდებს პირში.

– გემრიელია, – ამბობს ქალბატონი მანანა. ელისო ელექტროჩაიდანს აერთებს შტეფსელში.

– 54 –

სახლში ღამე ვბრუნდები, შხაპს ვიღებ და ვწვები, ვისვენებ. მარცხენა ხელი თავქვეშ მაქვს ამოდებული, მარჯვენაში სიგარეტი მიჭირავს, ვეწევი. მუცელზე საფერფლე მიდევს და დროდადრო სიგარეტს საფერფლეში ვფერფლავ. ქუჩიდან მანქანების ხმა შემოდის.

ცხოვრება ფიქრის გარეშე შეუძლებელია, როდე-

საც ვიღაცაზე ამბობენ, რომ არავისზე არ ფიქრობს, იგულისხმება, რომ ეს ვიღაცა მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს, ადამიანი განუწყვეტლივ ფიქრობს, რა თქმა უნდა, ძირითადად საკუთარ თავზე (მათ შორის მეც).

სიგარეტს საფერფლეში ვაქრობ, საფერფლეს ტუმბოზე ვდებ და ახლა უკვე ორივე ხელი მაქვს თავქვეშ ამოდებული. ჭერს მიჩერებივარ და საბას შემოთავაზებაზე ვფიქრობ. ელისოსთვის არაფერი მითქვამს საბას შემოთავაზების შესახებ. რამდენჯერმე დავაპირე თქმა, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ელისოს პასუხი წინასწარაა ჩემთვის ცნობილი, აღარ ვუთხარი. რა თქმა უნდა, ელისო ყველაფერზე თანახმაა (განსაკუთრებით პოლიტიკაში ჩემ გადაბარგებაზე, რადგან ელისოსთვის ისევე, როგორც ადამიანების უმრავლესობისათვის, პოლიტიკა ფუფუნებას ნიშნავს), ოღონდ მე წერას შევეშვა. ელისო ამას პირდაპირ არასდროს იტყვის, არც იმას იტყვის არასდროს, რომ ფუფუნებაში ცხოვრება უნდა, ამ მხრივ ელისო ნამდვილი ინტელიგენტია (სხვათა შორის მეც).

საბას შემოთავაზებას აშკარა ხიბლი აქვს: უპირველეს ყოვლისა, უფასო რეკლამა, ანუ ვიწრო წრეში აღიარებული მწერლიდან საყოველთაოდ აღიარებული პიროვნების ამპლუაში გადასვლა, რაც ერთფეროვანი ყოველდღიურობიდან, მრავალფეროვან, ნამდვილ ცხოვრებაში გადაბარგებას გულისხმობს. ეს თანამედროვე სამყაროს პარადოქსია: ნამდვილ ცხოვრებაში მხოლოდ და მხოლოდ ვირტუალური გზით შეიძლება მოხვდე.

თვალები მეხუჭება. საბას დარეკვამდე ერთი კვირა დარჩა, ეს დიდი დროა, ასე რომ, შემიძლია მშვიდად დავიძინო.

– 55 –

დილის 9 საათზე სადარბაზოდან გამოვდივარ, მხარზე ჩანთა მაქვს გადაკიდებული, ჩანთაში ახალი წიგნის მასალებია.

მარი მოტოციკლეტზე ზის, ერთმანეთს ვესალმებით და ვუღიმით, მარი ჩანთაზე მანიშნებს:

– მანდ ახალი წიგნია?

– რაღაც ნაწილი.

– წამაკითხებ? – მიღიმის და თვალებს ჭუტავს (ბავშვია, ნამდვილი ბავშვი).

– ჯერ არა, – ვეუბნები, – დავამთავრებ და მერე.

– აუ, შენ როდის დაამთავრებ, – წუხს მარი, – ის მაინც მითხარი, რაზეა.

ეს საშინელი კითხვაა, მაგრამ იძულებული ვარ ვუპასუხო, რადგან ზედიზედ ორჯერ უარის თქმა მერიდება მარისთვის.

– ჩემზეა, ოღონდ წიგნში ცოლი მყავს, რომელიც ჩემს ნაწერებზე ეჭვიანობს.

– საინტერესოა, – აფასებს ჩემს ნათქვამს მარი, – დაჯექი.

მოტოციკლეტზე ვჯდები, მარის წელზე ვხვევ ხელებს, მარი მოტოციკლეტს ძრავს.

ნაწილი

II

– 1 –

უკვე მესამე დღეა რაც აქ ვარ – ალექსანდრე ჯაფარიძის სასახლეში. თავად ალექსანდრე ჯაფარიძე ამ სამი დღის განმავლობაში (მესამე დღე ჯერ არ გასრულებულა, ამიტომ უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი ორდღე-ნახევრის განმავლობაში) მხოლოდ ერთხელ ვნახე, ისიც სულ რამდენიმე წუთით. ერთმანეთი მოვიკითხეთ, ბატონი ალექსანდრე დაინტერესდა, კმაყოფილი ვიყავი თუ არა ჩემი ოთახით და რაიმეს კორექტირების სურვილი ხომ არ მქონდა.

– ყველაფრით კმაყოფილი ვარ, – ვთქვი მე და გავიბადრე.

ზედმეტად აღფრთოვანებული გამოვჩნდი.

– 2 –

ახლა საღამოა. ჩემს ოთახში ვზივარ და რაღაც პრიმიტიული შინაარსის მქონე კომპიუტერულ თამაშს ვთამაშობ – პისტოლეტიანი კაცი (ჩემი ვირტუალური სახე კომპიუტერში) დარბის აქეთ-იქით, ისვრის, კლავს ვიღაცეებს და ქულებს აგროვებს. ადრე თუ გვიან მასაც კლავენ და ყველაფერი თავიდან იწყება. მე გამოუცდელი მოთამაშე ვარ. აქედან გამომდინარე, შეცდომას თამაშის დასაწყისშივე ვუშვებ და მკლავენ, მაგრამ ეს საშიში არ არის, რადგან ყველაფერი თავიდან იწყება. თუ ზოგიერთ აღმოსავლურ რელიგიურ სწავლებაში სული იწყებს სხეულის სიკვდილის შემდეგ ახალ სხეულში ცხოვრებას, ვირტუალურ სამყაროში სხეული უკვდავია, ხოლო სული ანუ მოთამაშე

– ცვალებადი და ამავე დროს, არა ერთადერთი და განუმეორებელი. რამდენი ადამიანი თამაშობს იმავე თამაშს პარალელურად? სულ ცოტა, 1000 მაინც (მხოლოდ თბილისის მასშტაბით) და ჩვენ ყველას ერთი ვირტუალური სახე გვაქვს, მაგრამ სხვადასხვა ქულა. ინდივიდუალურობა ქულებშია – ეს უკვე თანამედროვე კაპიტალიზმის ელემენტია.

– 3 –

კარზე კაკუნია.

– მობრძანდით, – ვამბობ და კარისკენ ვიხედები.

კარი იღება და ოთახში მარი შემოდის. ლურჯი გრძელსახელოებიანი მაისური აცვია, ჯინსი და შინდისფერი კეტები.

– როგორ ხარ? – მეკითხება მარი.

– კარგად, შენ?

– მეც კარგად. აუ, მოგკლეს, – მეუბნება მარი და კომპიუტერზე მითითებს.

– ეგ არაფერი. ერთი დაწკაპუნება და ხელახლა დავიბადები, – ვიღიმი.

– მე არ მიყვარს კომპიუტერი, განსაკუთრებით ბიჭური თამაშები, ჩხუბები, სროლები და ა. შ. – მარი ზუსტად ასე ამბობს – „და ა. შ. " აქეთ-იქით იხედება და ჩუმად მეკითხება, – სიგარეტი გაქვს?

თავს ვუქნევ, საწერი მაგიდის უჯრას ვხსნი, სიგარეტის კოლოფს და სანთებელას ვიღებ, მარის სიგარეტის კოლოფს ვუწვდი, მარი კოლოფიდან სიგარეტს იღებს, მე ვდგები, სანთებელას ვანთებ და მარის სიგარეტზე ვუკიდებ.

პირველი ნაფაზის შემდეგ მარი მთხოვს:

– მამაჩემს არ უთხრა, რომ ვეწევი, კარგი?

– რატომ? – ვინტერესდები.

– ვერ იტანს, ქალები რომ ეწევიან. ხო არ ეტყვი? – მარი თვალებში მიყურებს.

– არ ვეტყვი, – ვპირდები მარის, მაგიდიდან საფერფლეს

ვიღებ და მარის ვუწვდი, მარი საფერფლეს მართმევს, სავარძელთან მიდის.

– კარგი ბიჭი ხარ, – მაფასებს მარი და სავარძელში ჯდება. მარცხენა ფეხს მარჯვენა ფეხის ქვეშ კეცავს, მარცხენა ბარძაყზე საფერფლეს იდებს, დროდადრო სიგარეტს ფერფლავს, ერთხანს ორივე ვდუმვართ, მე მაუსს ვაწვალებ, მარი – საფერფლეს.

დუმილს მარი არღვევს:

– მუსიკა ჩართე, რა.

– მე შენი თაობის გემოვნება არ ვიცი, – ვეუბნები, – მოდი და რაც გინდა, ის ჩართე.

– შენ რაც მოგწონს, ის ჩართე, – მითმობს მარი.

„ჯეთრო ტალს" ვრთავ.

– მოგწონს? – ვეკითხები მარის და უარყოფითი პასუხის მოლოდინში ვარ.

– არა უშავს, ცუდი არ არის, მაგრამ ჯობია წყნარი, საცეკვაო მუსიკა ჩავრთოთ და ვიცეკვოთ, – მარი სიგარეტს აქრობს.

– მე რომ შენხელა ვიყავი, ეგეთ რაღაცას ბიჭი სთავაზობდა გოგოს, – ვამბობ და ვხვდები, რომ ამ წინადადების დალაგება გაცილებით უკეთესად შეიძლებოდა, მაგრამ არ ღირს ახლა ამის გამო ნერვიულობა. ძალიან შეიცვალა დრო, – ვასკვნი.

– გსიამოვნებს არა, საკუთარი თავის ბებრად წარმოჩენა? – მიღიმის მარი, – მართლა რომ დაბერდები, ეგრე აღარ იქნება. ვიცეკვოთ?

– არა, – ვუარობ და მიზეზს ვეუბნები, – ცეკვა არ ვიცი.

– გასწავლი, – მარი საფერფლეს იატაკზე დებს და დგება.

– სხვა დროს, – გადავადებას ვითხოვ.

– კარგი, – მარი შარვალს ისწორებს, ზევით იწევს, – შემოვალ ხოლმე რა, შენთან სიგარეტის მოსაწევად, – მთხოვს მარი.

– მოდი, მაგრამ მამაშენმა რომ გაიგოს?

– შენ არაფერს არ გეტყვის, ნუ გეშინია.

მარის მინდა ვუთხრა, რომ არაფრის არ მეშინია, მაგრამ ეს ასე არ არის. ამიტომაც არ ვეუბნები, არადა კარგად ულერს: „მე არაფრის არ მეშინია".

– შევთანხმდით, – მარი ხელს მიწვდის.

– შევთანხმდით, – ხელს ვართმევ მარის და ვფიქრობ: „ცოტა დიდი რომ იყოს, ან მე რომ ვიყო ცოტა პატარა, კარგი იქნებოდა".

მარი ოთახიდან გადის.

იატაკიდან საფერფლეს ვიღებ, ვედროში ვცლი, შემდეგ მაგიდაზე ვდებ და ფანჯარას ვაღებ, ოთახს ვანიავებ, უფრო სწორად, ნიავი ანიავებს.

– 4 –

ძილის წინ შხაპს ვიღებ.

აბაზანიდან გამოვდივარ, წელსზემოთ შიშველი ვარ, წელზე პირსახოცი მაქვს შემოხვეული. პირსახოცი მწვანეა. ხელში შუბი რომ მეჭიროს, პირველყოფილ ადამიანს დავემსგავსებოდი.

საწოლიდან წინასწარ მომზადებულ მაისურს და შორტს ვიღებ. მაისური და შორტი დიდი, ზრდასრული ადამიანის ზომისაა. მე ასეთად საკუთარ თავს ვერ აღვიქვამ. და ამიტომ, როდესაც ჩემს ტანსაცმელს გაფენილს, დაკიდებულს ან გადაკიდებულს ვხედავ, ყოველთვის ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ეს ჩემი კი არა, ვიღაც დიდი, ზრდასრული ადამიანის ტანსაცმელია.

პირსახოცს გასარეცხი ჭინჭების კალათაში ვაგდებ, ჯერ შორტს ვიცვამ (რადგან საკუთარ თავთანაც კი წელსქვევითა სიშიშვლის უფრო მრცხვენია, ვიდრე წელსზევითა სიშიშვლისა), შემდეგ მაისურს, სარკეში ვიხედები, თმაზე ხელს ვისვამ და საწოლისკენ მივდივარ, შუქს ვაქრობ და ვწვები.

ახალ საწოლში ძილს ჯერჯერობით შეგუებული არ ვარ, ვერ ვისვენებ, ვწრიალებ, ვიცი, რომ რამდენიმე დღის შემ-

დეგ ასე აღარ იქნება, მაგრამ სხეული (სულისაგან განსხვავებით) მხოლოდ ერთ განზომილებაში არსებობს, მისთვის არ არსებობს რამდენიმე დღის შემდეგ ან რამდენიმე დღის წინ, არსებობს მხოლოდ დღეს.

შუქს ვანთებ, უნებურად თვალებს ვჭუტავ, ეს რეაქციაა სინათლეზე. ვდგები, ფეხებს ჩუსტებში ვყოფ და საწერ მაგიდასთან მივდივარ. სკამზე ვჯდები, ჩანთას ვხსნი, ჩანთიდან „ახალი წიგნის" უკვე მზა ნაწილს ვიღებ და კითხვას ვიწყებ. უქმად იმას უქმად ეს ჯობიაო, ვერაფრით ვერ ვიხსენებ ამ ანდაზას.

მასალას არათანმიმდევრულად ვკითხულობ (ალაგ-ალაგ).

– 5 –

ძალიან ბევრი ყოფითი დეტალი მეორდება! ავდექი, დავჯექი, მივედი-მოვედი, ადგა, დაჯდა, მივიდა-მოვიდა.

თავისთავად ეს განმეორებები ზუსტად ასახავენ ყოფას, შეიძლება ითქვას, რომ ეს ყოფითი ნატურალიზმია – ნატურალიზმი, ოღონდ არა კლასიკური (ემილ ზოლა, ძმები გონკურები, გიორგი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე) გაგებით. კლასიკურ ნატურალიზმში ძირითადი აქცენტი ობიექტების ზუსტ ასახვაზე კეთდებოდა და ამიტომაც აქვს დათმობილი ზოლას რომანებში მაღაროს, საძინებლის, სახელოსნოს, თეატრის აღწერას ასობით გვერდი, ამის მიზეზი იმ დროის ადამიანების ვიზუალური განუვითარებლობა იყო. ტექნიკურმა პროგრესმა ამ მხრივ ადამიანები ძალიან წინ წასწია, მაგრამ თვალის განვითარება ყურის დახშობის ხარჯზე მოხდა. ამის ნათელი დადასტურებაა თანამედროვე მუსიკა (შეადარეთ ერთმანეთს ძველი და ახალი კომპოზიტორები).

თანამედროვე ნატურალიზმი პირდაპირ სუბიექტს უკავშირდება, ამიტომაც გახშირდა ლიტერატურაში ეროტიკული სცენები და არა იმიტომ, რომ კაცობრიობა გაირყვნა. არ მგონია, რომ წარსულში ადამიანები ნაკლებად

ეროტიკულები იყვნენ, მაგრამ მაშინდელ ადამიანებს სხვა პრიორიტეტები ქონდათ. ფიქრობდნენ, რომ ობიექტურ სამყაროში რაღაც ძალიან დიდი საიდუმლო იდო, რომლის ამოხსნაც ადამიანებს გააკეთილშობილებდა და გააბედნიერებდა.

თანამედროვე ლიტერატურის მიზანია სუბიექტის ზუსტი აღწერა, ეს ეხება როგორც გარეგან მხარეებს, ასევე შინაგან განცდებს და ფიქრებს. ეს უკანასკნელი უფრო მნიშვნელოვანია.

– 6 –

წავიკითხე რამდენიმე ეპიზოდი ელისოს მონაწილეობით და მივხვდი, რომ ძალიან პასიური პერსონაჟია. არადა ჩანაფიქრის მიხედვით ის „ახალი წიგნის" ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირია, მაგრამ რადგან „ახალ წიგნში" საკუთარი სახელით და გვარით ვმოქმედებ (ასეც რომ არ იყოს, მკითხველი მთავარ გმირს, მით უმეტეს იმ შემთხვევაში, როდესაც თხრობა პირველ პირშია, ყოველთვის ავტორთან აიგივებს. ასეთი დამოკიდებულება ბუნებრივია, მაგრამ არასწორი, ასე რომ, ბუნებრიობა ჭეშმარიტების სინონიმი არ არის), მსურს, მაგარ (პატრიარქალური გაგებით) კაცად გამოვჩნდე, ცოლს ბევრი ლაპარაკის საშუალება არ მივცე, მაგრამ ეს აშკარად ვნებს ტექსტს. რა უფრო მნიშვნელოვანია, მაგარი კაცის იმიჯი, თუ რეალურად მაღალმხატვრული ტექსტი? ფურცლებს ვასწორებ, დასტად ვკრავ და უნებურად ცხვირთან მიმაქვს, ქაღალდის სუნს ვიყნოსავ, მომწონს ეს სუნი. არა, კითხვა სწორად არ არის დასმული: ვინ ვარ მე – მაგარი კაცი თუ მაგარი მწერალი? უფრო სწორად, რომელი უფრო ვარ, ან რომელი უფრო მინდა რომ ვიყო? – ქაღალდის სუნს ღრმად ვიყნოსავ, – რა თქმა უნდა, მაგარი მწერალი. რადგან ასეა, ელისოს მაქსიმალური თავისუფლება უნდა მივცე.

ფურცლებს ჩანთაში ვაწყობ, ჩანთას ვკეტავ, ვდგები, საწოლთან მივდივარ, შუქს ვაქრობ და ვწვები, რამდენიმე

წუთის შემდეგ კარში გასაღების გადატრიალების ხმა მესმის. ეს რეალურად არ ხდება. ეს ხდება ჩემს თავში, რაც იმას ნიშნავს, რომ ვიცი, როგორ გაგრძელდება „ახალი წიგნი".

– 7 –

კარში გასაღების გადატრიალების ხმა მესმის, კარისაკენ გავრბივარ. ვინ არის ამ შუაღამისას? ქურდი? მეშინია.

უკვე შემოსასვლელში ვარ და ღია კარში ელისოს ვხედავ. ელისო შემოდის, კარს ფრთხილად ხურავს, აღარ მეშინია, გაკვირვებული ვარ: ამ შუაღამისას რამ მოიყვანა ელისო? დედამისი ხომ არ მოკვდა? არა, ასე რომ იყოს, დამირეკავდა.

– ქურდი მეგონე, – ვეუბნები ელისოს და ვუღიმი.

– მართლა ქურდი რომ ყოფილიყო, რას იზამდი? – მეკითხება ელისო, ფეხსაცმელებს იხდის და ფეხებს ჩუსტებში ყოფს.

– ყვირილს დავიწყებდი, – ვხუმრობ, – „მიშველეთ ქურდი! მიშველეთ, მეზობლებო!"

– პოლიცია დაგავიწყდა, – ელისო ხელკავს მიკეთებს, – ისე შენგან არ არის გამორიცხული ეგეთი მოქცევა, – ელისო მათვალიერებს, – წერდი?

„დაიწყო".

– არა, ვიწექი და შენზე ვფიქრობდი.

– შემთხვევით ხო არ ანძრევდი, ჩემო ბიჭო? – ელისო მარჯვენა ლოყაზე მითათუნებს მარცხენა ხელის ცერა და საჩვენებელ თითს (მარჯვენა ხელით ჩემი მარცხენა მკლავი უჭირავს).

ელისოს მარცხენა ლოყას ვუშვერ.

– აქეთაც მომეფერე.

ამით აგრესიული მაიმუნობა მთავრდება.

შემოსასვლელიდან მისაღებში გავდივართ. ელისო შუქს ანთებს, მისაღებს ათვალიერებს. კმაყოფილია, რადგან ყვე-

ლაფერი წესრიგშია, არაფერი არ არის მიყრილ-მოყრილი.

– ყოჩაღ, – მაქებს ელისო და შუქს აქრობს. საძინებელში გავდივართ, საძინებელში შუქის ანთება საჭირო არ არის, ისედაც ანთია, რადგან ელისოს მოსვლამდე ვიწექი და ვკითხულობდი. საწოლზე გადაშლილი წიგნი დევს, ელისო წიგნს იღებს და მეუბნება:

– აბა შენზე ვფიქრობდიო? – ელისოს ხელში წიგნი ნივთ-მტკიცებად იქცა.

– თან ვკითხულობდი, თან შენზე ვფიქრობდი.

ელისო წიგნს ხურავს, ავტორის სახელს და გვარს და წიგნის სათაურს კითხულობს:

– „ბასილ მელიქიშვილი, მოთხრობები". ვინმე ახალია? – მეკითხება.

– არა, ოციანი წლების მწერალია, ძალიან ახალგაზრდა მოკვდა.

ელისო წიგნს ტუმბოზე დებს, ჩუსტებიდან ფეხებს იღებს და საწოლზე ფეხმორთხმული ჯდება.

– ამ შუაღამისას რატომ მოვედი, არ გაინტერესებს? – მეკითხება ელისო და ხელებს მუხლებზე იწყობს.

– მაინტერესებს, – ვეუბნები.

– მერე მიდი, მკითხე.

– გეკითხები: ამ შუაღამისას რატომ მოხვედი, ხომ მშვიდობაა?

– კი, მშვიდობაა, – მპასუხობს ელისო.

– 8 –

ელისო ხელებით მუხლისთავებს იზელს და იმეორებს:

– კი, მშვიდობაა, – ელისო ხელით თავისკენ მიხმობს, – მომიჯექი რა, გვერდზე.

ელისოს გვერდზე ვჯდები, ელისო მხარზე ხელს მისვამს.

– რაღაცას მივხვდი და მინდა, რომ გითხრა.

– გისმენ, – ვამბობ და ვგრძნობ, რომ მსიამოვნებს ელისოს შეხება მხარზე.

– ოლონდ ჯერ ერთი რამე მითხარი: ის შენი წიგნის ქალი (ამ შემთხვევაშიც წიგნის ქალი ქუჩის ქალის სინონიმია) რამდენი წლისაა?

– ცხრამეტის, – ვუმხელ ელისოს მარის ასაკს.

ელისო ტაშს კრავს. ასეთი რეაქცია ჩემთვის მოულოდნელია, ვფრთხები.

– ეგრეც ვიცოდი, – ამბობს ელისო, – ვიღაც პატარა გოგო გიყვარს ხომ?

– არა, რა სისულელეა! – ვდგები.

– ვიფიქრე, ვიფიქრე და მივხვდი, რომ ვიღაც პატარა გოგო გიყვარს. რეალურად ვერ მიუდექი და წიგნში უშვებ მთელ ფანტაზიებს ხომ? ვინ არის? რა ქვია? სად გაიცანი?

– არ არსებობს არავითარი პატარა გოგო, – აუცილებელი პაუზა, – და სხვათა შორის, წიგნიც აღარ არსებობს.

– მატყუებ, – მეუბნება თვალებგაფართოებული ელისო.

– გოგოზე თუ წიგნზე? – ვიღიმი.

– წიგნზე, – მეუბნება ელისო.

– მიდი და ნახე, ხომ იცი სადაც ვინახავ მასალებს. გადამალეო, ვერ დამაბრალებ, რადგან არ ვიცოდი, რომ მოხვიდოდი და არც ის ვიცოდი, რომ ასეთ სისულელეებს დამაბრალებდი, – ვეუბნები ელისოს და თან მიხარია, რომ მასალები საიმედო ადგილზე, ალექსანდრე ჯაფარიძის სასახლეში მაქვს გადამალული. ელისოს არ ვეუბნები, რომ პირველი ნაწილისაგან განსხვავებით, უკვე თავად არის წიგნის ქალი (ყოველგვარი შეურაცხყოფის გარეშე). ხოლო წიგნის ქალი რეალური გახდა. რაც შეეხება სიყვარულს, მარი ჯერჯერობით არ მიყვარს, მოწონებით ძალიან მომწონს, მაგრამ მისი ასაკი და მისი მამა შემაფერხებელი გარემოებებია.

– 9 –

„ჩემს დასაწყისშია ჩემი დასასრული“.

დილიდან ელიოტის ცნობილი სტრიქონი ამეკვიატა, უფრო სწორად, ელიოტის ცნობილი სტრიქონის ქართული თარგმანი (ელიოტმა ეს სტრიქონი ინგლისურად დაწერა).

ალექსანდრე ჯაფარიძის სასახლის ეზოში ვდგავარ, ალექსანდრე ჯაფარიძეს ველი და ვიმეორებ: ჩემს დასაწყისშია ჩემი დასასრული.

ჩემგან რამდენიმე ათეული მეტრის მოშორებით, ახმახი დგას, (რომელმაც პირველი ვიზიტისას თავაზიანად გამჩხრიკა), აქეთ-იქით იყურება. ახმახს არჩილი ჰქვია. მისი სახელი მარიმ მითხრა და იქვე მოკლედ დაახასიათა „კარგი ბიჭია, მაგრამ გონებაშეზღუდული“. შევეკამათე: „იქნებ უბრალოდ სამსახური აიძულებს, რომ გონებაშეზღუდული იყოს, რამდენი ჭკვიანი ბიჭი და გოგოა იძულებული, რომ დებილურ სამსახურში იმუშაოს“. მარიმ გაიღიმა: „არა, ეგ მაგ კატეგორიას არ ეკუთვნის“. ეს საუბარი შედგა გუშინ, როდესაც მარი ჩემს ოთახში სიგარეტის მოსაწევად შემოიპარა.

გარეგნულად გუშინდელი დღე ერთფეროვანი იყო, ვიჯექი და ვწერდი. „ახალი წიგნის“ მეორე ნაწილის მეშვიდე და მერვე თავები დავწერე, საღამოს მარი მოვიდა, სიგარეტი მოწია, წავიჭორავეთ, წასვლისას მარიმ მითხრა:

– ხვალ თორმეტი საათისთვის ეზოში ჩადი, მამაჩემს უნდა შენი ნახვა.

და წავიდა.

– 10 –

უკვე პირველის ათი წუთია, ალექსანდრე ჯაფარიძე აგვიანებს, მე ვდგავარ, ველოდები და ვიმეორებ: „ჩემს დასაწყისშია ჩემი დასასრული“. ბანალური ფრაზაა, მაგრამ ეფექტური. ვაფასებ ელიოტის სტრიქონს და სწორედ ამ დროს სასახლიდან გამოსულ ალექსანდრე ჯაფარიძეს ვხედავ. და იმის ნაცვლად, რომ ღრმად ამოვისუნთქო (რადგან

ლოდინი დასრულდა), კიდევ უფრო ვიძაბები.

მე არ ვქმნი ალექსანდრე ჯაფარიძის კერპს, უბრალოდ რეალურად ვაფასებ ამ ადამიანის შესაძლებლობებს. რა თქმა უნდა, მისი შესაძლებლობები არ არის შეუზღუდავი. ჩემი აზრით, სწორედ ვინმესთვის ან რამისთვის (ღმერთის გარდა) შეუზღუდავი შესაძლებლობების მიწერა არის კერპთაყვანისმცემლობა, და სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ ალექსანდრე ჯაფარიძე არ არის ჩემი კერპი, ის უბრალოდ დიდი შესაძლებლობების მქონე ადამიანია.

ალექსანდრე ჯაფარიძე ხელს მიწვდის.

– ირაკლის გაუმარჯოს, – ხელს ვართმევ, – შეეჩვიე ახალ გარემოს? – მეკითხება, მარჯვენა ხელს ჩემი ხელიდან ათავისუფლებს და ორივე ხელს ჯიბეებში იწყობს.

– თითქმის.

– თითქმის არ ითვლება, – მეუბნება ბატონი ალექსანდრე და მიღიმის.

– ვიცი, – მეც ვიღიმი.

– ბაღში გავისეირნოთ, თან დაგათვალიერებინებ, თან დავილაპარაკებთ, – ბატონი ალექსანდრე ტრიალდება.

ბაღი სასახლის უკანაა. ეს სასახლის უკანა ბაღი ალექსანდრე ჯაფარიძის ერთ-ერთი სიამაყეა (თუ ალექსანდრე ჯაფარიძე ამ ბაღით ამაყობს?)

ესეც მარისგან ვიცი.

– 11 –

ბატონი ალექსანდრე დროდადრო ჩერდება, ხან ხეზე, ხან ყვავილზე, ხან ბუჩქზე მითითებს, მის ლათინურ და ქართულ სახელწოდებას მეუბნება და მოკლედ მიხასიათებს. შემდეგ გზას აგრძელებს, მე მივყვები, ვცდილობ მისი ტემპით ვიმოძრაო. ეს სახელწოდებები (ორ ენაზე), ეს მოკლე დახასიათებები საინტერესოა, მაგრამ ბაღის აღსაქმელად საკმარისი არ არის. აქ საჭიროა სერიოზული მეცნიერული ცოდნა, რომელიც სამწუხაროდ მე არ გამაჩნია.

ბატონ ალექსანდრეს მივდევ და ვფიქრობ, უფრო სწო-

რად, ვოცნებობ, რომ XIX საუკუნის ავტორებივით ყოვლისმცოდნე ვიყო. ასეთ შემთხვევაში დაწვრილებით აღვწერდი წითლად დაწინწკლულ ბუჩქებს, ხეებს, ყვავილებს. თვალწინ სკოლის ბოტანიკის კაბინეტი მიდგება: კედელზე ჩამოკიდებული მუყაოს პლაკატები, რომლებზეც სხვადასხვა მცენარე იყო გამოსახული, ჩემი პირველი სიყვარული, ჩემი თანაკლასელი ელისო ჩიქვანაია, დაფასთან დგას და გაკვეთილს ყვება: სწორედ მის საპატივსაცემოდ ჰქვია „ახალი წიგნის" ერთ-ერთ პერსონაჟს ელისო.

– 12 –

ბაღი დიდ ტერიტორიაზეა გაშენებული. ერთი მოსვლით მისი სრულად დათვალიერება თითქმის შეუძლებელია (რა თქმა უნდა, ამის თეორიული შანსი არსებობს).

– ჩემ მებაღეს, ჯაბას ვთხოვ და ამ დღეებში ბაღის დათვალიერებას მასთან ერთად გააგრძელებ, რა თქმა უნდა, სურვილი თუ გექნება, – მეუბნება ალექსანდრე ჯაფარიძე.

– მექნება, – გარანტიას ვაძლევ ბატონ ალექსანდრეს.

ბაღში ალაგ-ალაგ ძელსკამებია ჩადგმული. ბატონი ალექსანდრე ერთ-ერთ მათგანზე მითითებს და მთავაზობს:

– ჩამოვსხდეთ და საქმეზე დავილაპარაკოთ.

მე თანხმობის ნიშნად თავს ვუქნევ და ვსხდებით. ბატონი ალექსანდრე ფეხს ფეხზე იდებს, მე მორცხვი გოგოსავით ფეხებმიტყუპებული ვზივარ, ბატონ ალექსანდრეს თვალებში ვუყურებ და პირველ სიტყვას მისგან ველი. ვხვდები, რომ სასაცილო მდგომარეობაში ვარ და ფეხებს ოდნავ განზე ვწევ, სწორედ ამ დროს ბატონი ალექსანდრე პირველ სიტყვას ამბობს:

– დავიწყოთ.

– გისმენთ, – ვამბობ.

– მე უკვე გითხარი, რომ ჩემი ცხოვრების მოყოლას არ ვაპირებ, ყველაფერი შენ უნდა მოიგონო. ეხლა აგიხსნი,

რატომ, – ბატონი ალექსანდრე ხელებს იფშვნეტს, – ამ წიგნს, ჩემ მემუარებს, პირადად ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, არანაირი სურვილი არ მაქვს, რომ ხალხს ანგარიში და, მით უმეტეს, აღსარება ჩავაბარო. მაგრამ ამავე დროს მე ძალიან კარგად ვხვდები, როგორ ჭირდება ხალხს იმედი, არა იმის, რომ ყველაფერი კარგად იქნება – ყველაფერი კარგად სამწუხაროდ, ვერასოდეს ვერ იქნება და ეს ყველამ იცის – არამედ იმის, რომ, პირადად ისინი თუ არა, მათი შვილები მაინც გახდებიან ჩემნაირები, მე ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე ვამბობ, რომ თანამედროვეობის გმირი ვარ; მეც და ჩემი კოლეგებიც. ეს პირადად შენთვის და შენი კოლეგა ინტელექტუალებისთვის შეიძლება მიუღებელია, მაგრამ ფაქტია, – ბატონი ალექსანდრე მარჯვენა ხელს მუხლზე მიტყაპუნებს, – გული არ გაიტეხო, თქვენი დრო ისევ დადგება. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მართლა მეორდება ყველაფერი. ისე, შენ გჯერა მაგის? – ბატონი ალექსანდრე ინტერესით მიცქერს თვალებში.

– მოვლენების დონეზე მჯერა, მაგრამ ამავე დროს დარწმუნებული ვარ, რომ მე განუმეორებელი ვარ, თქვენ განუმეორებელი ბრძანდებით, საერთოდ ინდივიდი... – ბატონი ალექსანდრე წინადადების დასრულების საშუალებას არ მაძლევს, ჩემთვის მოულოდნელად დგება, მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითს შუბლზე მადებს და მიყვირის:

– ჩემზე ეგ აღარ თქვა აღარასოდეს, – შუბლზე საჩვენებელ თითს მიკაკუნებს, – კარგად დაიმახსოვრე, ჩემზე ეგ აღარ თქვა აღარასოდეს, – დაბნეული ვარ და შეშინებული, ვერ ვხვდები, რა ვთქვი გასაბრაზებელი. ბატონი ალექსანდრე ჯდება, სახეს ხელისგულებით იზელს, ეს რამდენიმე წამს გრძელდება, შემდეგ მეუბნება, – მაპატიე, – ხმას არ ვიღებ, მხოლოდ თავს ვუქნევ.

– მაპატიე, – იმეორებს ბატონი ალექსანდრე და ხელებს უკვე თმაზე ისვამს, მე კვლავ ჩუმად ვარ.

– მოკლედ, – ამბობს ის, – შენ უნდა შექმნა იდეალური ბიოგრაფია, უფრო სწორად, დემოკრატიული ბიოგრაფია,

რომელიც ადამიანებს იმედს მიცემს, რის იმედს, უკვე გითხარი. ორი დღე იფიქრე, ზეგ თორმეტ საათზე შევხვდეთ და დავილაპარაკოთ, წადი.

– ნახვამდის, – ვეუბნები ბატონ ალექსანდრეს, ვდგები და ბაღის გასასვლელისკენ მივდივარ, რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ თავს ვატრიალებ და ვხედავ, ბატონი ალექსანდრე კვლავ ძელსკამზე ზის, ოღონდ ახლა თავი უკან აქვს გადაგდებული და ცას უყურებს. მეც უნებურად ცისკენ ვიხედები – მცირე მოღრუბლულობაა.

– 13 –

საღამოს მარი მოდის, მე წინასწარ გამზადებულ სიგარეტს ვუწვდი და სანთებელით ვუკიდებ, მარი საფერფლეს იღებს და სავარძელში ჯდება.

– დღეში რამდენ ღერს ეწევი? – ვეკითხები.

– ერთს, – მპასუხობს მარი.

– გამოდის, რომ...

– ჰო, ეგრე გამოდის, – მაწყვეტინებს მარი, – მარტო შენს ოთახში ვეწევი.

– მაშინ, გაანებე თავი, – რჩევას ვაძლევ.

– არა, – მარი ღრმა ნაფაზს არტყამს.

– რატომ?

– პრინციპულად, დიქტატურის საწინააღმდეგოდ. სიგარეტი ვითომ ხომ არაფერი, მაგრამ ზუსტადაც, რომ ყველაფერი ამ „ვითომ არაფრიდან" იწყება.

– ესე იგი, თავისუფლებისთვის ვიბრძვით, – ვასკვნი და მეცინება, – მაშინ მიდი და ცხვირწინ გაუბოლე მამაშენს.

– მე მამაჩემს არ ვებრძვი, უბრალოდ ჩემში ვცდილობ თავისუფლების შენარჩუნებას, – მარი სიგარეტს საფერფლეზე დებს და ხელებს თმაზე ისვამს (მამამისი მახსენდება).

– ბედნიერი ადამიანი ხარ, – ვეუბნები და ვულიმი.

– რა პონტში? – მარი საფერფლიდან სიგარეტს იღებს.

– ახლა რომ გითხრა, „პონტში" და მსგავსი სიტყვები

არ მომწონს-მეთქი, ალბათ „ბოზიშვილი ვიყოთი“ დაიწყებ ლაპარაკს, ამიტომ არ გეტყვი, – მგონია, რომ მარი გაიცინებს. არასწორად მგონია. მარი ძალიან სერიოზულად და სევდიანად მეუბნება:

– მაგ სიტყვას არასოდეს არ ვიტყვი, იმიტომ რომ დედა გარდაცვლილი მყავს.

გული მეწურება, მარისთან მივდივარ.

– მაპატიე, არ ვიცოდი, – მინდა, რომ თავზე ხელი გადავუსვა, მაგრამ ვერ ვბედავ და ვარ ასე გაშეშებული.

– ხუთი წლის წინ გარდაიცვალა კიბოთი, – მარი თვალებში მიყურებს, – შენ?

– რა მე? – ვერ ვხვდები.

– დედა გყავს?

– კი, ჩიკაგოშია მამაჩემთან ერთად.

– ბედნიერი ადამიანი შენ ხარ, – მეუბნება მარი და საუბრის თემას ცვლის, – ბაღი მოგეწონა?

– 14 –

წასვლისას მარი მეუბნება:

– ხვალ ათი საათისთვის მოგიკაკუნებ, – სიტყვა კაკუნის გაგონებაზე ალექსანდრე ჯაფარიძის თითი მახსენდება ჩემს შუბლთან, – და აუზზე ჩავიდეთ, გავცუროთ და გამოვცუროთ.

ვწითლდები. ასეთ დროს ყოველთვის ვწითლდები.

– მე ცურვა არ ვიცი, – ვამბობ და (მგონია, რომ დაფარული ფიზიკური ნაკლი გავამხილე) მარის რეაქციას ველი.

– ისე, შენ მაგარი უცნაური ვინმე ხარ, – მაფასებს მარი და იცინის, – მაგრამ ეგ არაფერი, ცეკვასაც გასწავლი და ცურვასაც. ცურვით დავიწყოთ. ხვალ ათ საათზე მოგიკაკუნებ.

– გინდა ძალიან ეფექტური პროექტი გითხრა? – ვამბობ და ჯერართქმულ ხუმრობაზე უკვე მეცინება, მარი თავს მიქნევს, – სინქრონული ცურვა მასწავლე.

მარი იცინის, სიცილ-სიცილით მიდის, კარს ხურავს და დერეფანში აგრძელებს სიცილს, ხმა მესმის.

-15-

საწოლზე ვწვები, ხელებს ვშლი და ღრმად ვსუნთქავ, ჭერს მივჩერებივარ, შემდეგ ფეხებს ვატყუპებ, ხელებს გულზე ვიწყობ და თვალებს ვხუჭავ. აი, ასე, ოდესღაც აი, ასე დამთავრდება ყველაფერი, თუ არ დავიწვი, თუ არ ამკუნწეს, აი ასე: ფეხებმიტყუპებული, გულზეხელებდაკრეფილი და თვალებდახუჭული. ეს იდეალური ვარიანტია.

თვალებს ვახელ და ვდგები.

კომპიუტერთან ვჯდები, ინტერნეტში შევდივარ. იყო დრო, როდესაც ინტერნეტში მხოლოდ პორნოსაიტები მაინტერესებდა, შემდეგ – მუსიკა და ფილმები, შემდეგ წიგნები, შემდეგ – სხვადასხვა საინტერესო ინფორმაცია. დღესდღეობით ინტერნეტში მხოლოდ საკუთარი თავი მაინტერესებს.

ფოსტაში ახალი არაფერი მაქვს. ლიტერატურულ საიტზე შევდივარ, აქ თითქმის ყველა თანამედროვე მწერლის თემაა გახსნილი, მათ შორის ჩემიც. პირადად მე საიტზე დარეგისტრირებული არ ვარ და დისკუსიებში მონაწილეობას არ ვიღებ, მხოლოდ და მხოლოდ დამთვალიერებელი ვარ, ანუ სტუმარი.

ჩემი თემა გაყინულია, აღარავინ აღარ შემოდის, ამის მიზეზი კი ისაა, რომ კაი ხანია, ახალი აღარაფერი დამიბეჭდავს.

ჩემი კოლეგების თემებში შევდივარ, ვკითხულობ და ვამთქნარებ (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით). არ მაინტერესებს ეს ფსევდოინტელექტუალური განხილვები. სკამის საზურგეს ვეყრდნობი და თვალებს ვიზელ, შემდეგ ხელებს სკამის სახელურებზე ვაწყობ და „ხომ არ დავწერო?" ვეკითხები საკუთარ თავს, უფრო სწორად, „ხომ არ ვცადო დაწერა?" რატომაც არა, მით უმეტეს, რომ ჩემი და ელისოს ცხოვრებაში სიახლეა.

ელისოს დედა დროებით ჩვენთან გადმოვიდა საცხოვრებლად, უფრო სწორად, ელისომ გადმოიყვანა.

– შენ მაინც აღარ წერ და ვიფიქრე, რომ...

– სწორად იფიქრე, – გავაწყვეტინე ელისოს, – თან ერთად ვიქნებით, თან ცოტას მოგეხმარება, – ელისოს ცხვირზე მოვუცაცუნე მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი და გავიფიქრე: „ან მცდის, ან მართლა დაიჯერა, რომ აღარ ვწერ. მე მგონი უფრო მცდის“.

ელისოს დედა, ქალბატონი (სახელი დამავიწყდა, ასეთი რამ ხშირად მემართება ხოლმე, მეორეხარისხოვანი პერსონაჟების სახელები მავიწყდება და იმ ეპიზოდის მოძებნას ვიწყებ, სადაც ელისოს დედა სახელით არის მოხსენიებული. არა, ეს არა, არც ეს, არც ეს... აი, ვიპოვე) მანანა თავის ფუნქციას იდეალურად ასრულებს – ყვირის, რომ გარდაცვლილი მეუღლე საიქიოდან უხმობს, ეს კოშმარია (მისთვის – სამედიცინო, ჩვენთვის – სოციალური თვალსაზრისით).

მე და ელისო ვწევართ და ველით, როდის აყვირდება ჩემთვის ქალბატონი მანანა, ხოლო ელისოსთვის დედა. განსხვავება აშკარაა: ჩემთვის ეს მოლოდინი დამღლელი და მომაბეზრებელია, ელისოსთვის – მტკივნეული.

– რომელი საათია? – მეკითხება ელისო, თავი ჩემს მკერდზე უდევს.

მარცხენა ხელი ტუმბოსკენ მიმაქვს, მობილურ ტელეფონს ვიღებ, ღილაკს თითს ვაჭერ და ეკრანი ინთება.

– სამის ნახევარია, – ვეუბნები და მობილურს ტუმბოზე ვაბრუნებ.

– წესით უკვე უნდა დაიწყოს, – ამბობს ელისო, მაგრამ ქალბატონი მანანა ჯერჯერობით ჩუმადაა.

ელისოს ხელს ხელზე ვკიდებ და მსუბუქად ვექაჩები.

– რას შვები? – ჩურჩულით მეუბნება ელისო.

კითხვას უპასუხოდ ვტოვებ, ელისოს ხელის მსუბუქად ქვევით დაწევას განვაგრძობ.

– ირაკლი.

– ელისო, – ვახსენებთ ერთმანეთს სახელებს.

ყველაფერი მკვეთრი მოძრაობების გარეშე ხდება.

- 17 -

ღამემ მშვიდად ჩაიარა, ქალბატონ მანანას არ უყვირია.

ახლა დღის ათის ნახევარია და მას ჯერჯერობით ისევ სძინავს, მე და ელისო სამზარეულოში ვსხედვართ და ვსაუზმობთ, ელისო გაოცებულია.

– გათენებამდე რომ არ იყვირა, შემეშინდა, ვიფიქრე, რამე ხომ არ დაემართა-თქო, – რამეში იგულისხმება სიკვდილი, – შეევედი, დავხედე, არაფერი: მშვიდად ეძინა, – ელისო ნამცხვარს კბეჩს, ღეჭავს, შემდეგ ყავას აყოლებს. მე სიგარეტს ვეწევი და ყავას ვსვამ, ელისო ტრადიციულ შენიშვნას მაძლევს, – რამდენჯერ უნდა გითხრა, რომ უზმოზე სიგარეტს ნუ ეწევი, არ შეიძლება, მავნებელია.

– სიგარეტის მოწევა ზოგადად მავნებელია, – ვამბობ მე და ვიღიმი.

– შენთან ლაპარაკს აზრი არა აქვს, – ასკვნის ელისო და აშკარად საკუთარი დასკვნის დასაბუთებას აპირებს, მაგრამ ამ დროს სამზარეულოში დედამისი შემოდის.

– დიდი ხანია, ასე მშვიდად არ მძინებია, – ამბობს ქალბატონი მანანა.

„ამან თუ საკუთარი მშვიდი ძილის მიზეზად ჩემს სახლში გადმოსვლა დაასახელა, ცუდადაა საქმე“, – ვფიქრობ და სიგარეტს ვფერფლავ.

ქალბატონი მანანა ჯდება, ელისო დგება, ელექტრომადუღარას იღებს და დედას ჩაის უკეთებს. გამზადებულ ჩაის დედას უდგამს მაგიდაზე და ჯდება. ქალბატონი მანანა ჩაის სმას იწყებს. ჩაი ნამცხვრით – ასეთია მისი საუზმე. რამდენიმე წუთს სამივე ჩუმად ვართ. ვსაუზმობთ.

ქალბატონი მანანა ჭიქას მაგიდაზე დგამს:

– გემრიელია ყველაფერი, ნამცხვარიც, ჩაიც, – ამბობს

და ელისოს სთხოვს, – ჩაი გამიკეთე კიდევ, ოღონდ ნახევარი ჭიქა.

ელისო უკეთებს, ჭიქას მაგიდაზე უდგამს:

– დედა.

– რა იყო, შვილო? – ქალბატონი მანანა თავს მაღლა სწევს.

– მამა არ დაგსიზმრებია გუშინ?

– დამესიზმრა, – ამბობს ქალბატონი მანანა.

– მერე? – ელისოს თვალები უფართოვდება.

– რა მერე, მითხრა, შენ ჯერჯერობით მანდ დარჩი და ირაკლი წამოვიდეს ჩემთანო, – ქალბატონი მანანა ნამცხვრის თავიდან ნაფშხვენებს იღებს და პირში იყრის, – ძალიან მიყვარს ეს ნაფშხვენები, – სიყვარულით ამართლებს თავის არცთუ ზრდილობიან საქციელს.

– ვინ ირაკლი, დედა? – კითხულობს ელისო.

– მე, – ვამბობ, – ვინ არის კიდევ ირაკლი?

– ხო, ეს – ჩემკენ იშვერს თითს ქალბატონი მანანა, – ჩვენი ირაკლი.

ელისო თვალებით მანიშნებს, რომ საქმე აქვს ჩემთან და სამზარეულოდან უნდა გავიდეთ. ამ შემთხვევაში ელისოს მინიშნება ჩემთვის კანონია.

გავდივართ.

ელისო სამზარეულოს კარს ხურავს და ჩუმად მეკითხება:

– ხომ არ გაგიჟდა დედაჩემი?

– არა, უბრალოდ ბედნიერია, რომ გადარჩა.

– შენ ხომ არ გეშინია?

– არა, რა სისულელეა, – ვიღიმი, – წავალ, ცოტას გავისეირნებ.

– 18 –

პანიკა ლიფტში მეწყება: რომ ჩაწყდეს და მართლა მოვკვდე? მძიმედ ვსუნთქავ. ლიფტით მგზავრობა მშვიდობიანად სრულდება. სადარბაზოს გასასვლელთან უკვე

გარეთ გასვლის და თავში აგურის დაცემის მეშინია. ხომ არ ავბრუნდე სახლში? მაგრამ ხომ შეიძლება ლიფტი ასვლისას ჩაწყდეს, ფეხით ავალ. კიბე რომ ჩატყდეს? გარეთ გავდივარ. ცოცხალი ვარ, მეცინება. სისულელეა სიზმარი, მანანას სიზმარი და საერთოდ ნებისმიერი სიზმარი, მაგრამ ხომ უნდა მოვკვდე, ადრე თუ გვიან ხომ უნდა მოვკვდე. ზოგადად სიკვდილზე, როგორც მოვლენაზე და მის არსზე საუბარი აუცილებელია, რადგან ადამიანებმა მუდმივად უნდა დავაფიქსიროთ, რომ ცხოველები არ ვართ, რომ მათგან განსხვავებით ფიქრი შეგვიძლია. ფიქრი, რა თქმა უნდა, შეიძლება ყველაფერზე: სპორტზე, ხელოვნებაზე, ჭამაზე, მაგრამ სიკვდილზე ფიქრი სულ სხვა სიღრმეებში გვექაჩება. ეს საშიში და საშინელი სიღრმეებია, მაგრამ რადგან ეს ყველაფერი გონებაში ხდება, საშიში და საშინელი არაფერია, რეალური შიში და საშინელება მაშინ იწყება, როდესაც სიკვდილი ყოფიერი პრობლემიდან ყოფითი პრობლემა ხდება, ანუ როდესაც უკვე ზოგადად ადამიანი კი არ არის მოკვდავი, არამედ მე ვარ მოკვდავი.

„ცხოველი მინდა ვიყო", ვფიქრობ და ქუჩაში გავდივარ. ქუჩაში ყველაფერი მემუქრება: მანქანები, ბუნება, შენობები და რა თქმა უნდა ადამიანები. ადამიანები დადიან ქუჩაში, სხედან ავტომობილებში, დგანან შენობების აივნებზე. ხეებს ვათვალიერებ, ხეებზე ადამიანები არ არიან – დიდი ხნის წინ ჩამოვიდნენ, მაგრამ ამით ნაკლებად საშიშები არ გამხდარან.

პირველივე ავტობუსში ვჯდები. ავტობუსში უფრო ცოტა ადამიანია, ვიდრე ქუჩაში. ამ ლოგიკით სჯობდა ტაქსიში ჩავმჯდარიყავი, მაგრამ ხიფათი არ განიზომება ადამიანების რაოდენობით. „პირველივე გაჩერებაზე ჩავალ", ვიღებ გადაწყვეტილებას და ავტობუსის მგზავრებს ვათვალიერებ – ძირითადად ხანდაზმულები და სკოლის მოსწავლეები არიან. და უცებ ეს ხანდაზმულები და სკოლის მოსწავლე ადამიანები შეთანხმებულებივით იწერენ პირჯვარს. რა არის ეს – საერთო-სახალხო მადლიერება

ღმრთისადმი თუ საერთო-სახალხო ფარისევლობა? ამ წუთას ჩემთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, ვხვდები, რომ ახლომახლო ეკლესიაა, შემდეგ მახსენდება, რომ ხშირად დავდიოდი ადრე ამ ეკლესიაში.

– გააჩერე, – ვეუბნები მძღოლს.

– გაჩერებაზე გავჩერდები, – მპასუხობს მძღოლი.

მარჯვენა ხელს შარვლის უკანა ჯიბეში ვიყოფ, ფულს ვიღებ და მძღოლისკენ მივდივარ. ფულს ვაძლევ, მძღოლი ფულს თამბაქოსფერ პატარა ტომარაში აგდებს და რამდენიმე ათეული მეტრის გავლის შემდეგ ავტობუსს აჩერებს.

ჩავდივარ და სწრაფი ნაბიჯით მივდივარ ეკლესიისკენ. შემეშინდა, გამიჭირდა და მოვედი, შემეშინდა, გამიჭირდა და მოვედი, შემეშინდა, გამიჭირდა და მოვედი..

ეკლესიის ეზოში შევდივარ, პირჯვარს ვიწერ და გლახებს შორის ვდგები, მარჯვენა ხელს ვიშვერ, ცისკენ ვიხედები და ვბუტბუტებ:

– სიცოცხლე, სიცოცხლე...

გლახები მანჯღრევენ და მიხსნიან, რომ ეს მათი ადგილია და მე აქ არაფერი მესაქმება. ვუყურებ მათ და მეღიმება. „ახლა შეიძლება მცემონ", ვფიქრობ და ვგრძნობ, რომ არ მეშინია.

– 19 –

შორტები და მაისური მაცვია, კისერზე პირსახოცი მაქვს ჩამოკიდებული.

აუზი დახურულია. მარი ჩუსტებიდან ფეხებს ყოფს, სწრაფად იხდის შორტებს, მაისურს და შეზლონგზე აწყობს. ღია საცურაო კოსტიუმი აცვია, უხდება (ძალიან უხდება).

მარი აუზში ხტება.

„ეჰ, ესე რომ შემეძლოს!" ვფიქრობ და წყლის ქვეშ მოცურავე მარის ვუცქერ, მარი ღონივრად ამოძრავებს ხელებს და ფეხებს.

„ადამიანები წყალქვეშ რომ ცხოვრობდნენ, უკეთესი იქნებოდა. არა, უკეთესი არა, უფრო ლამაზი", ვფიქრობ

და ფანტაზიებში ვაპირებ წასვლას, მაგრამ სწორედ ამ დროს წყლიდან ამოყოფილ მარის თავს ვხედავ, რაც იმის ნიშანია, რომ ადამიანებს წყლის ქვეშ ცხოვრება მხოლოდ რამდენიმე წამით შეუძლიათ.

მარი მარჯვენა ხელის ქნევით და სიტყვით მიხმობს:

– ჩამოდი.

მე ისევ ისე ვარ, როგორც რამდენიმე წუთის წინ; შორტებში, მაისურში, კისერზე პირსახოცჩამოკიდებული.

– არა, არ მინდა, – ვუარობ.

მარი იცინის, შემდეგ ჩემკენ მოცურავს, ჩემთან მოცურებული მარი მიღიმის და უკვე ახლოდან მიხმობს:

– ჩამოდი, ნუ გეშინია.

მარის სახეზე წყლის წვეთების ჭორფლი აქვს მოდებული, მე ეს ძალიან მომწონს.

– ჩამოდი ნუ გეშინია, – მიმეორებს მარი და წყალზე წვება, მე მარის მუცელს ვუყურებ, მუცელი ზევით-ქვევით ადი-ჩადის, მარი ღრმად სუნთქავს.

– 20 –

მარი აუზიდან ამოდის, ჯერ იწურავს, შემდეგ ხელისგულებით ისწორებს თმას და ჩემთან ასე თუ ისე გაწურული და დავარცხნილი მოდის.

– პირსახოცი მათხოვე რა, ჩემი დამრჩა, – მთხოვს.

კისრიდან პირსახოცს ვიხსნი და მარის ვუწვდი. მარი პირსახოცს წელზე იხვევს.

– ესე იგი, არ გინდა ცურვა რომ გასწავლო? – მეკითხება მარი, შეზლონგიდან თავის ტანსაცმელს იღებს, მეორე შეზლონგზე დებს (სულ ხუთი შეზლონგია) და წვება. ვხვდები, რომ კონკრეტულად ეს შეზლონგი მარის აკვიატებაა. ადამიანები ხომ საერთოდ ასე ვართ, ვიკვიატებთ რაღაცეებს: ქვეყანას, ქალაქს, რესტორანს, ფილმს, წიგნს და რაც მთავარია, ერთმანეთს. მარი შეკითხვას მიმეორებს, ოღონდ ოდნავ შემოკლებულად:

– ესე იგი, არ გინდა, რომ გასწავლო?

– მინდა, მაგრამ მეშინია, – ვპასუხობ და ვფიქრობ, რომ ოპტიმალური პასუხია, რადგან გოგოებს მოწონთ, ბიჭებს რომ ეშინიათ სასაცილო რაღაცეების (ამ შემთხვევაში ცურვის სწავლის). მარი დგება, მიღიმის და მეუბნება:

– საერთოდ არ არის საშიში.

– არა, რა, – შეზლონგზე ვჯდები, ფეხს ფეხზე ვიდებ.

– ნუ გეშინია, შტერო, – ასე სიყვარულით მარი პირველად მომმართავს, – იცი რა ადვილია? აი, ესე უნდა იქნიო ხელები, – მარი ხმელეთზე დგას და წყალში როგორ უნდა ვიქნიო ხელები, იმას მაჩვენებს. გაკვეთილი ხმელეთზე ხანმოკლეა, მარი პირსახოცს იხსნის წელიდან, ჩემთან მოდის, ორივე ხელს მარჯვენა მკლავზე მკიდებს და მექაჩება. რას ვემორჩილები, მარის ფიზიკურ ძალას თუ მის მომხიბლაობას? პასუხი ერთმნიშვნელოვანია. ვდგები.

– გაიხადე, – მეუბნება მარი და მე სულ ერთი წამით ამ სიტყვას ინტიმური მნიშვნელობით ვიგებ და ვწითლდები.

-21-

ამჯერად მარი აუზში არ ხტება, კიბით ჩადის. კიბე სამსაფეხურიანია. ერთი საფეხური წყლის ზევითაა, ორი – წყლის ქვეშ.

მარი ყელამდე წყალშია, მიღიმის და ხელებით აუზში მეპატიჟება, ეს მუნჯი კინოა, უფრო სწორად მუნჯი სარეკლამო კლიპი.

წინააღმდეგობის გაწევას აზრი აღარ აქვს. რამდენჯერ შეიძლება ერთისა და იმავეს გამეორება, რომ ცურვა არ ვიცი, რომ მეშინია. კიბის სახელურებს მაგრად ვკიდებ ხელებს და კიბეზე ნელ-ნელა ვეშვები. წყალი თბილია. უკვე წელამდე წყალში ვარ, კიბის სახელურებს უფრო მაგრად ვეჭიდები, რადგან კი აღარ მეშინია (ზოგადად, აბსტრაქტულად), არამედ რეალური საფრთხის წინაშე ვარ – სახელურებს ხელები რომ გავუშვა, დავიხრჩობი.

მარი მიყურებს და იცინის (არ დამცინის, უბრალოდ იცინის), მეც ვიცინი, ისე როგორც ჩემს მდგომარეობაში

მყოფ ადამიანს შეეფერება: დაძაბულად, საცოდავად, ხმამაღლა, და რაც მთავარია, არაბუნებრივად.

საფეხურებიდან ფეხებს ვიღებ და წყალში ვამოძრავებ. ბავშვობაში ერთი კვირა აუზზე ვიარე. ისე მოხდა, რომ გავ-ცივდი, ფილტვების ანთება დამემართა და ჩავწექი. გამო-ჯანმრთელების შემდეგ აუზზე აღარ დავბრუნებულვარ და ახლა ბავშვობაში ნასწავლ ილეთს ვიმეორებ – წყალს რიგრიგობით ვურტყამ ფეხებს, ასე რომ, შეიძლება ითქ-ვას, ფეხებით ვცურავ, ხელებით კი ხავსს ვეჭიდები (ხავსი ამ შემთხვევაში ფოლადისაა), რომ არ დავიხრჩო. წყალი ქაფდება.

– გაჩერდი, გაჩერდი, – მესმის მარის ხმა.

ვჩერდები. ფეხებს კვლავ კიბის საფეხურზე ვაწყობ, მარი ჩემკენ მოტივტივებს, შემდეგ ხელებს მიწვდის და მეუბნება (ჩვენ შორის მანძილი დაახლოებით ნახევარი მეტრია):

– მე მომკიდე ხელები.

მაჯებში ვკიდებ ხელებს. ამას ინსტიქტურად ვაკეთებ, ქმედების მოტივის და სავარაუდოდ, შედეგის გაუცნო-ბიერებლად. მარის ვიწრო და სუსტი მაჯები აქვს.

– ფრთხილად, მტკივა, – კივის მარი და ვხვდები, რომ მაგრად მაქვს ხელები მის მაჯებზე მოჭერილი, ვხვდები და არა ვგრძნობ, რადგან გრძნობით მხოლოდ შიშს ვგრძნობ, წყლის მეშინია. მარის მაჯებს ოდნავ ვათავისუფლებ, მარი აღარ კივის, რამდენიმე წამს შვებით სუნთქავს, შემდეგ მაჯებიდან ხელებს მაშვებინებს, თავად მკიდებს ხელებს მაჯებზე და აუზის სიღრმეში მიტაცებს:

– ფეხები ამოძრავე, – მეუბნება.

ფეხებს ვამოძრავებ, წყალი ქაფდება, შხეფები აქეთ-იქით იყრება, მარის გაღიმებულ სახეს ვხედავ, თან მისი სიტყვები მესმის, მაქებს:

– კარგია, ძალიან კარგი.

მარის დახმარებით აუზი სიგანეზე გადავცურე, თუ შეიძლება, რომ ჩემი ფეხების წყალზე ტყაპუნს ცურვა ეწოდოს. ზუსტად ასე ვფიქრობ: „თუ შეიძლება, რომ ჩემი ფეხების წყალზე ტყაპუნს ცურვა ეწოდოს“, მაგრამ ასე არ დავწერდი. გაფიქრებული წინადადება, დაწერილი წინადადება... ახლა ამ საკითხზე ფიქრის თავი არ მაქვს, ძალიან დავიღალე, აუზის ჯებირს ვარ ორივე ხელით ჩაჭიდებული და მძიმედ ვსუნთქავ, აუზი სიგანეში დაახლოებით შვიდირვა მეტრია, ეს მცირე მანძილია, ასე რომ, ჩემი დაღლის მიზეზი უფრო ფსიქოლოგიურია, ვიდრე ფიზიკური.

მარი ტივტივებს, მე აქეთ-იქით ვიხედები, კედელზე ჩამოკიდებულ წითელ სამაშველო რგოლს ვხედავ. მსგავსი რგოლები ბავშვობაში გემზე მაქვს ნანახი, გემით მშობლებთან ერთად ვიმოგზაურე ბათუმიდან ოდესაში და უკან. ეს კრუიზი ჩემი ბავშვობის დროინდელი ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი მოგონებაა, და აი, რატომ: ერთ საღამოს მამამ გემზე განთავსებულ პატარა კაზინოში წამიყვანა, სადაც ერთ-ერთ სათამაშო აპარატში მონეტა ჩავაგდე, შემდეგ აპარატის მარჯვენა კუთხეში დამონტაჟებულ ღილაკს აღფრთოვანებულმა მთელი ძალით დავაჭირე და ტაბლოზე სამი შვიდიანი დავსვი. მე წარმოდგენა არ მქონდა რას ნიშნავდა ეს კომბინაცია. მამამ თავზე ხელი გადამისვა. ზუსტად ამ დროს აპარატიდან მონეტებმა დაიწყეს წკრიალით ცვენა, ამის პარალელურად კაზინოს სტუმრებმა ტაშისკვრა წამოიწყეს და ჩემთვის მოულოდნელად ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდი. ყველაზე მეტად კაზინოს სტუმრების ტაში მსიამოვნებდა, ისინი დიდები იყვნენ (მაშინ არ ვიცოდი, რომ ასაკის მატებასთან ერთად ადამიანები სულ უფრო და უფრო დაბნეულები და მშიშრები ხდებიან და მათ აღიარებას მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არ აქვს) და მე, პატარას მაღიარებდნენ. მთელი ბავშვობის განმავლობაში ჩემი ბავშვობა არ მსიამოვნებდა.

აუზიდან ამოვდივარ. წყალი მდის. კედელთან მივდივარ,

კედლიდან სამაშველო რგოლის ჩამოხსნას ვაპირებ, მაგრამ მარის ყვირილი მესმის:

– არ შეეხო, – და სამაშველო რგოლისკენ გაწვდილ ხელებს დაბლა ვუშვებ, ვტრიალდები.

– რა გაყვირებს? – წყნარად ვეკითხები მარის.

– ეგ დედაჩემისაა, მაგით ცურავდა.

– ააა, მაპატიე, – ვამბობ და ვხვდები, მაგრამ ვერ ვგრძნობ, რისთვის ვთხოვ პატიებას. ამის მიზეზი ისაა, რომ ნებისმიერი ნივთი ჩემთვის მხოლოდ და მხოლოდ უსულო საგანია და ვერანაირად ვერ ვაკავშირებ ერთმანეთთან ნივთსა და მის ყოფილ თუ ამჟამინდელ (მარის დედა გარდაცვალების მიუხედავად სამაშველო რგოლის ამჟამინდელი მფლობელია) მფლობელს. მოკლედ, ჩემთვის ნივთი თავისთავადაა, მიუხედავად ამისა, მაინც ვიმეორებ, – მაპატიე.

– შენ ხომ არ იცოდი, – მეუბნება მარი და წყალქვეშ ეშვება.

– 23 –

სავარძელში ვზივარ, ვეწევი და ხალხის (კაცობრიობის) მაგივრად ვფიქრობ, ამაში განსაკუთრებული არაფერია. ასე იყო (წარსული), ასე არის (აწმყო) და ასე იქნება (მომავალი), თუმცა რეალურად არანაირი წარმოდგენა არ მაქვს, რა იქნება და ძალიან ზედაპირული წარმოდგენა მაქვს იმაზე, რაც იყო, რადგან წარსული აწმყოსთან ერთად იცვლება, არამხოლოდ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წარსული, არამედ – პირადიც. წარსული მოგონებაა, ხოლო სიტყვა (ქმედება)„მოგონება" თავის თავში ორ დროს, წარსულს და აწმყოს შეიცავს.

სავარძელში ვზივარ, აღარ ვეწევი (სიგარეტი ჩავაქრე) და ხალხის (კაცობრიობის) მაგივრად ვფიქრობ. ამას საკუთარი ინიციატივით არ ვაკეთებ, შეკვეთა მაქვს ასეთი. უფრო სწორად, შეკვეთა მაიძულებს, ვიფიქრო ხალხის (კაცობრიობის) მაგივრად. მე იდეალური ადამიანის მემუარები უნდა დავწერო. ახალ ღერს ვუკიდებ. ბევრს ვეწ-

ევი, ცუდია – ასე თუ გავაგრძელე, ხალხის (კაცობრიობის) მაგივრად ფიქრს, ხალხის (კაცობრიობის) მაგივრად მოწევა დაემატება. თვალწინ სიგარეტის უზარმაზარი გორები მიდგება. სიგარეტს ვაქრობ, მგონი უნებურად სიგარეტისთვის თავის დანებების ძალიან კარგ ხერხს მივაგენი.

სიგარეტის გორები ქრება. შეკვეთაზე ვაგრძელებ ფიქრს: ალექსანდრე ჯაფარიძეს იდეალური ადამიანის ერთი თვისება ნამდვილად აქვს: ის მდიდარია. სიმდიდრე ეპოქალური (ამ სიტყვის არა აღმატებითი, არამედ პირდაპირი გაგებით) იდეალია. სიმდიდრე ალბათ ყველა დროში მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, მაგრამ არა იდეალი. თანამედროვე საინფორმაციო საშუალებები გავსებულია მდიდარი ადამიანების ინტერვიუებით. ისინი საუბრობენ ყველაფერზე: რელიგიაზე, პოლიტიკაზე, ხელოვნებაზე, გართობასა და დასვენებაზე, და, რა თქმა უნდა, ბიზნესზე. ისინი ყველა სფეროში საკუთარ სტანდარტებს ამკვიდრებენ. მათი სტანდარტები ადამიანის პირველმიწიერ მოთხოვნილებებზე დაყრდნობით იქმნება, და რადგან თანამედროვე სამყაროში ამ პირველმიწიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ხალხის (კაცობრიობის) მოქმედების მთავარი მამოძრავებელი ძალაა, ალექსანდრე ჯაფარიძისნაირი ადამიანები შემდგარ ადამიანებად ითვლებიან, ხოლო შემდგარმა ადამიანებმა შეუმდგარ ადამიანებს იმედი უნდა მისცენ, რომ ადრე თუ გვიან ისინიც შედგებიან. აქედან გამომდინარე, ალექსანდრე ჯაფარიძე ღარიბ ოჯახში დაიბადა. შეიძლება რეალურად ეს ასეც მოხდა, შეიძლება –არა, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. ხალხისთვის (კაცობრიობისთვის) ალექსანდრე ჯაფარიძე ღარიბ ოჯახში უნდა დაიბადოს, თუმცა დაბადების ეს ვერსია მასთანაა შესათანხმებელი.

– 24 –

კარზე კაკუნია.

– მობრძანდით, – ვეპატიჟები კარს უკან მდგომს. ვფიქრობ, რომ კარს უკან მარია. კარი იღება და ვხვდები, რომ რამდენიმე წამის წინ არასწორად ვფიქრობდი. ოთახში უცნობი შუახნის მამაკაცი შემოდის, მარცხენა ხელში სეკატორი უჭირავს, „ყურები ხომ არ უნდა დამაჭრას?", ვფიქრობ, მელიმება, ვდგები და ვესალმები.

– გამარჯობა, – ხელს ვუწვდი, – ირაკლი, – ვეცნობი.

– გამარჯობა, – ხელს მართმევს, – ჯაბა, მებაღე. ბატონმა ალექსანდრემ მითხრა, რომ ბაღი უნდა დაგათვალიერებინოთ.

– აა, სასიამოვნოა, – ვეუბნები. ის თავს მიქნევს ნიშნად იმისა, რომ მისთვისაც სასიამოვნოა, – თხუთმეტ წუთში ეზოში ჩამოვალ.

– კარგით, – მეუბნება მებაღე ჯაბა და მიდის.

ჩვენ პერსონალურად ერთმანეთისთვის არ ვარსებობთ. ის ჩემთვის ალექსანდრე ჯაფარიძის მებაღეა, მე მისთვის ალექსანდრე ჯაფარიძის სტუმარი. ორმოცდაათი წლის წინ ასეთი რამ ჯერ კიდევ სერიოზული ეგზისტენციალური პრობლემა იყო, დღესდღეობით ეს მხოლოდ და მხოლოდ სასიამოვნო ფაქტია: ვასოცირდები ალექსანდრე ჯაფარიძესთან ანუ სოლიდური აჩრდილი ვარ და არა – ხელმოცარული ინდივიდი.

– 25 –

ბაღის ამ ნაწილში უკვე ნამყოფი ვარ. მებაღე ჯაბა თითოეული ყვავილის ქართულ და ლათინურ სახელს მეუბნება. ვხვდები, რომ ალექსანდრე ჯაფარიძეს მისგან აქვს ნასწავლი საგანი. მე ზრდილობის გამო მებაღეს რამდენიმე შეკითხვას ვუსვამ და ისიც ზრდილობის გამო მპასუხობს, სხარტად, ყოველგვარი ღრმა მეცნიერული ანალიზისა და ლირიკული ჩანართების გარეშე. მე ეს მსიამოვნებს, მინდა, რომ ექსკურსია მალე დამთავრდეს,

ოთახში დავბრუნდე და ვწერო. ხალხის (კაცობრიობის) მაგივრად უკვე ვიფიქრე და ხვალინდელ შეხვედრაზე ალექსანდრე ჯაფარიძეს ჩემს იდეას გავაცნობ, ასე რომ, დღეს შემიძლია ვწერო.

გადაწყვეტილებას ვიღებ:

– ბატონო ჯაბა, – მივმართავ მებაღეს.

ის ჩემკენ ატრიალებს თავს.

– დიახ.

– ჩვენი ექსკურსია რომ გადავდოთ, თუ შეიძლება?

– როგორც იტყვით, – ხელებს შლის, – თქვენი ნებაა.

– მაშინ გადავდოთ, ოღონდ, – უხერხულად ვიღიმი, – ბატონ ალექსანდრეს არ უთხრათ, შეიძლება ეწყინოს.

– შეთქმულებაში მითრევთ ბატონო ირაკლი? – მიღიმის მებაღე.

– არა, როგორ გეკადრებათ, – ვიძაბები, – მე უბრალოდ... – ვბუტბუტებ.

მებაღე ჩემთან მოდის, თვალებში მიყურებს.

– ახალი თაობა, თავისუფლება... სულ ტყუილია ყველაფერი, შენ ზუსტად ისეთივე ნაგავი ხარ, როგორიც მე, – მხარზე ხელს მიტყაპუნებს და მიდის.

რამდენიმე წამს გაშეშებული ვარ. შემდეგ პირველ ნაბიჯს ვდგამ, შემდეგ მეორეს, მესამეს... შემიძლია მებაღეს დავეწიო, მაგრამ სურვილი არ მაქვს.

– 26 –

კომპიუტერთან ვჯდები, შეურაცხყოფილი ვარ. ნაგავი იგივეა, რაც მშიშარა, კონფორმისტი. ეს მცირე ლექსიკოგრაფიული ვარჯიში შეურაცხყოფის გრძნობას მიმძაფრებს. მაგიდაზე ვურტყამ ხელს. რაღაც უნდა მეთქვა, უნდა შევპასუხებოდი, თუნდაც ბავშვურად: „ნაგავი თავი გაბია“, ან „ნაგავი შენ თვითონ ხარ“, მაგრამ ხომ თქვა, რომ თვითონაც ნაგავია. უკვე აღარ ვარ ძველებურად შეურაცხყოფილი, ოდნავ გადამიარა. წერას ვიწყებ, და რადგან რეალური დროისაგან განსხვავებით ხელოვნური

დრო მართვადია (ანუ: ის შეგიძლია შეანელო, ააჩქარო ან საერთოდ გააჩერო), საბა ძნელაძის შემოთავაზებიდან ერთი კვირა უკვე გავიდა.

- 27 -

მობილური ტელეფონის ზარი მაღვიძებს, ტუმბოდან ტელეფონს ვიღებ და ცალი თვალით ეკრანს ვუყურებ – SABA, ვკითხულობ. მეორე თვალი ჯერჯერობით დახუჭული მაქვს, საკომუნიკაციო ღილაკს ვაჭერ თითს და ტელეფონი ყურთან მიმაქვს.

– ბატონო, – ვამბობ და მეორე თვალსაც ვახელ.

– ხომ არ გაგაღვიძე? – მეკითხება საბა.

– არა, – ვიტყუები.

პაუზა, თვალები მეხუჭება. პაუზა სრულდება, რადგან...

– რა გადაწყვიტე? – მეკითხება საბა. თვალებს ვახელ, ეს ჩემი პირველი რეაქციაა საბას კითხვაზე.

– რა გადაწყვიტე? – საბა კითხვას მიმეორებს, ეტყობა, ეჩქარება ჩემი პასუხის გაგება. საკუთარი თავის მნიშვნელობას ვგრძნობ და ეს უცბად მაფხიზლებს. შემიძლია, პირდაპირ ვუპასუხო საბას, შემიძლია ცოტა გავაწვალო. ამპარტავნება ყველაზე ტკბილი ცოდვაა.

– თანახმა ვარ, ოღონდ რაღაც-რაღაცეები უნდა დავაზუსტოთ.

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, – მეუბნება საბა, – დღეს პირველი საათისთვის გამოგივლი.

– კარგი, – ვეთანხმები.

საბა ტელეფონს თიშავს.

ელისოსკენ ვტრიალდები – გულაღმა წევს, თვალებს იფშვნეტს და ამთქნარებს.

ვდგები, ტელეფონს ტუმბოზე ვდებ და საძინებლის კარისკენ მივდივარ. საძინებლის კარის სახელურს ვწევ და კარს ვაღებ.

– ვინ იყო ამ დილაუთენია? – მესმის ელისოს ხმა.

– საბა, – ვპასუხობ და საძინებლიდან გავდივარ. ჯერ

ტუალეტში შევდივარ, შემდეგ სააბაზანოში, შემდეგ სამზარეულოში.

- 28 -

მოტოციკლეტის ხმა მესმის. წერას ვწყვეტ, ვდგები, ფანჯარასთან მივდივარ, ფარდას ოდნავ ვწევ და ჭიშკრისკენ მიმავალ მარის ვხედავ (მოტოციკლეტზე ზის, მისრიალებს). თანდათან მარის თვალსანიერიდან ვკარგავ. ცუდია, რომ ადამიანს შეზღუდული მხედველობა აქვს, ეს წამიერი (სიტუაციური) შეფასებაა. მინდოდა, რომ უფრო დიდხანს მეცქირა მარისთვის, ეს არის და ეს, თორემ ზოგადად ადამიანის მხედველობის შეზღუდულობა ერთ-ერთი რიგითი შეზღუდულობაა სხვადასხვა სახის ადამიანურ შეზღუდულობებს შორის. ბუნებით ადამიანი შეზღუდული არ არის, და აზრი, რომ სრულყოფილება შეუძლებელია, ილუზიაა, რომელსაც დღეს სამწუხაროდ ბანალური ჭეშმარიტების სტატუსი აქვს. შეზღუდულობა ადამიანის არჩევანია: ადამი და ევა, პირველცოდვა, დაკარგული სამოთხე. ეს ყველაფერი ორი სახით არსებობს: 1. როგორც წარსულში მომხდარი რეალური ამბავი და 2. როგორც მოცემულობა, სქემა, რომელსაც ადამიანების უმრავლესობა თავს ვერ აღწევს.

ფარდას უკან ვწევ და ვუბრუნდები სკამს, მაგიდას, კომპიუტერს, ტექსტს. ლიტერატურა ამ სქემიდან (შეზღუდულობიდან) თავის დაღწევის საშუალებაა. თუმცა არსებობს მუდმივი საშიშროება, რომ ეს საშუალება თავისთავად მიზნად იქცეს. ვერც ერთმა დიდმა მწერალმა ეს საშიშროება თავიდან ვერ აიცილა. ამას მსოფლიო ლიტერატურის ისტორია ადასტურებს.

- 29 -

სადარბაზოდან გამოვდივარ, საბას მანქანაში ვჯდები, ხელს ვართმევთ ერთმანეთს. მოკლე მოკითხვები, მოკლე პასუხები. საბა მანქანას ძრავს, გზაზე გავდივართ, გზა გა-

დატვირთულია. საბა ჩემკენ ატრიალებს თავს, მგონია, რომ თემატურად შეიგინება, ანუ ამათი (სხვა მძღოლების) დედა ან კარგებიო, მაგრამ სულ სხვა რამეს მეუბნება:

– ეხლა ჩვენ ჯერ ერთ ჩვენ ძველ ძმას გავუაროთ და მერე ჩავჯდეთ, – საბა თვალს მიკრავს. უსიამოვნო გრძნობა მეუფლება. ამის მიზეზია სიტყვა „ჩავჯდეთ“ . არ მომწონს ეს სიტყვა. კიდევ ბევრი სიტყვა არ მომწონს, მაგალითად: „უსიამოვნო“, „გრძნობა“, „დამეუფლა“, ეს უკანასკნელი ყოვლისმომცველობას გულისხმობს, ყღერადობაც კარგი აქვს, მაგრამ ძირითადად უაზროდ იხმარება და ამიტომ არ მომწონს. ოდესღაც დავწერ წიგნს, რომელშიც მხოლოდ იმ სიტყვებს გამოვიყენებ, რომლებიც მომწონს და ეს იქნება ჩემი ყველაზე მნიშვნელოვანი ლიტერატურული ექსპერიმენტი, რომელსაც ვერავინ ვერ მიხვდება, რადგან ჩემი საყვარელი სიტყვები მხოლოდ მე ვიცი.

უმწეობის გრძნობა მეუფლება.

არც ეს სიტყვა მომწონს – „უმწეობა“, რადგან თავშესაფრებს და უფასო სასადილოებს მაგონებს, ხოლო მე თავშესაფრების და უფასო სასადილოების ძალიან მეშინია, უფრო სწორად, ამ ადგილებში მოხვედრის მეშინია. ძალიან მინდა, რომ დიდხანს ვიცოცხლო, დიდხანს სიცოცხლე კი ამ საფრთხეს შეიცავს. ვხვდები, რომ ამ ლიტერატურულ ექსპერიმენტს ვერასოდეს განვახორციელებ. ექსპერიმენტები ჩნდებიან და ქრებიან, ჩნდებიან და ქრებიან, უფრო სწორად, ექსპერიმენტების განხორციელების სურვილი ჩნდება და ქრება; კიდევ უფრო სწორად – მიჩნდება და მიქრება. თავშესაფარში მოხვედრის ან უფასო სასადილოში სადილობის შიში კი მუდმივად მაქვს. ასაკის მატებასთან ერთად ეს შიში უფრო და უფრო მიმძაფრდება. სწორედ ამიტომ ვცდილობ, კომერციულად მომგებიანი, ყოველ შემთხვევაში, ისეთი წიგნები ვწერო, რომლებიც პოპულარობას მომიტანს, რადგან წარმატება და პოპულარობა თავშესაფრებისაგან და უფასო სასადილოებისაგან დისტანცირების ორი

საუკეთესო საშუალებაა. ასე რომ, პირველადია შიში და არა ამბიციები.

– 30 –

– რომელ ჩვენ ძველ ძმას? – ვეკითხები საბას.

– გამოიცანი, – საბა მიღიმის.

ძველი ძმები ოთხნი ვართ: მე (ჩამონათვალს ჩემით ვიწყებ, რადგან ასე ბუნებრივია, ბუნებრიობა კი ზრდილობაზე მაღლა დგას), საბა (საბა მეორე ადგილზეა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ახლა ჩემ გვერდითაა), ზაზა ბუკია (ზაზა ჩვენ შორის ყველაზე ცუდადაა) და „მექანიკა" (ახლა ემიგრაციაშია) – „მექანიკა" რა თქმა უნდა, მეტსახელია, ოფიციალურად „მექანიკას" ორი სახელი და ორი გვარი აქვს, ერთი ქართული – თამაზ კენჭაძე, მეორე ინგლისური, ემიგრანტული – ენტონი ბარტი. ამ სახელის და გვარის არჩევა, როგორც ყველაფერი მის ცხოვრებაში, მექანიკურად მოხდა. არანაირი დატვირთვა ამ სახელს და გვარს არ აქვს, არც სიმბოლური, არც კულტუროლოგიური, არც საზოგადოებრივი. „მექანიკა" ასეთია – მისთვის არაფერს არ აქვს დატვირთვა, არც ომში წასვლას ქონდა და არც – ემიგრაციაში.

რაც შეეხება მეტსახელს, ის ბავშვობაში ზაზამ შეარქვა. 13-14 წლისები ვიყავით, აუზზე დავდიოდით (კარგია, რომ წიგნში მაინც ვიცი ცურვა). ზაზას (ამ შემთხვევაში ჩამონათვლის მისით დაწყება ბუნებრივია, რადგან პირველად სწორედ მას გაუჩნდა ეს სურვილი), მე და საბას ერთი საერთო სურვილი გვქონდა: გვსურდა აუზის 10 მეტრიანი კოშკურიდან გადმოხტომა. ავდიოდით კოშკურაზე, ვიხედებოდით ქვევით და შიშისაგან გულები გვიფანცქალებდა, ვერცერთი ვერ ვბედავდით გადმოხტომას. რამდენიმე ხნის შემდეგ იგივე სურვილი „მექანიკასაც" (მეტსახელი ჯერ არ ქონდა) გაუჩნდა, მშვიდად ავიდა კოშკურაზე, მიიხედ-მოიხედა, მერე აუზს დახედა და გადახტა. და ზაზამ თქვა: „ეს ადამიანი არ არის, ეს არის მექანიკა". რა თქმა უნდა, ეს

წინადადება ზაზას მოფიქრებული არ იყო, ვილაცეებისგან ქონდა გაგონილი, შეიძლება მშობლებისგან, შეიძლება სხვა უფრო ნაკლებად ახლობელი უფროსებისგან.

გამომდინარე იქიდან, რომ დღეს ჩვენ საქმიანი შეხვედრა გვაქვს და არა მძაფრი ნოსტალგიით გამოწვეული თავშეყრა, ზაზასა და „მექანიკას" შორის შანსები თანაბარია. და აი, რატომ: საბა პოლიტიკაში მიდის, პოლიტიკა (კი) მასებთან ურთიერთობის ხელოვნებაა, მასებთან (კი) ნათელი და მარტივი მაგალითებითაა ურთიერთობა საჭირო, ზაზა (კი) ასეთი ნათელი და მარტივი მაგალითია – ომში დაინვალიდებული ვეტერანი, რომელიც მთავრობისაგან ყოველგვარ ყურადღებასაა მოკლებული, მაგრამ პოლიტიკურ ბრძოლას აქვს თავისი კულისები, სადაც სულ სხვა მეთოდებით მოქმედებენ, მაგალითად: აგროვებენ კონკურენტებზე კომპრომატებს, ან სულაც კლავენ კონკურენტებს. ამ საქმეში კი (ვგულისხმობ მკვლელობას) „მექანიკას" შეუძლია დახმარება (ომში „მექანიკა" ტყვეებს ხვრეტდა. ერთხელ მეც ვცადე ერთი ტყვის დახვრეტა, მაგრამ ვერ შევძელი, არა იმიტომ, რომ იმ წუთას დიდმა ჰუმანისტურმა იდეებმა შემაწუხა, უბრალოდ ადამიანის ასე პირდაპირ მოკვლა ვერ შევძელი), თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ საბა ახლა იწყებს პოლიტიკოსობას, არა მგონია, ვინმეს მოკვლა ჭირდებოდეს. მკვლელობები შემდგარ პოლიტიკოსებს ჭირდებათ საკუთარი მდგომარეობის შესანარჩუნებლად და გასამყარებლად. საბა პოლიტიკურ კარიერას ახლა იწყებს, დასაწყისში კი პრიორიტეტული მასებთან კონტაქტის დამყარებაა, ასე რომ, ზაზასა და „მექანიკას" შორის რამდენიმე ხნის წინ არსებული თანაბარი შანსები ქრება და ჩემი პასუხი გამოცანაზე არის: ზაზა.

საბას ვეუბნები:

– ზაზასთან მივდივართ?

საბა მიღიმის და თავს მიქნევს.

ბოლოს ზაზა წელიწად-ნახევრის წინ ვნახე, ბარგის გადაზიდვაში დავეხმარე უბნიდან უცხო უბანში, ცენტრიდან – გარეუბანში, ძველი სახლიდან – ახალ სახლში, რომლის კართანაც ახლა მე და საბა ვდგავართ.

საბა ზარს რეკავს, შემდეგ ერთ ნაბიჯს უკან დგამს და ხელებს ჯიბეებში იწყობს. მე ხელები ზურგსუკან მაქვს. ჩვენ, ყველა ბავშვობიდან მოვდივართ და ამ შემთხვევაში ეს ფსიქოლოგიური კოშმარია. მე და საბა უკვე დიდები ვართ. გააზრებული გვაქვს, რომ ზაზას დედა ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ქალია, მაგრამ ვდგავართ, კარის გაღებას ველით და ვღელავთ, ისე როგორც ბავშვობაში ვღელავდით. ვაჭარბებ: ისე არა, უფრო ნაკლებად.

საკეტის ჩხაკუნი გვესმის. მე და საბა ერთმანეთს ვუყურებთ, თვალებს ვაფართოებთ და ვიღიმით. კარი იღება და ღია კარში ქალბატონ ზეინაბს ვხედავთ. ბავშვობაში ერთმანეთის მშობლებს დეიდათი და ბიძიათი მივმართავდით. ზაზას დედა ჩვენი დედებისგან ყველაფრით ძალიან განსხვავდებოდა: ყოველთვის საქმიანად ეცვა, მარჯვენა ხელში პატარა პორტფელი ეჭირა, დადიოდა შავი, სამთავრობო მანქანით, რომლის მძღოლიც ქალი იყო. არ აკეთებდა საჭმელს, არ დასდევდა ზაზას ეზოში, ამ ფუნქციას ზაზას ძიძა, ნასტია მიხაელოვნა ასრულებდა. ნასტია მიხაელოვნა უკრაინელი რუსი იყო, საქართველოში მეორე მსოფლიო ომის დროს მოხვდა, იმდროინდელ თავის ფოტოებს გვაჩვენებდა. ჩვენ ვერ ვიჯერებდით, ეს მოხუცი ოდესღაც ასეთი რომ იყო. საკუთარი ფოტოების ჩვენების გარდა ნასტია მიხაელოვნა რუსულ ენას გვასწავლიდა, ასევე გვიყვებოდა ომის ამბებს, როგორ დაბომბეს გერმანელებმა მისი სოფელი, როგორ მოახერხა მან გადარჩენა, როგორ ჩამოვიდა საქართველოში. მოსასმენად ეს იყო რომანტიკული ამბები და ჩვენ ვოცნებობდით, რომ ასეთი რამ ჩვენც გადაგვხდენოდა თავს (ათას სისულელეზე ოცნებობს ადამიანი, ათას სისულელეზე. ხოლო წლების შემდეგ, როდესაც ოცნება აგვიხდა, მე ზა-

ზას მოწყვეტილი მარჯვენა ფეხი დავიჭირე ხელში). ნასტია მიხაელოვნა ამბობდა, რომ ზაზას დედას მშვენიერი აღმოსავლური სახელი ქვია. ეს კიდევ უფრო ამაღლებდა ჩვენს თვალში ზაზას დედის პრესტიჟს, თუმცა მაშინ ნაკლებად ვიცოდით, რას ნიშნავდა აღმოსავლეთი, რა განსხვავება იყო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, რას ნიშნავდა მშვენიერება და მით უმეტეს – პრესტიჟი.

ერთხელ ზაზამ დედამისის სამუშაო ოთახში შეგვიყვანა (სახლში, თორემ ქალბატონი ზეინაბის სამსახურში არასოდეს ვყოფილვართ), საწერი მაგიდის უჯრა გამოაღო და უჯრიდან ოქროსფერი მედლები ამოალაგა.

– ეს დედაჩემის ჯილდოებია, – თქვა ზაზამ, ალბათ ამაყად, რადგან მე ზაზასთვის არ შემიხედავს, მედლებს ვუცქერდი – ზოგზე წითელი ვარსკვლავი იყო ამოტვიფრული, ზოგზე – წითელი დროშა, ზოგზე – ლენინის თავი. ლენინს ფულებიდან ვიცნობდი, მისი ბიოგრაფია არ ვიცოდი, არა იმიტომ, რომ დისიდენტურ ოჯახში ვიზრდებოდი, უბრალოდ იდეოლოგიური აღზრდის საკითხი ჩვენს ოჯახში სათანადო დონეზე ვერ იყო.

– შეიძლება, ხელი რომ მოვკიდო? – ვკითხე ზაზას.

– არა, გაგიჟდი? – მითხრა ზაზამ, მედლები ისევ უჯრაში ჩააწყო და უჯრა დაკეტა.

იმ დღის შემდეგ ქალბატონი ზეინაბი ჩვენს თვალში მითიურ არსებად იქცა.

წლების მერე მსგავსი მედლები ძველმანების ბაზრობაზე ვნახე. შეიძლება ქალბატონი ზეინაბის მედლებიც იყო, ზუსტად არ ვიცი.

– 32 –

მხრებს ვიჩეჩავ. ეს არ არის რეაქცია ოცდამეთერთმეტე თავის უკანასკნელ სიტყვაზე. ასე ქალბატონი ზეინაბის დანახვაზე მემართება – მხრებს ვიჩეჩავ, ინსტინქტურად, მაგრამ ვერ ვხვდები, მაინცდამაინც რატომ ვიჩეჩავ მხრებს და დავუშვათ, არ ვისვამ ცხვირზე ხელს ან არ ვხრი თავს. მსგავსი

არცოდნის არ მეშინია და ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

საბა ქალბატონ ზეინაბს ესალმება.

– გამარჯობათ, ქალბატონო ზეინაბ, – და მარჯვენა ხელზე კოცნის.

თანამედროვე ბურჟუაზიის ახალგაზრდა ვარსკვლავი ძველ კომუნისტ ფუნქციონერს არისტოკრატიულად ესალმება (შეჩერდი წამო, მშვენიერი ხარ!).

მე არ მინდა, უუმური გამოვჩნდე, მაგრამ არც საბასავით რაღაც-რაღაცეების (ამ შემთხვევაში, მისალმების) გაფორმება მომწონს, ამიტომ მაქსიმალურად გულწრფელად, მაგრამ სადად ვესალმები ქალბატონ ზეინაბს.

– ოთახშია, გელოდებათ, – გვეუბნება ის და ჩვენ ზაზას ოთახში შევდივართ. ზაზა სავარძელში ზის, მარჯვენა ხელში ყავარჯნები უჭირავს, საგარეოდ აცვია.

სალამი, მოკითხვები, საყვედურის მოლოდინი ჩემი მხრიდან: სად დავიკარგე, რატომ აღარ ვჩანვარ. არანაირი საყვედური ზაზას მხრიდან, მხოლოდ ვიზუალური შეფასება: „გასუქებულხარ, ხო იცი?!“

– წავედით, – ამბობს საბა, – „მეიდანში“ კუპე მაქვს დაჯავშნული.

ზაზას ცალი ყავარჯენი მარცხენა ხელში გადააქვს.

– 33 –

მეოთხე ზოგადი სადღეგრძელოს შემდეგ საბა ნიკაპზე ხელს ისვამს და ამბობს:

– ძმებო, ჩვენ დაკარგული თაობა ვართ.

– დაკარგული თაობა არ არსებობს, არსებობენ დაკარგული ადამიანები, – აწყვეტინებს საბას ზაზა.

ამ წინადადების ქვეტექსტი ასეთია: „შეჩემა, შენ რა გიჭირს, ჯანმრთელი ხარ, კარგად ცხოვრობ, არადა მე და შენ ერთი თაობის ადამიანები ვართ“. თუმცა ჩვენ მსგავსი ფამილარული გამოთქმებით, როგორიც არის „შეჩემა“, „შეჩემისჩემა“ და ა. შ. ერთმანეთს აღარ მივმართავთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მეგობრობა წარსულში დარჩა.

– დაკარგულობას ერთადერთი ინტერპრეტაცია ხომ არა აქვს? – ვამბობ მე.

– ინტერპრეტაცია ამ შემთხვევაში სწორი სიტყვა არ არის, უფრო სწორია სახეობა. სულ სამი სახეობის დაკარგულობა არსებობს, – ამბობს ზაზა და თვლის, – პირველი: როდესაც ადამიანი დაკარგულია ცხოვრებისთვის, მეორე: როდესაც ადამიანი დაკარგულია ღმერთისთვის და მესამე: როდესაც ადამიანი დაკარგულია ცხოვრებისთვისაც და ღმერთისთვისაც, – ზაზა ღვინოს წრუპავს – ვიღაც-ვიღაცეებს გონიათ, რომ ომში ფეხის დაკარგვით სამოთხე გავინაღდე. რატომ წარმოუდგენიათ ადამიანებს სამოთხე მათხოვრების და მათხოჯების თავშეყრის ადგილად, რატომ ესმით ადამიანებს ქრისტეს სიტყვები ასე პრიმიტიულად? ქრისტე ღვთაებრივის და ადამიანურის სინთეზია. აქედან გამომდინარე, მის ყველა სიტყვასაც ორნაირი მნიშვნელობა აქვს: ღვთიური და ადამიანური.

– ღვთიური ჩანაფიქრის გაგება ადამიანებს უჭირთ, – ვამბობ მე.

– ჯერ ერთი, უჭირთ კი არა, გვიჭირს, – ზაზა მიღიმის, – არ მომწონს ეგ შენი ინტელექტუალური სნობობა და მეორე: არ გვესმის და გავჩუმდეთ რა. ომში ფეხი დაკარგე, სამოთხეში მოხვდები, გამოდის, რომ ღმერთი ფანატიზმისკენ მოუწოდებს ადამიანებს. მართლა რომ ეთქვა ღმერთს, ომში ფეხი დაკარგე, და სამოთხეში მოხვდებიო, რამდენი ადამიანი წავიდოდა ომში და განზრახ დაკარგავდა ფეხს. სულ გაგიჟდა ეს ხალხი.

– ვინ ხალხი? – ბოლოს და ბოლოს საბაც იღებს ხმას და დიალოგი (აშკარა მონოლოგისტური ტენდენციებით) ტრიალოგი ხდება.

– 34 –

– ვინ ხალხი და ჩემი ნათესავები, ჩემი მეზობლები, – ზაზა ღვინით ნახევრად სავსე ჭიქას იღებს მარჯვენა ხელში, – გაუმარჯოს ჩემ ნათესავებს და ჩემ ახალ მე-

ზობლებს, კიდევ, – ზაზა მე მიყურებს, – საბას გაუმარჯოს ჩემო ირაკლი.

– მე რა შუაში ვარ, – უკვირს საბას.

– შენ, ჩემო საბა, შუაში კი არა, თავში ხარ, – დასაწყისი ბანალურია, ვნახოთ გაგრძელება. ზაზა ჭიქას წევს, – შენ, ჩემო საბა, – ტავტოლოგია, – ყველაზე გამოყლეეებული კაცი ხარ ჩემ ნაცნობებში.

ეს უკვე მეგობრული საუბარია.

– აუ, შენ დათვერი, – საბა მარჯვენა ხელს იქნევს.

– მე შეიძლება დავთვერი, მაგრამ შენ გამოყლეეებული ხარ, – ზაზა ჭიქას მაგიდაზე დგამს, – სად მიძვრები, რა გინდა პოლიტიკაში? ან მე სად მექაჩები ან ამას, – ზაზა ჩემკენ იშვერს მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითს, – მოაზროვნე სახლის მცენარეს.

– შენ მართლა დათვერი, – ნაწყენი ვარ.

– შეიძლება მე დავთვერი, მაგრამ შენ ხარ სახლის მოაზროვნე მცენარე, მარტო შენ კი არა, ყველა თანამედროვე მწერალი. არც ერთს არაფრის იმედი და აქედან გამომდინარე, არაფრის თავი არ გაქვთ, მაგრამ მაინც წერთ, რატომ, ვერ ვხვდები. ოღონდ ეხლა არ თქვა, რომ ზუსტად ამ უიმედობის და უთავობის გამოსახატავად წერთ. კარგად ჟღერს, მაგრამ ტყუილია.

ვილიმი და მხრებს ვიჩეჩავ, იმის ნიშნად, რომ არაფრის თქმას არ ვაპირებ.

– საბა, – ზაზა საბას უბრუნდება, – თავიდან რომ დამირეკე და მითხარი რა და როგორ, მართლა გულით მომინდა, რომ დაგხმარებოდი. რომ მითხარი, რომ ირაკლიც ჩვენთან იქნებოდა, გამიხარდა და კიდევ უფრო მომინდა, რომ დაგხმარებოდი. ჩვენი ბავშვობიდან ყველაზე კარგად რა მახსოვს, იცი? რომ გვითხრეს, ღამურები ბავშვებს თმებში აფრინდებიანო და სამივე რომ ღამე თავზე ხელებდაფარებულები დავდიოდით. „მექანიკამ" კიდევ საერთოდ თავი გადაიხოტრა, – სამივეს გაგვეღიმა, – მაშინ მართლა ერთად ვიყავით, საერთო სამყარო გვქონდა,

საერთო შიშები და იმედები. დღეს ეგრე აღარ არის და ხათრით გაკეთებული საქმე კიდევ ყოველთვის უხარისხო გამოდის. მოკლედ, მე მაგ ამბავში ვერ დაგეხმარები, – ზაზა ყავარჯნებს იღებს, ეყრდნობა, უნებურად ჩვენც ფეხზე ვდგებით, – არ გამაცილოთ.

– 35 –

– არა, ზაზა აღარ არის ჩვენიანი, – ამბობს საბა.

საბასთვის სამყარო კორპორაციაა და ადამიანები კორპორატიულად იყოფიან: „ჩვენიანები" და „არა ჩვენიანები". ახლა ზაზა რომ მობრუნდეს და საბას უთხრას: „დაგეხმარები შენს საქმეშიო", ზაზა უცებ „ჩვენიანი" გახდება. თვალწინ ქუჩაში მდგომი ზაზა მიდგას, ყავარჯნებზეა დაყრდნობილი, და ვდგები.

– მოვალ ახლავე, – ვეუბნები საბას და გარეთ გავდივარ. აქეთ-იქით ვიხედები, ზაზას ვეძებ, ზაზა გზაზე დგას, მასთან მივდივარ.

– შენც წამოხვედი? – მეკითხება.

– მე, – რამდენიმე წამით ვიჭედები, – არა ხუთი წუთით ვარ გამოსული.

– რა გინდა? – ზაზა ნაწყენია, რომ მხოლოდ ხუთი წუთით ვარ გამოსული.

– ტაქსის ფული გაქვს? – ვეკითხები ზაზას და თავს ვხრი. ახლა ყველაფერი შეიძლება მოხდეს: ყავარჯენი მომხვდეს თავში, ან მწარე-მწარე გინება მომხვდეს ყურში. შეიძლება პირიქითაც მოხდეს: თბილი სამადლობელი სიტყვები მოვისმინო, ან სულაც მხოლოდ „მაქვსო", მითხრას. ახლა ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ამ ჩამონათვალიდან ყველაფერი, მაგრამ ზაზა სულ სხვა რამეს აკეთებს.

მეკითხება:

– საბამ გამოგგზავნა? – და კატეგორიულად ამატებს, – მაგისი არაფერი არ მინდა.

დასკვნა პირველი: ზაზა საბას კლასობრივ მტრად თვლის.

რეაქცია: მეცინება.

დასკვნა მეორე: ზაზას მე საბას აჩრდილი ვგონივარ.

რეაქცია: შეურაცხყოფილი ვარ!

დასკვნა მესამე: ზაზას ტაქსის ფული არ აქვს.

რეაქცია: ჩემ ფეხებს.

არაფერს არ ვეუბნები, ვტრიალდები და რესტორანში ვბრუნდები.

– რაო? – მეკითხება საბა.

– ვერ ვიპოვე, – ვიტყუები და ვჯდები, – ეტყობა წავიდა.

რამდენიმე წამის შემდეგ საქმიან საუბარს ვიწყებთ.

– 36 –

სახლში ღამე ვბრუნდები. მთვრალი ვარ. მარცხენა ხელით კარს ვეყრდნობი, მარჯვენათი ზარს ვრეკავ, კარს იქით ფეხის ხმა მესმის, შემდეგ კარი იღება, ღია კარში ელისო დგას. ელისოს მხარზე ხელს ვხვევ და ლოყაზე ვკოცნი.

ელისო კარს კეტავს და მატყობინებს.

– ნათია და პეტერი არიან მოსულები.

ნათია ელისოს ბავშვობის დაქალია, პეტერი – მისი ავსტრიელი ქმარი. ზალცბურგში ცხოვრობენ და ხანდახან თბილისშიც ჩამოდიან.

– ძალიან კარგი, – ვეუბნები ელისოს, – მე ახლა სახეზე წყალს შევისხამ, ცოტა აზრზე მოვალ და შემოგიერთდებით, შენ მიდი.

ელისო მიდის.

აბაზანაში შევდივარ, ონკანს ვხსნი და წყალს სახეზე ვისხამ, თვალებს ხელისგულებით ვიზელ, შემდეგ ხელებს წყალს ვუშვერ და სარკეში ვიხედები. ვიღრინები, ენას ვყოფ, ხელები თანდათან მიცივდება. მთვრალი ვარ და მეძინება. რა დროს ნათია და პეტერია, მაგრამ ზრდილობა და ელისოს სიყვარული მავალდებულებს, რომ გავიდე და სტუმრებთან ერთად დავჯდე. ონკანს ვკეტავ, სველ ხელებს თმაზე ვისვამ, შემდეგ პირსახოცს ვხსნი საკიდიდან, სახეს

და ხელებს ვიმშრალებ, პირსახოცს საკიდზე ვკიდებ და სტუმრებთან გავდივარ.

– 37 –

ჩემ დანახვაზე ნათია და პეტერი დგებიან. ნათია ორსულადაა, ანუ ნათია და პეტერი შვილს ელოდებიან.

ვესალმები, პეტერს ხელის ჩამორთმევით და მხარზე ხელის მსუბუქი დატყაპუნებით, ნათიას ლოყაზე კოცნით და გაბერილ მუცელზე ხელის გადასმით.

პეტერი უცხოელების იმ მცირერიცხოვან ჯგუფს ეკუთვნის, რომლებმაც ქართული ენა შეისწავლეს. პეტერი ადამიანის უფლებათა დამცველია, საქართველოში ტრენინგის ჩასატარებლად იყო ჩამოსული და სწორედ აქ გაიცნო ნათია. ზუსტად არ ვიცი, რა უფრო აქტიურად უნდოდა ნათიას – ადამიანის უფლებათა დაცვა თუ უცხოელ კაცზე გათხოვება. სერიოზული ეჭვი მაქვს, რომ მეორე. იყო დრო, როდესაც ძალიან მიკვირდა, რა მოწონდათ ქართველ ქალებს გამოქლიავებულ და სტაბილურ ევროპელ კაცებში, შემდეგ მივხვდი, რომ ზუსტად ეს: გამოქლიავებულობა და სტაბილურობა. საქართველოში ხომ ყველამ ყველაფერი იცის და აქედან გამომდინარე, სტაბილურობაც არ არსებობს. ისე, პეტერი არ არის ცუდი ბიჭი, ტიპიური ევროპელი ინტელექტუალია, ტიპიური ევროპული ღირებულებებით: ადამიანის უფლებები, თანასწორობა, დემოკრატია, ოღონდ ეს ყველაფერი ქრისტეს გარეშე. ჩემთვის კი ქრისტეს გარეშე ყველაფერი სისულელეა. ნეტავ შემეძლოს ისე ცხოვრება, როგორც ვფიქრობ, ნეტავ შემეძლოს.

– 38 –

ელისოს გვერდზე ვჯდები. არ მშია, არ მწყურია, რა ვქნა, უნდა ვილაპარაკო. პეტერს და ნათიას ვუყურებ, ვუღიმი, შემდეგ ნათიას ვეკითხები:

– რომელ თვეში ხარ?

– მეექვსეში, – მპასუხობს ნათია და მუცელზე იყურება.

– ბიჭია თუ გოგო? – ვსვამ ბანალურ, მაგრამ მნიშვნელოვან შეკითხვას.

– არ ვიცით, – ნათია იღიმის, – სიურპრიზად გვინდა დარჩეს.

(სიურპრიზი – თითიდან გამოწოვილი ბედნიერება).

კონიაკის ბოთლს ვიღებ. ეს კონიაკი ალბათ პეტერმა და ნათიამ მოიტანეს, შეიძლება ჩვენც გვქონდა, არ ვიცი.

კონიაკს ვუსხამ, ჯერ ელისოს, შემდეგ ნათიას, მაგრამ ნათია ჭიქას ხელს აფარებს, იმის ნიშნად, რომ არ სვამს, შემდეგ პეტერს, ბოლოს ჩემთვის ვისხამ, ჭიქას ვიღებ.

– თქვენ ჩამოსვლას, ჩვენ დახვედრას, – ვამბობ, ჭიქებს ვაჭახუნებ და ვსვამ, ცარიელ ჭიქას მაგიდაზე ვდგამ და პეტერს ვეკითხები, – რამდენი ხნით ხართ ჩამოსულები?

– ორი კვირით, – მპასუხობს პეტერი (პეტერს აქცენტიც აქვს და წინადადებებსაც ხშირად შეცდომით გამოთქვამს, მაგრამ ამ იაფფასიანი ლიტერატურული ხერხის გამოყენება „ახალ წიგნში" მიზანშეწონილად არ მიმაჩნია, ამიტომ პეტერი გამართულად ილაპარაკებს).

კონიაკის ბოთლს ვიღებ, ელისოს ვუსხამ, შემდეგ პეტერს. ჩემთვის აღარ ვისხამ, აღარ მინდა დალევა, ასე რომ, მსმელები და არამსმელები მაგიდაზე უკვე თანაბრად ვართ.

ბოთლს მაგიდაზე ვდგამ.

– ახლა ხომ იცით, თქვენი შვილი რომ დაიბადება, პირველივე დღიდან უნდა დაიცვათ მისი უფლებები, – ღიმილით ვეუბნები ნათიას და პეტერს.

ნათია და პეტერი იღიმიან, პეტერი ამბობს: „აუცილებლად", ხოლო მე ელისო მსუბუქად ფეხს ფეხზე მირტყამს და ასე მანიშნებს, რომ ვაჭარბებ და უტაქტოდ ვხუმრობ. ელისოს ჩემ შესახებ მცდარი წარმოდგენა აქვს და გონია, რომ სამოქალაქო სექტორის მუშაკებს საერთოდ არ ვცემ პატივს. არ არის სწორი, პატივს ვცემ, მაგრამ რაღაც-რაღაცეები მათთან გასარკვევი და დასაზუსტებელი მაქვს და ამაზე უკეთესი შემთხვევა როდისღა მექნება, რა

თქმა უნდა, ამ ყაიდის ადამიანებს სხვა დროსაც შეიძლება შევხვდე, მაგრამ საკუთარ სახლში, თან მთვრალი...

– იცით რა მაინტერესებს? – ორივეს მივმართავ, ხან ნათიას ვუყურებ, ხან პეტერს, მაგიდიდან სიგარეტს და სანთებელას ვიღებ, სიგარეტს ვუკიდებ და პირველი ნაფაზისთანავე ვფერფლავ, რა ჩვევა მაქვს ეს! მოკიდებისთანავე სიგარეტის დაფერფლა. სიგარეტის გემო არ მსიამოვნებს და ვაქრობ, – იცით რა მაინტერესებს? – ვიმეორებ და ვამბობ, რაც მაინტერესებს, იმას: – თქვენთვის ქრისტე უბრალოდ სინდისის პატიმარია ხომ?! ქრისტეს გაცემას და დაპატიმრებას რომ შესწრებოდით, როგორ მოიქცეოდით? დაიცავდით მის ადამიანურ უფლებებს, დაიცავდით მას როგორც ადამიანს, მაგრამ ამით ხომ ხელს შეუშლიდით დიდი საიდუმლოს აღსრულებას.

– მეტაფიზიკა ჩვენი კომპეტენცია არ არის, – ამბობს პეტერი, – და საერთოდ, ქრისტეს ღმერთობის არანაირი ზუსტი მტკიცებულება არ არსებობს.

– რეებს ამბობ პეტერ, – ნათია პირჯვარს ისახავს და მუცელზე იყურება. ყველაფერი გასაგებია, ყველაფერი, ანუ ნათიას ქრისტესადმი დამოკიდებულება: თუ ის, ან პეტერი ქრისტეზე იტყვიან, რომ ის ღმერთი არ არის, მაშინ ქრისტე მათ შვილს რაღაც ცუდს დამართებს, და ა. შ. ბარბაროსებითაა სავსე სამყარო, ადამიანების უმრავლესობა დღესაც ქრისტემდელი ლოგიკით ცხოვრობს და ყველა იმ საშინელებას, რისი ჩადენაც წარმართულ კერპებს შეეძლოთ, ავტომატურად ქრისტეს მიანერენ. ზევსი ადამიანის თავში შექმნილი კერპია, ქრისტე თავისთავადია, თითქოს ყველაფერი ნათელია, მაგრამ ადამიანები მაინც ქაოსში არიან. აი, მაგალითად, ნათია – თან ფიქრობს, რომ ქრისტე ღმერთი არ არის, მაგრამ ახლა ფეხმძიმედაა, შიშებშია, პირჯვარს იწერს და პეტერს საყვედურობს, რეებს ამბობო. პეტერი ამბობს იმას, რასაც ნათია ამბობდა დაორსულებამდე.

კიდევ მსგავს რაღაც-რაღაცეებზე მინდა პეტერთან და ნათიასთან, უფრო სწორად, უკვე მხოლოდ პეტერთან

საუბარი, მაგრამ ვხვდები, აზრი რომ არა აქვს. მხოლოდ და მხოლოდ მთვრალ, ახირებულ მეტაფიზიკოსად გამოვჩნდები მის თვალში. საჭიროა საუბრის დამიწება.

– პეტერ, ფეხბურთი გიყვარს? – ვეკითხები.

– კი, ძალიან, – პეტერი თავს მიქნევს.

– რომელ გუნდს გულშემატკივრობ?

– ყველას, რომელიც ფეირ-ფლეის პრინციპებს იცავს...

– 39 –

– ქრისტეზე რომ დაიწყე ლაპარაკი, ძალიან დავიძაბე, რატომ მოგწონს ადამიანებისთვის შეურაცხყოფის მიყენება? – მეუბნება ელისო. გულაღმა ვწევარ, ელისოს ჩემს ფეხებზე უდევს თავი, ერთმანეთს ვუყურებთ. პასუხს არ ვცემ, მაგრამ ელისოს ჩემი პასუხი არც ჭირდება, ელისო ჩართულია, – რა გინდა? ადამიანებს მშვენიერი პროფესია აქვთ. ეგენი რომ არ არსებობდნენ, კიდევ უფრო ცუდად იქნებოდა საქმე.

– აბა რა, – ხელებს თავქვეშ ვიდებ, ვაბოყინებ.

– რა წესია, – შენიშვნას მაძლევს ელისო.

– უკაცრავად.

– რა აბა? – ელისოს ფეხებიდან მუცელზე ამოაქვს თავი, თვალებში მიყურებს.

– ეგენი რომ არ იყვნენ, კიდევ უფრო ცუდად იქნებოდა საქმე, ოღონდ ხალხის არა, პოლიტიკოსების, ვარსკვლავების, კაპიტალისტების და მსგავსი ნაგვების. ახლა შენ მეტყვი, რომ ევროპაში ადამიანის უფლებები არ ირღვევა, მაგრამ ადამიანებს ანტირელიგიური ინფორმაციით რომ უტენიან თავს და ამით ყველაზე მთავარის – უკვდავების უფლების წართმევას რომ ცდილობენ მათთვის, ეგ არ არის ადამიანის უფლებების დარღვევა? არის!

– კარგი რა, ირაკლი, ისე ლაპარაკობ, გეგონება ზუსტად იცი, იქ რა და როგორ არის. საერთოდ არის ნეტავ რამე? – სევდიანად ეჭვობს ელისო, შემდეგ თემას ცვლის, – საბამ რაო?

– თავის პოლიტიკურ-სარეკლამო კლიპში მთხოვა მონაწილეობის მიღება, რაღაც-რაღაცეებს დამპირდა და მეც დავთანხმდი. ვარ ახლა მე ნათიაზე და პეტერზე უკეთესი ადამიანი? არ ვარ, მაგრამ იცი, რა მინდა? ისე ჩავეშვა ცხოვრების ნაგავში, რომ ავყროლდე და საკუთარი თავი შემძულდეს, იქნებ ამის შემდეგ მაინც მოვახერხო მართალი ცხოვრების დაწყება.

ელისო მუცელზე მკოცნის.

– ხანდახან ისეთი საყვარელი და საცოდავი შტერი ხარ, რომ სიცილი და ტირილი ერთდროულად მინდება, – ისევ მუცელზე მკოცნის ელისო, – ღამე მშვიდობისა, – ელისო ჩემი მუცლიდან თავს იღებს და ბალიშზე დებს.

– ღამე მშვიდობისა, – ვეუბნები ელისოს და თვალებს ვხუჭავ.

– 40 –

საღამოს მარი მოდის, ჯდება, მე მაგიდიდან წინასწარ მომზადებულ სიგარეტს, სანთებელას და საფერფლეს ვიღებ და ვუწვდი. მარი მართმევს, სიგარეტს უკიდებს და პირველი ნაფაზის შემდეგ მეკითხება (სიტყვები და კვამლი ერთდროულად გამოსდის მარის პირიდან, კვამლი ვიზუალურია და ყნოსვითი, სიტყვა – სმენითი, ხუთი გრძნობიდან ამ წამს სამი მოქმედებაში მაქვს):

– როგორ ხარ?

– მარი, შენ ჩემთან მარტო სიგარეტის მოსაწევად მოდიხარ?

– არა, დასაწოლად.

ვწითლდები, ერთდროულად სიბრაზისგან და სირცხვილისგან, მე მხოლოდ რამდენჯერმე მომინდა მარის მოფერება და კოცნა, მაგრამ მასთან დაწოლაზე არც კი მიფიქრია.

– რეებს ბოდავ, – ხმას ვუწევ.

– ისე ვთქვი, – მარი თავს ხრის, – როგორც ადამიანი, ძალიან მაინტერესებ, ჩემ ირგვლივ ყველა ფულს აგროვებს, შენ – ცოდნას, და ეგ მაინტერესებს.

– სხვათა შორის, მე აქ ფულის დასაგროვებლად ვარ, – ვუხსნი მარის და თან ვგრძნობ, რომ სახიდან სიწითლე თანდათან გადამდის.

– მითხარი რა, რა იცი, – მთხოვს მარი.

– არაფერი არ ვიცი, – უხერხულად ვგრძნობ თავს, – ყოველ შემთხვევაში, არაფერი განსაკუთრებული.

– უცნაური ოცნებები თუ გაქვს?

მეცინება.

– არ მაქვს.

– მე კი, – მარის თვალები უფართოვდება, სიგარეტის დაფერფლა ავიწყდება და ფერფლი მაისურზე ეყრება, მარცხენა ხელით იფერთხავს, – გინდა გითხრა?

– მითხარი.

– ყვავილად მინდა ვიქცე. ლამაზი ვიქნები, ბუნებრივი, კარგი სურნელი მექნება, – მეცინება, – რა გაცინებს?

– შენხელა გოგოები სამსახურის დაწყებაზე ოცნებობენ, კიდევ მობილურზე და მსგავს რაღაცეებზე, შენ კიდევ...

– მაგათი ოცნებები ჩემთვის რეალობაა. ოცნებებში შეზღუდვა ხომ არ მოსულა.

– არა, რა თქმა უნდა, – ხელებს ვშლი.

– ჩემხელა რომ იყავი, არც მაშინ გქონდა უცნაური ოცნებები?

– შენხელა... – ვფიქრდები, – შენხელას არა, უფრო პატარას კი ერთი გოგო მიყვარდა, – ელისო ჩიქვანაია მიდგება თვალწინ. თავისუფლების პირველი წელია, საბჭოთა სკოლის ფორმები აღარ გვაცვია, თავისუფლად გვაცვია, ანუ ვისაც როგორ გვინდა და შეგვიძლია. ეს მერე აგვიხსნა ცხოვრებამ, თავისუფლებასა და „როგორც მინდას" შორის რომ უფსკრულია. ჯერჯერობით ეს არ ვიცით, ჯერჯერობით ომი არ დაწყებულა. სკოლის ეზოში ვართ, მე ლოდზე ვზივარ, ელისო დგას, მარჯვენა თვალზე სველი ცხვირსახოცი მაქვს მიდებული. თხუთმეტი წუთის წინ ელისოს ერთ თაყვანისმცემელს ვეჩხუბე, მუშტი მომხვდა თვალში და თვალი თანდათან მისივდება და მილურჯდება.

„რა გინდა?" მეკითხება ელისო. „გიყვარვარ?" ვეკითხები, მარჯვენა თვალი სველი ცხვირსახოცით მაქვს დაფარული, მარცხენათი მიწას დავჩერებივარ, ელისოს სახეში ვერ ვუყურებ, მრცხვენია. „არ მიყვარხარ", მეუბნება ელისო და შემდეგ ირონიულად მეკითხება, „შეიძლება წავიდე?" „წადი!" ვყვირი. – ერთი გოგო მიყვარდა, – ვიმეორებ, – იმას არ ვუყვარდი და მინდოდა მოვმკვდარიყავი და იცი, რატომ? მაინტერესებდა, ჩემს პანაშვიდზე მოვიდოდა თუ არა, იტირებდა თუ არა, – მეცინება, – აი, ესეთი შტერი ბიჭი ვიყავი ადრე.

– ბიჭებს მაგარი მდარე რომანტიკა გაქვთ, – მარი სიგარეტს საფერფლეში აქრობს, – რა თქმა უნდა, მოვიდოდა და იტირებდა, ტირილს რა უნდა. ჩვენ, გოგოები სულ ვტირივართ. გინდა ეხლა ავტირდე?

– არა, არ არის საჭირო.

– კაი, არ ვიტირებ, – მარი დგება, საფერფლეს ვედროში ცლის, შემდეგ საწერ მაგიდაზე მიდებს და მეკითხება, – ხვალ დილას აუზზე მოხვალ?

– ვერა, მამაშენს ვხვდები.

– ااا, – მარი კარისკენ მიდის, რამდენიმე ნაბიჯს დგამს და ჩერდება, – შენს შეყვარებულს რა ერქვა?

– ელისო ჩიქვანაია, – ვეუბნები. მარი თავს მიქნევს და მიდის.

– 41 –

ალექსანდრე ჯაფარიძე ისევ აგვიანებს. ეზოში ვდგავარ, ხელები ზურგსუკან მაქვს, ასე ძირითადად ფუნქციონერები და პატიმრები დგანან ხოლმე, რაღაც გაგებით მე ორივე ვარ – ფუნქციონერი მწერალი, რომელიც შეკვეთით წერს და დამკვეთის პატიმარი. თემის განვრცობას ვეღარ ვახერხებ, ალექსანდრე ჯაფარიძე მოდის. ვულიმი, ისიც მიღიმის. ხელს ვართმევთ ერთმანეთს, მოკითხვები, შემდეგ ალექსანდრე ჯაფარიძე მეკითხება:

– ბილიარდს თამაშობ?

– საშუალოდ.

– მეც საშუალოდ, ესე იგი, ღირსეული მოწინაღმდეგეები ვართ.

საბილიარდო სასახლის მესამე სართულზეა, უზარმაზარ ოთახში ორი მაგიდა დგას, ერთი რუსული ბილიარდის, მეორე – ამერიკულის.

– რუსული ბილიარდი სწორხაზოვანია, მარტივი წესები აქვს, როგორც რუსულ იმპერიალიზმს. ამერიკული ბილიარდი უფრო რთულია, უფრო ინტელექტუალური, როგორც ამერიკული იმპერიალიზმი. რომელი ვითამაშოთ? – მეკითხება ალექსანდრე ჯაფარიძე.

– ბატონო ალექსანდრე, თქვენ მე ახლა ფაქტობრივად პოლიტიკური არჩევნის წინაშე დამაყენეთ, – ვიღიმი.

– არა, მე უბრალოდ ხაზი გავუსვი იმას, რომ ერთი და იგივე თამაშის სხვადასხვა ნაციონალურ ინტერპრეტაციაში, კარგად ჩანს ამა თუ იმ ერის თავისებურებები. ეხლა მითხარი ერთი თამაში მაინც, რომლის ქართული ინტერპრეტაციაც არსებობს.

პაუზა, ვცდილობ გავიხსენო, ვერ ვიხსენებ და ვამბობ:

– ვერ ვიხსენებ.

– ვერც მე გავიხსენე და მივხვდი, ამის მიზეზი რაც არის: თავისუფლები არ ვართ, ინტერპრეტაციას კი მხოლოდ თავისუფალი ერები ქმნიან.

– რაღაც რუსების და ამერიკელების თავისუფლებაში ძალიან დიდი ეჭვი მეპარება, – ვამბობ მე.

– ინდივიდუალურ დონეზე მეც, მაგრამ პოლიტიკურად? – ალექსანდრე ჯაფარიძე ორ კიას იღებს, ერთს მე მიწვდის, ვართმევ. რუსულ ბილიარდს ვთამაშობთ, – მოიფიქრე რამე? – მეკითხება და კიას ბურთულას ურტყამს.

– კი.

– გისმენ.

– ესეთი რაღაც მოვიფიქრე, – ვღელავ, ბურთულების ჭახაჭუხი ნერვებს მიშლის, – თქვენ დაიბადეთ...

– არა, არა, – მაწყვეტინებს ბატონი ალექსანდრე, – კი

არ დავიბადე, არამედ დავიბადები, მომავალ დროში. რა თქმა უნდა წიგნში ამ ფორმას ვერ შევინარჩუნებთ, მაგრამ პირად საუბრებში ასე გავაკეთოთ.

– კარგით, – თავს ვუქნევ, – თქვენ დაიბადებით ძალიან ღარიბ ოჯახში, თქვენი მშობლები მშრომელი ადამიანები იქნებიან...

– მხოლოდ დედა, მამა სამხედრო მინდა მყავდეს, – მაწყვეტინებს ალექსანდრე ჯაფარიძე.

– ბატონო ალექსანდრე, თქვენ თუ იცით, რა როგორ გინდათ, მითხარით და მე უბრალოდ ჩავწერ ამ ყველაფერს, – ჩემი სითამამე მე თვითონ მიკვირს.

– მეჩხუბები, ირაკლი?! – ალექსანდრე ჯაფარიძე მიღიმის.

– არა, როგორ გეკადრებათ.

– მესმის, რომ ამბიციები გაქვს, მაგრამ ჩემი ბიოგრაფიაა და არა შენი. რაც შეეხება ცოდნას, ცოდნით არაფერი არ ვიცი, შენ ამბობ ვერსიას და მე გეთანხმები, ან არა, რა არის ამაში საწყენი? მგონი არაფერი. შენი დარტყმაა, – ბილიარდის მაგიდაზე მითითებს ბატონი ალექსანდრე.

– 42 –

საშუალო მოთამაშეებიც ვერ ვართ, ჯერჯერობით ვერც ერთმა ვერც ერთი ბურთულა ვერ ჩავაგდეთ ღრმულში. ამჯერად ბატონი ალექსანდრეს დარტყმის ჯერია, ის კიას ცარცს უსვამს, შემდეგ ბილიარდის მაგიდისკენ იხრება, მარჯვენა თვალს ჭუტავს და კიას ბურთულას ურტყამს. ბურთულა მეორე ბურთულას ხვდება, შემდეგ ორივე ბურთულა ბილიარდის მაგიდის სხვადასხვა კუთხეს ხვდება, შემდეგ მაგიდაზე გორავს, მაგრამ ღრმულში არც ერთი არ ვარდება. ბატონი ალექსანდრე ჯაფარიძე კიას ბილიარდის მაგიდაზე დებს და ბავშვურად ამბობს:

– აღარ მინდა თამაში, – და თმაზე ხელების გადასმის შემდეგ, – საქმეზე ვილაპარაკოთ.

მეც ბილიარდის მაგიდაზე ვდებ კიას, ალექსანდრე ჯაფარიძის კიის გვერდზე.

ვსხდებით.

– თუ მამათქვენი სამხედრო იქნება, მაშინ აჯობებს, რომ რიგითი იყოს და არა ოფიცერი.

– გეთანხმები, – ბატონი ალექსანდრე ფეხს ფეხზე იდებს, – ოღონდ მედლებით იქნება დაჯილდოებული და წელზე ყოველთვის სამხედრო, ოქროსფერი, დიდბალთიანი ქამარი ეკეთება.

ასეთი ქამარი მეც მაქვს ბავშვობაში ნანახი, ოქროსფერი, დიდი ბალთით, ბალთაზე ამოტვიფრული ხუთქიმიანი ვარსკვლავით, ნამგლითა და ურითი, მაგრამ არა მგონია, რომ ასეთი ქამრები სამხედროებს 40-იან წლებშიც ჰკეთებოდათ. თუმცა ამას არა აქვს ახლა გადამწყვეტი მნიშვნელობა, თავის დროზე გაბდამოწმდება და დაზუსტდება ეს ამბავი.

– ბატონო ალექსანდრე, მგონია, რომ ქამარს გარკვეული ფუნქცია უნდა შევძინოთ.

პაუზა, რეაქციას ველოდები.

– მაგალითად? – მაგალითის მოყვანას მთხოვს ბატონი ალექსანდრე.

– მაგალითად... – უხერხული პაუზა, – ამ ქამრით მამა დაგსჯით ხოლმე, – ვჩუმდები.

– მცემს, ესე იგი?

– ხომ იცით, ბატონო ალექსანდრე, ხალხს მოწონს, როდესაც წარმატებული ადამიანები მძიმე ბავშვობიდან მოდიან.

– გასაგებია, მაგრამ მაინც უნდა აიწონ-დაიწონოს ეს საკითხი, – ალექსანდრე ჯაფარიძე დგება, – მოკლედ, ირაკლი, ჯერ რაზეც შევთანხმდით, იმას მიეცი მხატვრული ფორმა, დაწერე ერთი სიტყვით, თან ახალ რაღაც-რაღაცეებზეც იფიქრე და ზეგ შევხვდეთ. არა, ზეგ არა, ზეგ წვეულებას ვმართავ. ისე, თუ შემოგვიერთდები, ძალიან კარგი იქნება.

– დიდი მადლობა, სიამოვნებით, – ვამბობ მე.

ნაწილი

III

- 1 -

სმოკინგი პირველად მაცვია ცხოვრებაში, თუ „ცხოვრებაში“ მხოლოდ ცხადს ვიგულისხმებ, რადგან სიზმარში სმოკინგი რამდენიმეჯერ მცმია. სიზმარში არჩევანის უფლება შეზღუდულია, ამიტომ შეიძლება სმოკინგი გარემოების შეუსაბამოდაც კი მეცვა, ამ სიზმრების ზუსტი შინაარსი არ მახსოვს, თუმცა რომ ვცადო მათი აღდგენა, აღვიდგენ, მაგრამ ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ და ვერ ვგრძნობ.

სარკესთან ვდგავარ, პეპელა-ჰალსტუხს ვისწორებ, უფრო სწორად, ფრთებს ვუწელავ, თან სისულელეს ვფიქრობ: ფრთები რომ ამოძრავდნენ ახლა, შიშისგან ცუდად გავხდები, შეიძლება გულიც კი წამივიდეს. არა მგონია, ამ ზომის ფრთებმა დამძრან.

ფრენა არასოდეს ყოფილა ჩემი ოცნება (შეიძლება მხოლოდ ღრმა ბავშვობაში), პირიქით – ფრენის ყოველთვის მეშინოდა და მეშინია.

ფრთებს აღარ ვწელავ, ხელებს ჯიბეებში ვიწყობ და სარკეში საკუთარი თავით ვტკბები, მომწონს ჩემი თავი სმოკინგში.

კარზე კაკუნია. მარია. მის კაკუნს უკვე ვცნობ, მაგრამ მაინც თავს ვიზღვევ (იქნებ ვცდები!) და ვამბობ:

– მობრძანდით.

კარი იღება. არ შევმცდარვარ – მარია. საღამოს კაბა აცვია და შესაბამისად, ქუსლებზეც დგას. ასეთ მარის პირველად ვხედავ და მომწონს. რადგან ასეთი მარი

ზრდასრულ ქალს გავს და მე აღარ მრცხვენია, მარი რომ მომწონს. მაგრამ კომპლიმენტს მაინც არ ვეუბნები, თავს ვიკავებ.

სამაგიეროდ მარი მეუბნება:

– ძალიან გიხდება, – და მარჯვენა ხელის ცერა თითს მაღლა წევს.

– მეც მომწონს, – ვიღიმი, ხელებს ვშლი იმის ნიშნად, რომ მზად ვარ და მარის ვეკითხები: – წავედით?

– წავედით, – გასვლისას ორივე სარკეში ვიხედებით.

დერეფანში მარის ვეკითხები:

– სტუმრები მოვიდნენ?

– ვიღაც-ვიღაცეები კი, ვიღაც-ვიღაცეები ჯერ არა, – მარი მრავალმნიშვნელოვნად მიღიმის.

– 2 –

წარმატებული ადამიანებისადმი ერთმნიშვნელოვანი, მკაფიოდ ჩამოყალიბებული დამოკიდებულება არ მაქვს. ერთი მხრივ, ნათლად ვხედავ და კარგად ვგრძნობ მათი წარმატების მიღმა რა სიცარიელეცაა, ვხვდები, რომ ამ გარეგნულ სისავსეს არანაირი კავშირი არა აქვს იმ სისავსესთან, რაც ჩემი აზრით მართლაც ყველაფერია; მეორე მხრივ, როგორც კი ამ წრეში ვხვდები, გარკვეული ხნით ვიხიბლები და ვჯადოვდები ამ გარეგნული სისავსით.

ჩემ წინ გაბაფთული მსახური დგას, მარჯვენა ხელით სინი უჭირავს. სინზე შამპანურით ნახევრად სავსე ოთხი ჭიქა დგას.

უარის ნიშნად თავს ვაქნევ. შამპანური არ მიყვარს. მსახურს რა თქმა უნდა ამას არ ვეუბნები, მხოლოდ და მხოლოდ თავს ვაქნევ უარის ნიშნად და ისიც მიდის.

ასეთ სიტუაციებში ყოველთვის ლუდის დალევა მინდება. რატომ, მიზეზი ზუსტად არ ვიცი. შეიძლება პროტესტის ნიშნად, შეიძლება ყურადღების მისაქცევად, რომ აი, მე საერთოდ მკიდია თქვენი არისტოკრატული ეტიკეტი და ამ პროლეტარულ სითხეს ვსვამ. თუმცა ეს ორი მიზეზი

ურთიერთკავშირშია, რადგან პროტესტი ყურადღების მიქცევის გარეშე ვერ შედგება.

აქეთ-იქით ვიხედები. ასეთი მასშტაბის წვეულებაზე პირველად ვარ. სტუმრები მიდი-მოდიან, ხელში ჭიქები უჭირავთ. ერთმანეთს ჰაეროვნად კოცნიან ლოყებზე და ფაქიზად უჭახუნებენ ჭიქებს. შემდეგ სვამენ, უფრო სწორად, წრუპავენ. ეწევიან, იცინიან. განსაკუთრებულს არაფერს აკეთებენ, მაგრამ მე მაინც ნერვები მეშლება მათ ბანალურ ქცევებზე. შეიძლება სწორედ ეს ბანალურობა მიშლის ნერვებს, შეიძლება ის, რომ მე მათთვის არ ვარსებობ. მგონი ეს უკანასკნელი უფრო.

ალექსანდრე ჯაფარიძე ალყაშია. ის არ ცდილობს ამ ალყის გარღვევას, რადგან ეს სასიამოვნო ალყაა. ყველა ულიმის, ყველა ცდილობს თავის გამოჩენას. ხმამაღლა იცინიან მის ხუმრობებზე. არა, მე ასეთი არ ვარ. მე გაცილებით მცირე კალიბრის „შემეტენე" ვარ. მიხარია, ასე რომ არის. ყოველ შემთხვევაში, მე რომ ასე მგონია. კმაყოფილი ვიღიმები.

– 3 –

ზურგზე ვიღაც მსუბუქად მიტყაპუნებს ხელს. თავს ვატრიალებ და გაღიმებულ მარის ვხედავ. ორივე ვიღიმით.

– ვერ ერთობი, ხომ? – მეუბნება მარი.

– კი, თან მაგრად, მამაშენს და „შემეტენეებს" ვაკვირდები.

– საშინელი ხალხია, – ამბობს მარი.

– რა ქნან?! – ვცდილობ მათ გამართლებას, – მამაშენი დიდი ძალაა.

– კი, მამაჩემი დიდი ძალაა, – მარი ხელს ხელზე მკიდებს და თემას ცვლის, – წამო, ერთი ძველი ნაცნობი განახო.

მე და მარი ხელჩაკიდებულები მივდივართ ერთი ჩემი ძველი ნაცნობის სანახავად. დროდადრო ვიღაც-ვიღაცეებს ბოდიშს ვუხდით და ვთხოვთ, რომ გაგვატარონ. გვატარებენ.

ვჩერდებით. აქეთ-იქით ვიხედები, ვერც ერთ ჩემს ძველ ნაცნობს ვერ ვხედავ, რაც, რა თქმა უნდა, საერთოდ არ ნიშნავს იმას, რომ ახლომახლო არც ერთი ჩემი ძველი ნაცნობი არ არის.

მარი ხელს ადგილმდებარეობას უცვლის. ჩემი ხელიდან ჩემს მკლავზე გადააქვს, შემდეგ მეორე ხელის საჩვენებელ თითს პირდაპირ იშვერს და მეკითხება:

– აი, იმ გოგოს ცნობ?

მითითებულ გოგოს ვაკვირდები და რა თქმა უნდა, ვცნობ: ეს გოგო ელისო ჩიქვანაიაა.

– ეს აქ საიდან? – ვეკითხები მარის და კითხვის დასმის პროცესში ყველაფერს ვხვდები: მთელი ეს უზარმაზარი წვეულება მარიმ მოაწყობინა მამამისს, მხოლოდ იმისთვის, რომ მე ჩემი პირველი შეყვარებული მენახა.

მარის ვუყურებ, მარი მიყურებს. ერთმანეთს ვუყურებთ. ჩემი შეკითხვა: „ეს აქ საიდან?" უპასუხოდ დარჩა.

– მიდი, – მგეშავს მარი.

და მეც მივდივარ. გული მიცემს, ოღონდ არა სიყვარულისგან, არამედ უხერხულობისგან. ჩემთვის ელისო ჩიქვანაიასთან შეხვედრაში არანაირი რომანტიკა არ არის, ეს ყველაფერი მარისთვისაა რომანტიკული, მის მზერას ზურგით ვგრძნობ.

– 4 –

მე და ელისო ერთმანეთს ვესალმებით. ორივეს ყველაფერი გვახსოვს: მე რომ ის მიყვარდა და მას მე რომ არ ვუყვარდი. სასაცილოა ახლა ეს ცალმხრივი სიყვარულის ამბავი და ჩვენც ვიცინით, ოღონდ თავშეკავებულად.

ელისო მეკითხება:

– შენ აქ საიდან?

– მე ალექსანდრე ჯაფარიძის კარის მწერალი ვარ, – ვამბობ ოდნავი თვითირონიით, თუმცა ვიცი, რომ უმრავლესობისთვის ალექსანდრე ჯაფარიძის კარის მწერლობა გაცილებით უფრო პრესტიჟული რამ არის, ვიდრე

თავისუფალი მწერლობა ან თუნდაც თავისუფალი დიდი მწერლობა, და რადგან ელისოს მე არ ვუყვარდი (მერე რა, რომ ეს ამბავი ბავშვობაში მოხდა), მგონია, რომ ელისო ამ უმრავლესობას ეკუთვნის.

– გილოცავ, – მეუბნება ელისო.

მის მოლოცვაში ირონიას ვერ ვგრძნობ. სამაგიეროდ ვგრძნობ, რომ კარგად ვერ გაიგო, რას ნიშნავს კარის მწერალი, მაგრამ რადგან ეს გაუგებრობა ალექსანდრე ჯაფარიძეს უკავშირდება, ფიქრობს რომ კარგი რამ არის.

– შენ როგორ ხარ? – ვეკითხები.

– გავთხოვდი, ექვსი წლის შვილი მყავს, მეგუნა, სადაზღვევო კომპანია „გლობუსში" ვმუშაობ, – „სივის" ავსებს ელისო.

– მიხარია, – ვუღიმი და ვგრძნობ, რომ უკვე დავიღალე ამ ადამიანთან ურთიერთობით. მხარზე მსუბუქად ვეფერები და ვემშვიდობები. სიტყვიერად დროებით, შინაგანად სამუდამოდ.

– წავალ ახლა მე და მერე გნახავ, – ვტრიალდები.

– ირაკლი, – მესმის ელისოს ხმა. მხოლოდ თავს ვატრიალებ, – ირაკლი, – იმეორებს ჩემს სახელს ელისო და მე ვხვდები, რომ ელისო ცხოვრებაში პირველად მომმართავს სახელით, თუმცა ჩემთვის ამას არანაირი მნიშვნელობა უკვე აღარ აქვს, – აქ შენ დამპატიჟე?

– კი, – ვატყუებ.

– მაშინ ყველაფერი გასაგებია. ძალიან დავიბენი, მოსაწვევი რომ მომივიდა.

ელისო კმაყოფილია და მე მის კმაყოფილებას კიდევ უფრო ვზრდი:

– დღემდე მიყვარხარ.

– დიდი მადლობა, – ოდნავ წითლდება ელისო. რა თქმა უნდა, უხარია ეს ამბავი – მე ხომ ალექსანდრე ჯაფარიძის ერთ-ერთი ჩრდილი ვარ და არა მეათეკლასელი ბიჭი, ჩემი სიყვარული უკვე სასიამოვნოა.

ვწევარ. მარჯვენა ხელში სიგარეტი მიჭირავს, საფერფლე მუცელზე მიდევს. ვეწევი და ვაფერფლებ. იმედგაცრუებული ვარ. არასდროს მიფიქრია, რომ ასეთი უღიმღამო იქნებოდა ჩემი შეხვედრა ელისოსთან. ვწევარ და ვაფერფლებ. რამდენიმე საათის წინ ჩემ თვალწინ ჩემი პირველი სიყვარული დაიფერფლა. შეუძლებელია პირველ სიყვარულზე პათეტიკისა და მეტაფორების გარეშე ილაპარაკო. ნეტავ საერთოდ არ მენახა ელისო, ნეტავ საერთოდ არ მენახა.

კარში გასაღების გადატრიალების ხმა მესმის. სიგარეტს ვაქრობ და საფერფლეს იატაკზე ვდებ. ვიწევი და საწოლზე ვჯდები. კარი იღება. ოთახში სინათლე ჩამქრალია, ამიტომ ოთახში ვინ შემოვიდა, ვერ ვხედავ. ფეხის ხმა მესმის, ადგილიდან არ ვიძვრი, ველოდები, რა მოხდება. ვხვდები, რომ საშიში არაფერია.

– გძინავს? – მარია.

– არა, – ვდგები, – მოიცა, შუქს ავანთებ.

– არ გინდა შუქი, – მეუბნება მარი.

– რატომ? – ვიძაბები.

– კაი, რა გოგოსავით იქცევი, – მარი მიახლოვდება, ხელს ხელზე მკიდებს, – დავჯდეთ, – ოდნავ მქაჩავს ხელზე.

ვსხდებით. მარი საფერფლეს აბიჯებს ფეხს. საფერფლის აყირავების ხმა მესმის.

– მოიცა, შუქს ავანთებ, საფერფლე ამოყირავდა, – ვიწევი, მაგრამ მარი ახლა უკვე მძლავრად მქაჩავს ხელზე.

– დაწექი, – ეს ბრძანებაა.

– დაწექი რა, ძაღლი ვარ?! – ვცდილობ ხუმრობას.

მარის ეცინება.

– დაწექი, – ეს უკვე თხოვნაა.

– არა რა, მარი, გთხოვ, – ვამბობ და ვწვები. ამას უნებურად ჩავდივარ (და არა ვაკეთებ, რადგან ჩემს საქციელში კრიმინალის ელემენტს ვხედავ).

– გადატრიალდი, – მარი კედლისკენ გადატრიალებაში

მეხმარება. შემდეგ თვითონაც წვება, ხელებს მხვევს ტანზე, სახეს ზურგზე მადებს, დიდხანს ვართ ასე. ხმას არც ერთი არ ვიღებთ. თვალები დახუჭული მაქვს. შემდეგ მარი დგება და მიდის. ამას უსიტყვოდ აკეთებს. არც მე ვიღებ ხმას.

– 6 –

დღეს მასალის ჩაბარების დღეა. ვბანაობ, ვიცვამ, ამობეჭდილ ფურცლებს (სულ ორია) ვიღებ და ეზოში ჩავდივარ. ბატონი ალექსანდრე არ ჩანს. ველოდები და თან მარის გუშინდელ საქციელზე ვფიქრობ. რა იყო ეს: ქალური თანაგრძნობის (მსგავს შემთხვევებში თანაგრძნობას სქესი აქვს) თამამი გამოხატულება, თუ ჩემთან ყოფნის სურვილი, ან იქნებ სულ სხვა რამ? ზუსტი პასუხი არ მაქვს და ამ მომენტისთვის არც მინდა, რომ მქონდეს. ჯობია ყველაფერი ვერსიების დონეზე დარჩეს, რადგან ახლა პირად ცხოვრებაში ცვლილებების მოსახდენად მზად არ ვარ.

სწორედ ამ დროს მარის და მებაღე ჯაბას ვხედავ. ვიძაბები, ვფიქრობ რომ ისინი ჩემკენ წამოვლენ, მაგრამ არასწორად ვფიქრობ. მარი და მებაღე ჯაბა შორიდან მესალმებიან – მარი მარცხენა ხელის აწევით, ხოლო მებაღე ჯაბა – თავის დაკვრით. მეც ვესალმები, ხელსაც ვწევ და თავსაც ვუკრავ. მარი და მებაღე ჯაბა ბაღისკენ მიდიან. მე მარის უცნაური სურვილი მახსენდება, ყვავილად რომ უნდა გადაქცევა და მეღიმება.

ბატონი ალექსანდრე გაღიმებულს მადგება თავზე (რა თქმა უნდა, ფიგურალურად, რადგან ორივე ვდგავართ).

– ღიმილი ჩვეეაა მხოლოდ კაცთა, – ციტირებს ბატონი ალექსანდრე, მე მას ვუყურებ, – კაი, სიცილი, – აზუსტებს ბატონი ალექსანდრე, – დიდი ინტრიგანი ხალხი ხართ ეს მწიგნობრები, დემოკრატიას და ჰუმანიზმს ქადაგებთ, თან ერთი არასწორი ციტირების გამო შეგიძლიათ ადამიანი დაამციროთ ან სულაც მოკლათ.

– აი, – ფურცლებს (სულ ორია) ვუწვდი, – დავწერე.

– შეიძლება მემუარები აღარ დაგვჭირდეს, ათ დღეში

გაირკვევა ყველაფერი. შენ დარჩი და შენს საქმეს მიხედე, ფული ჩვეულებრივად დაგერიცხება, – პაუზა, – გავიგე, გუშინ პირველ სიყვარულს შეხვედრიხარ, – ვგრძნობ, რომ ვწითლდები, – პირველი სიყვარული ყოველთვის წარუმატებელია, იმიტომ რომ ნაღდი არ არის. ჩაიდე, კაცო, ეგ ფურცლები ჯიბეში, თორემ ოფისში მგონია თავი, – ფურცლებს (სულ ორია) ჯიბეში ვიდებ, – დღეს რაღაც მარადიულ თემებზე სალაპარაკოდ ვარ მომართული. შემომიამხანაგდები?

– სიამოვნებით, – ვთანხმდები შემოთავაზებას.

– ოღონდ დაივიწყე ჩემი სტატუსი და ეგეთი რაღაცეები, თამამად მესაუბრე, თამამად და ღიად, მარადისობაზე საუბრისას ანგარიში მხოლოდ მარადისობას უნდა გაუწიო. ისაუზმე უკვე?

– არა ჯერ.

– ძალიან კარგი, ერთად ვისაუზმოთ.

– 7 –

მრგვალ მაგიდასთან ვსხედვართ. ბატონმა ალექსანდრემ მოისურვა ასე. ამით კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ თანასწორები ვართ და საუბრისას თამამი და ღია უნდა ვიყო. მოკლედ ეს მისი ახალი დავალებაა.

ვსაუზმობთ. ლორის და ყველის ბუტერბროდებს ვჭამთ და ჩაის ვსვამთ, ბატონი ალექსანდრე მწვანე ჩაის, მე – შავს. შემდეგ ვეწევით და მარადიულ საკითხებზე ვიწყებთ საუბარს. მე შინაგანად მზად ვარ, შევასრულო დავალება – ვიყო მაქსიმალურად თამამი და ღია.

– სანამ ძირითად საკითხზე გადავიდოდე, ერთი შეკითხვა მაქვს, – ბატონი ალექსანდრე სიგარეტს საფერფლეზე დებს, მუშტებს კრავს და ავარჯიშებს, ატრიალებს, შემდეგ კვლავ სიგარეტს იღებს, ამასობაში მე თავს ვუქნევ, კი ბატონო, მკითხეთ-მეთქი და ისიც მეკითხება, – ირაკლი, როგორ ფიქრობ, დიდი ომი დაიწყება?

მე დავალებას ვასრულებ – ვარ თამამი და ღია:

– ეგ, ბატონო ალექსანდრე, მე უნდა გკითხოთ თქვენ, რადგან თანამედროვე ომების უკან თქვენნაირი ადამიანები დგანან.

– გასაგებია, მაგრამ ხომ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს სიტუაცია კონტროლს აღარ დაემორჩილოს?

– ეგ მართლაც მშვენიერი დღე იქნება, – ვიცინი, ბატონი ალექსანდრეც იცინის, – სერიოზულად თუ ჩავუფიქრდებით, რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ მგონია, რომ უახლოეს მომავალში ეგეთი რამ არ მოხდება.

– მეც ასე ვფიქრობ, ჯერჯერობით კარგად ვაკონტროლებთ სიტუაციას, – ბატონი ალექსანდრე სიგარეტს აქრობს და იმეორებს, – ჯერჯერობით კარგად ვაკონტროლებთ სიტუაციას.

– მეც რომ გკითხოთ რაღაც, შეიძლება?

– რა თქმა უნდა.

– იცით, რა მაინტერესებს, მართლა არსებობს საბჭო, რომელიც მსოფლიოს მართავს? – თავს ვიზღვევ და მე თვითონ ვიცინი ჩემს შეკითხვაზე.

– ცაში შეიძლება არსებობს, მიწაზე – არა და ეს სამწუხაროა, – ბატონი ალექსანდრე კვლავ მუშტებს კრავს და ავარჯიშებს, შემდეგ მიხსნის, – ადამიანებს სტაბილურობა და უსაფრთხოება ჭირდებათ, მაგრამ ეს არ არის მათი მთავარი მოთხოვნილება, მთავარი მოთხოვნილება უპასუხისმგებლობაა. ადამიანებს უნდათ, რომ პასუხს არ აგებდნენ არც საკუთარ ქმედებებზე, არც საკუთარ ახლობლებზე და, გამომდინარე იქიდან, რომ ცხოვრებაში ძირითადად ცუდად ვართ და ჩვენი ახლობლებიც ცუდად არიან, და რაც ყველაზე სამწუხაროა, ერთმანეთს ვერ ვშველით, და რაც კიდევ უფრო სამწუხაროა, საკუთარ თავებსაც ვერ ვშველით, ვქმნით მითებს და ლეგენდებს. საბჭო ერთ-ერთი ასეთი მითია. სხვათა შორის, ძალიან საჭირო მითი. საბჭოს არსებობა ქმნის სტაბილურობის და უსაფრთხოების ილუზიას, თან პასუხისმგებლობის გრძნობას უუქმებს ადამიანებს. ჩვენზე არაფერი არ არის დამოკიდებული,

ყველაფერს საბჭო წყვეტს. წარმოიდგინე, ვინც ზუსტად იცის, რომ საბჭო არ არსებობს, რა ცუდადაა.

ვხვდები, ბატონი ალექსანდრე საკუთარ თავს გულისხმობს.

– თუ საბჭო არ არსებობს, მაშინ დიდი ომი შეიძლება მართლაც დაიწყოს, – ვამბობ მე.

– შეიძლება დაიწყოს, მაგრამ ჯერჯერობით კარგად ვაკონტროლებთ სიტუაციას.

– სიტუაციის კარგად კონტროლი რას ნიშნავს, რა თქმა უნდა, თუ საიდუმლო არ არის?

– ისე ღრმად არ ვიჭრებით, რომ უკან დახევა ვერ შევძლოთ. ეხლა კი დროა გადავიდეთ მთავარ საკითხზე.

– 8 –

– უკვდავებაზე რას ფიქრობ, ირაკლი?

– მჯერა, რომ არსებობს, – მოკლედ და კონკრეტულად ვპასუხობ ბატონ ალექსანდრეს, მაგრამ მას ასეთი პასუხი არ აწყობს და არ აკმაყოფილებს, სახეზე ვატყობ რომ ასეა.

– როგორი ფორმით არსებობს შენი აზრით, ეგ მაინტერესებს.

– როგორც წერია: სხეული კვდება, სული არა, – ძალიან ბანალურად ვხსნი დიდ საიდუმლოს.

– ეგ მე არ მაწყობს, – ამბობს ბატონი ალექსანდრე.

და რადგან მე მევალება, ვიყო თამამი და ღია, ვეუბნები:

– ყველაფერი ისე არ არის, თქვენ როგორც გაწყობთ.

– ეგრე, ეგრე, თამამი და ღია იყავი, – მამხნევებს ბატონი ალექსანდრე.

– ვცდილობ, – ხელებს ვშლი, – ყველანაირად ვცდილობ.

– დიდი მადლობა.

მადლობაც დავიმსახურე, მიხარია.

– ირაკლი, აბა დაფიქრდი: ეპოქები სხვადასხვა პროფესიის ადამიანების კარნახით იქმნებოდა, აქედან გამომდინარე, უკვდავების სხვადასხვა კონცეფცია არსებობდა,

მაგალითად, ქურუმების უკვდავების კონცეფცია ძალიან განსხვავდება თუნდაც შენი კოლეგების უკვდავების კონცეფციისგან...

– მაგრამ კონცეფცია არ ნიშნავს ჭეშმარიტებას, – ჩვენი ნაცნობობის განმავლობაში პირველად ვაწყვეტინებ სიტყვას ბატონ ალექსანდრეს, – თუ ჩემ წიგნებს ორასი წლის შემდეგაც წაიკითხავენ, კარგია, მაგრამ ეს ჩემ უკვდავებას არანაირად არ ნიშნავს. ხომ გესმით?!

– მესმის, მაგრამ შენ თვითონ თქვი ეხლა, კარგია თუ წაიკითხავენო. ესე იგი, ფიქრობ ამაზე და, რაც მთავარია, გსიამოვნებს ამაზე ფიქრი და ყველაზე მთავარი კიდევ ისაა, რომ შანსი გაქვს, სიტყვის სახით მაინც იარსებო სამყაროში. ეხლა დაუკვირდი ჩემ მდგომარეობას: ჩემი არსებობა სამყაროში ჩემი სიკვდილისთანავე წყდება. აქედან გამომდინარე, მე ერთადერთი შანსი მაქვს: არ უნდა მოვკვდე! ჩემთვის ყველაფერი სხეულს უკავშირდება.

ჩვენი ნაცნობობის განმავლობაში პირველად მეცოდება ალექსანდრე ჯაფარიძე. ვაწყნარებ:

– დაწყნარდით ბატონო ალექსანდრე, – თავში მოსულ პირველივე ისტორიულ მაგალითს ვეუბნები, – აი, მეცენატი, – ხომ არსებობს დღემდე სამყაროში.

– სად მეცენატი და სად ვერგილიუსი. მეორეხარისხოვანი პერსონაჟია, მეცენატზე ცნობილი მეცენატი მე ვარ დღეს, – მარჯვენა ხელს იქნევს ბატონი ალექსანდრე, – ასეც რომ არ იყოს, ჩემს ხასიათს, ტემპერამენტს, პერსონას და არ ვიცი კიდევ რომელი სულელური სიტყვა ვიხმარო, არ შეესაბამება ასეთი უკვდავება და კიდევ ერთი: მეშინია ირაკლი, ძალიან მეშინია.

პაუზა. ბატონი ალექსანდრე აშკარად ელის, რომ დავინტერესდები, იმით, თუ რისი ეშინია მას. ვგრძნობ, რომ თანდათან ირონიული დამოკიდებულება მიჩნდება ამ ადამიანისადმი.

– რისი გეშინიათ? – ვინტერესდები.

– იქ, – მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითს ცისკენ

იშვერს ბატონი ალექსანდრე. ამჟამად ცა არ ჩანს, ჭერი ეფარება, – მართლა რამე რომ იყოს.

წუთის წინ გაჩენილი ირონიული დამოკიდებულება მიქრება, რადგან იგივე, არა – უფრო სწორად, მსგავსი შიში მეც მაქვს.

– რა იქნება იქ? როგორ ჩაივლის ყველაფერი? – კითხვებს სვამს ბატონი ალექსანდრე.

რა თქმა უნდა, მე ამ კითხვებზე ზუსტი პასუხი არ მაქვს, მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შემიძლია და ერთ-ერთ ვარაუდს გამოვთქვამ კიდეც:

– ხანდახან ვფიქრობ, რომ ჯოჯოხეთი ცარიელია არა იმიტომ, რომ ადამიანები ვართ უცოდველები და კარგები, არამედ ღმერთის უსაზღვრო მოწყალებიდან გამომდინარე.

– მაგრამ ეგ მხოლოდ ვარაუდია, ვერსიაა, – ბატონი ალექსანდრე დგება, – არა, მე არ უნდა მოვკვდე!

მეც ვდგები, მაგრამ არაფერს არ ვამბობ. „არ მოკვდებით ბატონო ალექსანდრე-მეთქი", ხომ არ ვეტყვი.

– 9 –

ათი თავისუფალი დღე მაქვს. კარგია, თავაუღებლად ვიმუშავებ, დავწერ, ბევრს დავწერ. წინასწარ მიხარია ეს ამბავი.

ოთახში ვბრუნდები. ფეხსაცმელებს ვიხდი, ფეხებს ჩუსტებში ვყოფ და აბაზანაში შევდივარ. წინდებს ვიხდი, ფეხებს ვიბან, შემდეგ ხელებს ვიბან და აბაზანიდან გამოვდივარ.

ახლა უკვე სუფთა ხელებით და ფეხებით (სინდისიც სუფთა მაქვს) შემიძლია წერა დავიწყო. რა თქმა უნდა, ვწერ ხელით, მაგრამ აქოთებული ფეხები (აღარაფერს ვამბობ სინდისზე) წერის პროცესს ხელს არანაირად არ უწყობს.

ჯერ უკვე არსებულ მასალას ვამოწმებ. წინააღმდეგობას ვაწყდები, არა თავად ტექსტში, არამედ ტექსტსა და ჩემს ახლანდელ განწყობას შორის. საქმე ელისოს ეხება.

გამომდინარე იქიდან, რომ ეს სახელი ამ პერსონაჟს ჩემი პირველი შეყვარებულის პატივსაცემად ქვია, ხოლო გუშინდელი დღის შემდეგ ჩემი პირველი სიყვარული აღარ არსებობს მოგონების სახითაც კი. ასე რომ, ამ პერსონაჟისადმი ყოველგვარი ინტერესი დაკარგული მაქვს. რა თქმა უნდა, გამოსავალი არსებობს. გამოსავალი პირველი: პერსონაჟს სახელი უნდა შევუცვალო; გამოსავალი მეორე: ელისომ მეათეხარისხოვანი პერსონაჟების რიგში უნდა გადაინაცვლოს. ეს უკანასკნელი გამოსავალი უფრო მომწონს. წერის პროცესში სხვა გამოსავლებიც გამოჩნდება, ჯერჯერობით კი ელისო მეათეხარისხოვანი პერსონაჟების რიგში გადადის. კაცმა რომ თქვას, „ახალ წიგნს" ერთადერთი მეათეხარისხოვანი პერსონაჟი ყავს („მექანიკა", რომელიც ემიგრაციაშია), უფრო სწორად, ჰყავდა. ახლა უკვე ორნი არიან.

– 10 –

სტუდიაში დანიშნულ დროს მივდივარ. დაცვის ბიჭებს პირადობის მოწმობას ვუწვდი და ვეუბნები, რომ ჩემზე საშვი უნდა იყოს დაშვებული. დაცვის ბიჭებიდან ერთ-ერთი ჩემს ნათქვამს კომპიუტერში ამოწმებს:

– კი, არის, – მეუბნება. პირადობის მოწმობას იტოვებს და მიხსნის, – მეორე სართულზე აბრძანდით.

საბა სტუდიის კართან მხვდება. ჩემ დანახვაზე იბადრება. საბა მარტო არ არის. მასთან ერთად პატრიოტული ლექსების ომახიანი კითხვით განთქმული მსახიობია. საბა ერთმანეთს გვაცნობს, შემდეგ სტუდიაში შესვლას გვთავაზობს.

შევდივართ.

სტუდია უსახურია, საბა გვიხსნის:

– ეს ვირტუალური სტუდიაა, ტელევიზორში სულ სხვანაირად გამოჩნდება.

სტუდიაში ბლანჟეიანი ტიპი შემოდის, ეს კლიპის რეჟისორია. თანამედროვე რეჟისორებს ერთი შეხედვით ვცნობ ფსევდოინტელექტუალურ გამოხედვაზე, ყველა

მათგანს გონია, რომ ბუნუელი ან გოდარია, უბრალოდ სამშობლოს მხრივ და ეპოქალურად არ გაუმართლათ და პოლიტიკურ, სასურსათო და სხვა სახის იდიოტურ კლიპებს იღებენ.

საბა რეჟისორსაც მაცნობს. ის მეუბნება, რომ ჩემი ერთი მოთხრობა აქვს წაკითხული და ძალიან მოეწონა. შემდეგ მოთხრობის მოკლე შინაარსს მიყვება და მე ვხვდები, რომ მას ბესო ხვედელიძეში ვერევი, თუმცა შესწორებას არ ვუკეთებ, მხოლოდ მადლობას ვეუბნები.

– აჰა, ძმაო, კითხულობს ხალხი შენს ნაწერებს, – ამბობს საბა.

ვიღიმი.

– იცით, მეც მაქვს თქვენი ერთი მოთხრობა წაკითხული, – მეუბნება ცნობილი დეკლამატორი, – ოღონდ არა ის, რომელიც რეჟისორს, – და მოთხრობის შინაარსს მიყვება.

ამას აკა მორჩილაძეში ვერევი.

ვერ ვხვდები, ესენი არიან დებილები თუ თანამედროვე მწერლები ვგავართ ასე ერთმანეთს? მე, რასაკვირველია, მირჩევნია, ესენი რომ იყვნენ დებილები და ალბათ ასეც არის, მაგრამ ასე თუ არ არის? მაშინ ცუდადაა საქმე.

საბა კვლავ აღფრთოვანებულია:

– კითხულობს ძმაო, ხალხი შენს ნაწერებს, კითხულობს.

ხოლო რეჟისორი ამბობს:

– ყველაფერი მზად არის, დავიწყოთ!

– 11 –

ჯერ დეკლამატორის რიგია; ის საბას ახასიათებს, როგორც კარგ ადამიანს, ჭეშმარიტ პატრიოტს და შემდეგ ვაჟა ფშაველას ლექსს, „კაი ყმას“ კითხულობს.

მე და საბა გვერდიგვერდ ვდგავართ და ამ სისულელეს ვუყურებთ და ვისმენთ. საბა ჩურჩულით მეკითხება:

– მაგარია, არა?

მე თავს ვუქნევ იმის ნიშნად რომ, კი, მაგარია.

ამასობაში ჩემი ჯერიც დგება. რეჟისორის მიერ მითითებულ ადგილზე ვდგები, კამერების შუქი თვალებს მატკიებს.

– თვალები გაახილეთ, დაძაბული ნუ ხართ, – დირექტივებს მაძლევს რეჟისორი.

– ცოტა ხანს მაცადეთ და ყველაფერს გავაკეთებ, – დროს ვითხოვ.

კამერების შუქს მზერას ვუსწორებ. მთავარია გავიაზრო ის, რომ ახლა დაკითხვა კი არა, არამედ სარეკლამო კლიპის ჩაწერა მიმდინარეობს და ეს შუქი ტექნიკური აუცილებლობაა და არა ზემოქმედების საშუალება. არა, კი არ უნდა გავიაზრო, უკვე გააზრებული მაქვს, სხეული უნდა დავაჯერო, რომ ეს ასეა.

– კარგია, აი, ეგრე, – მესმის რეჟისორის ხმა. ეს კარგი ჩემთვის შეუმჩნევლად მოხდა, – დაიწყეთ, – მეუბნება რეჟისორი და მეც საბასთან წინასწარ შეთანხმებული ტექსტის კითხვას ვიწყებ (ჩემ წინ ეკრანი-სუფლიორია):

– საბა ძნელაძე ჩემი ბავშვობის მეგობარია. მე არ ვილაპარაკებ მის წარმატებებზე ბიზნესში და საერთოდ შეგნებულ ცხოვრებაში, მე მას, როგორც ბავშვს, ისე დავახასიათებ. ზოგადად ყველა ბავშვი საყვარელია, მაგრამ ბავშვების უმეტესობას ტყუილების თქმა უყვარს, მაგრამ არსებობენ უიშვიათესი გამონაკლისებიც. საბა ძნელაძე სწორედ მათ რიცხვს ეკუთვნის, მე არ მახსოვს საბას მიერ ნათქვამი არც ერთი ტყუილი და რადგან ჩვენ ყველა ბავშვობიდან მოვდივართ და ალბათ ცხოვრების ბოლომდე ბავშვებად ვრჩებით, მე ხმას ვაძლევ საბა ძნელაძეს და თქვენც იმავეს გირჩევთ.

– გადაღებულია, – ამბობს რეჟისორი.

(ვინ უფრო ცუდი კაცია: საბა, ვინც ამ იდიოტობის გაკეთება მთხოვა, რეჟისორი, ვინც ეს იდიოტობა გადაიღო, თუ მე, ვინც ეს იდიოტობა გავაკეთე? რიტორიკულ კითხვას ვუსვამ საკუთარ თავს).

საბა ხელს მართმევს, მადლობას მეუბნება, მიღიმის და მხარზე მეგობრულად მიტყაპუნებს მეორე ხელს.

– კაი, რისი მადლობა, არ გრცხვენია?!

სტუდიაში შუხნის ქალი და ბავშვები შემოდიან. ქალი და ბავშვები საბას ესალმებიან, ქალი საბას ბატონოთი მიმართავს, ბავშვები კი – ბიძიათი.

მე ბავშვებს ვათვალიერებ – ყველას თეთრი ტანსაცმელი აცვია. ვითვლი, რვანი არიან, ოთხი ბიჭი და ოთხი გოგო. გენდერული ბალანსის დაცვას აჩვევენ ბავშობიდანვე.

– 12 –

დივანზე ვაგდივარ და ბეგბედერის რომანს ვკითხულობ. ახლა ზუსტად ასეთი პრიმიტიული წიგნის კითხვა მჭირდება, სადაც ყველაფერი ძალიან მარტივია და უაზრო, სადაც ადამიანები მხოლოდ მიწაზე ფიქრობენ და, აქედან გამომდინარე, სულ გულდაწყვეტილები და დაბნეულები არიან. მე და ამ ადამიანებს განსხვავებული ხედვა გვაქვს. მე ზუსტად ცხოვრების აზრი მაშინებს, მათთვის ცხოვრება უაზროა, და რაც მთავარია, გონიათ, რომ ცხოვრების აზრს თუ მიაგნებენ, მათი შიშები და გულდაწყვეტები დასრულდება. ვერ ხვდებიან, რომ ცხოვრება სწორედ მაშინაა სასიამოვნო, როდესაც უაზროა და წარმავალი, თორემ როდესაც ცხოვრებას აზრი ეძლევა, ნამდვილი შიში და გულდაწყვეტა სწორედ მაშინ იწყება. რა მოხდება მაშინ, როდესაც აქ ყოფნა დამთავრდება და იქ ყოფნა დაიწყება? რამდენად არცოდვაა არცოდნა და რამდენად არცოდვაა გამოუყენებელი და, კიდევ უარესი, განზრახ არასწორად გამოყენებული ცოდნა?

ბეგბედერის რომანში ასეთი რამეები (მათთვის ეს მართლაც რამეებია) არ აღელვებთ და მე ზუსტად ეს მომწონს, ბედნიერი ადამიანების წიგნს ვკითხულობ. სამწუხაროდ თავად ამ ადამიანებმა არ იციან, ბედნიერები რომ არიან, უფრო სწორად, ამაზე დიდი მიწიერი ბედნიერება რომ არ არსებობს.

კარზე ზარია. წიგნს ვხურავ და იატაკზე ვაგდებ. ვდგები და კარის გასაღებად მივდივარ, უფრო სწორად, მივფლატუნობ.

საბაა. მარჯვენა ხელში თაიგული უჭირავს. მიღიმის. ვანიშნებ, რომ შემოვიდეს. შემოდის.

– ეს, – თაიგულზე მითითებს, – ელისოს საოცრებათა ქვეყანაში წასაღებად, სახლშია?

– არა, დასასვენებლად გავუშვი.

– მაშინ შენ გაჩუქებ ამ თაიგულს, – საბა თაიგულს მიწვდის.

ვართმევ და ვსუნავ.

– ვგიჟდები ყვავილებზე, რა, დიდი მადლობა.

ორივე ვიცინით.

– ისე, რა შტერები არიან ეს გოგოები, არა?

– უხდებათ, რა გინდა!

– მართალი ხარ, უხდებათ, – მეთანხმება საბა.

და მე (თაიგულით ხელში) და საბა ლოჯისკენ მივდივართ. თაიგულს მაგიდაზე ვდებ.

– ეგრე დაჭკნება, – მაფრთხილებს საბა.

– დაჭკნეს რა, ელისო ამას მაინც ვერ ჩამოუსწრებს.

– 13 –

დივანზე ვსხდებით. საბა პირდაპირ საქმეზე გადადის:

– რატომ გამოიქეცი?

– რა არის, იცი? მე, შენ და საერთოდ ჩვენი თაობა რაც ვართ, უკვე გაირკვა და ჩვენი საშველი აღარ არის, მაგრამ ბავშვები ხომ შეიძლება, კარგები გამოვიდნენ? რომ ამღერებთ, საბა ბიძიამ ბაღი აგვიშენა და ატრაქციონები გაგვიკეთაო, ცოდოები არიან.

– რაც ჩვენ ვართ, ეგენიც ეგეთები გამოვლენ, იმიტომ, რომ ჩვენი შვილები არიან. ჩვენ ის გამოვედით, რაც ჩვენი მშობლები იყვნენ და ასე უსასრულოდ. ისე, – საბა სიგარეტს უკიდებს, – სიმართლე რომ გითხრა, არც მე მსიამოვნებს ეგეთი რაღაცეების კეთება, მაგრამ ხალხზე

სხვანაირად ვერ გახვალ. წარმოიდგინე ეხლა, ხალხს რომ დაუდგე და გლობალურ საფრთხეებზე დაუწყო ლაპარაკი, ვერაფერს ვერ გაიგებენ და გიჟად ჩაგთვლიან.

წარმოვიდგენ: საბა მიკროფონით ხელში ზღვა ხალხს მიმართავს; უხსნის, რომ უახლოეს მომავალში შეიძლება მესამე მსოფლიო ომი დაიწყოს, რომ ორი დიდი იმპერია – ამერიკა და რუსეთი საქართველოსთვის იბრძვიან. ამერიკა საქართველოს პროგრესს სთავაზობს, ოღონდ მომავალში. ჯერჯერობით კი საქართველო „ახალი ავღანეთი" უნდა გახდეს. რუსები მშვიდობიან ჭაობს გვთავაზობენ, სადაც ადრე თუ გვიან ყველა ბაყაყებად ვიქცევით, ხოლო ჩვენი ოცნება ევროპულ სივრცეში გაერთიანებაზე აუხდენელია. ხალხის სახეებს ვხედავ, გაკვირვებული და უკმაყოფილო სახეებია. და ხელფასები? პენსიები? სამუშაო ადგილები?

ამ შემთხვევაში საბა მართალია. წარმოდგენას ვწყვეტ.

– 14 –

– კარგი კონიაკი მაქვს, დალევ? – ვეკითხები საბას.

– დავლევ, დავლევ, აბა რას ვიზამ, – ღიღინებს საბა.

ვდგები, კონიაკის ბოთლი და ორი ჭიქა მომაქვს, ბოთლს ვხსნი, კონიაკს ჭიქებში ვასხამ, ბოთლს თავზე ვახურავ და მაგიდაზე ვდგამ. ერთ ჭიქას საბას ვუწვდი, მართმევს, მეორეს მაღლა ვწევ და ტრადიციული სადღეგრძელოს თქმას ვაპირებ: მშვიდობას გაუმარჯოს, მაგრამ საბა ახალ ინფორმაციას მაწვდის:

– ზაზამ დამირეკა.

– მერე? – ჭიქას მაგიდაზე ვდგამ, ვჯდები.

– იმ დღეს გავატრაკეო, თუ კიდევ გინდა ჩემი დახმარება, დაგეხმარებიო.

– მერე? – რას ავიჩემე ეს სიტყვა.

– ხვალ დილას უნდა შევხვდე.

– ცოდოა ზაზა, – ვამბობ.

– კი, ცოდოა, – მეთანხმება საბა, – ყველაფერი თუ კარ-

გად წავიდა, საფრანგეთში გავაგზავნი. იქ ერთი კლინიკაა, სადაც მაგარ პროთეზებს აკეთებენ.

– კარგს იზამ.

საბა ჭიქას წევს:

– ზაზას გაუმარჯოს.

– გაუმარჯოს, – ვამბობ და ჭიქას ჭიქაზე ვუჭახუნებ საბას. ორივე ვსვამთ.

– მართლა კარგი კონიაკია, – სასმელს მიქებს საბა, – დაასხი.

ბოთლს ვიღებ, ვხსნი და კონიაკს ვასხამ.

– 15 –

ზაზასთან წასვლა უცებ (სპონტანურად) გადავწყვიტე. გამახსენდა, რომ დილით საბას ხვდებოდა და მასთან მისვლა საღამოსთვის გადავდე.

– აი, აქ გააჩერე, – ტაქსის მძღოლს ვეუბნები. ფულს ვაძლევ და მანქანიდან გადმოვდივარ.

სადარბაზოში ბიჭები არიან მოყუჩებულები, მოსაწევის სუნი დგას. ბიჭებს ვუღიმი იმის ნიშნად, რომ ამუნია არ ვარ, მშვიდობაა და აქედან გამომდინარე, წყნარად იყვნენ.

ისინიც მიღიმიან, კმაყოფილები არიან იმით, რომ მშვიდობაა.

ზაზასთან ფეხით ავდივარ, ლიფტით მერჩივნა, მაგრამ არ მინდა, რომ ჩემი გაჩერებით საკუთარ თავს და ბიჭებს დისკომფორტი შევუქმნა. ხომ შეიძლებოდა, რომ ლიფტი ადგილზე დამხვედროდა? რა თქმა უნდა, კი, მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია, ისეთივე ვარაუდი, როგორიც ის, რომ ლიფტი საერთოდ გაფუჭებული ყოფილიყო. ძირითადად კი ლიფტი არსად არასდროს არ მხვდება ადგილზე, ყოველთვის ლოდინი მიწევს, ეს ან ზოგადად ასეა, ან მე ვარ უიღბლო ამ საკითხში. ასეთი ღრმა ფილოსოფიური მსჯელობის შემდეგ ვხვდები, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე და კმაყოფილი ვარ.

ამასობაში ზაზას ბინამდეც მივაღწიე. ზარს ვრეკავ და

ქალბატონ ზეინაბთან შესახვედრად ვემზადები. ბავშვობისდროინდელი კომპლექსები გულისა და ტვინის ოკუპაციას ახდენენ.

– 16 –

კარს ზაზა აღებს. ეს სასიამოვნო მოულოდნელობაა. შევდივარ. ზაზა კარს კეტავს. ერთმანეთს ვესალმებით.

– მარტო ხარ?

– კი, დედაჩემი მეზობელთანაა გასული, რაღაც სერიალს უყურებენ ერთად.

ქალბატონი ზეინაბი სერიალს უყურებს. მიკვირს.

ზაზას ოთახში შევდივართ. ზაზა სავარძელში ჯდება, ყავარჯნებს კედელზე აყუდებს. მე ზაზას პირდაპირ სკამზე ვჯდები.

– რას შვები, როგორ ხარ? – ვეკითხები.

– დღეს საბას სარეკლამო კლიპი ჩავწერეთ.

– მე გუშინ ვიყავი მაგ საქმეზე, – ანგარიშს ვაბარებ ზაზას. ირკვევა რომ სულ ტყუილად, რადგან ზაზა მეუბნება:

– ვიცი, – ზაზა მრთელ ფეხზე ხელს ისვამს და ინტერესდება, – რატომ მოხვედი?

ზუსტი პასუხი არ მაქვს ამ შეკითხვაზე, ამიტომაც ვამბობ:

– ისე, უბრალოდ.

– ისე, უბრალოდ, – იმეორებს ჩემს სიტყვებს ზაზა, შემდეგ ჩემს ქმედებას აფასებს, – კარგია, რომ მოხვედი, გამიხარდა.

და ვიჭედებით. რაზე ვილაპარაკოთ, არ ვიცით. ორივე ვგრძნობთ ამას და უხერხულად ვუღიმით ერთმანეთს.

ასეთი უხერხული სიტუაციიდან გამოსავალი ერთია – რაღაც სასიამოვნო ეპიზოდი უნდა გავიხსენოთ ჩვენი ბავშვობიდან, ეს ყოველთვის ჭრის და მე ვიხსენებ ასეთ ეპიზოდს. ჩვენი სკოლის საკალათბურთო მოედანზე ვაბრუნებ ზაზას.

– ცენტრიდან რომ ჩააგდე ბოლო წამზე ბურთი გახსოვს?! ძალიან მაგარი იყო.

– ჰოო, – ზაზა ილიმის, – ეგ წამი ჩემი ცხოვრების ზენიტი იყო, მაშინ ამას ვერ მივხვდი, მეგონა, რომ გაცილებით დიადი საქმეებისთვის ვიყავი დაბადებული. ეხლა ვიცი, რომ ეგრეა, ცენტრიდან ბოლო წამზე ბურთის ჩასაგდებად დავიბადე, მაგრამ ამაზე ლაპარაკს აზრი არ აქვს. არ გაინტერესებს, საბას რატომ დავთანხმდი ჩაწერაზე? – მეკითხება ზაზა და ამ კითხვით ჩვენ საუბარს ახალ მიმართულებას აძლევს.

– რა თქმა უნდა, მაინტერესებს.

ზაზა შარვლის ტოტს მრთელ ფეხზე იდებს და მიხსნის:

– გამოცხადება მქონდა, ოღონდ ეხლა არ თქვა, რომ გავაფრინე, – მაფრთხილებს ზაზა.

– არ ვამბობ.

– არც გაიფიქრო.

– არც ვფიქრობ.

– რატომ არ ფიქრობ, რა, შენ ოდესმე გქონია გამოცხადება? – ინტერესდება ზაზა.

– არა, არ მქონია, უბრალოდ მთხოვე, არ გაიფიქროო და არ ვფიქრობ.

– შენ თუ თხოვნით შეგიძლია ფიქრების კონტროლი, მაგარი ყოფილხარ, – იცინის ზაზა, – მოკლედ გიჟი არ ვარ, მართლა მქონდა გამოცხადება, – და რა როგორ იყო, იმას მიყვება:

– თავიდან ჩვეულებრივი სიზმარი იყო, არა, მთლად ჩვეულებრივი არა: დედაჩემის თავი მეჭირა ხელებში, ტყეში მივდიოდი, დედაჩემის თავს ვაწყნარებდი და ვპირდებოდი, რომ ტანს აუცილებლად ვუპოვნიდი. დედაჩემის თავი მთხოვდა, რომ რაც შეიძლება სწრაფად მეპოვა ტანი. „ვეძებ დედა, ვეძებ“, ვეუბნებოდი და მართლა ვეძებდი ტანს, მაგრამ ვერ ვპოულობდი. ყველაზე უცნაური ის იყო, რომ თავს სისხლი არ სდიოდა, უცებ ცა გაიხსნა და ანგელოზი დავინახე. გამიხარდა, ვიფიქრე, ანგელოზი ტანის ადგილსამყოფელს მე-

ტყოდა, მაგრამ შევცდი. ანგელოზმა მითხრა:

ზაზა ტუჩებს ამოძრავებს, მაგრამ მე მისი სიტყვები არ მესმის.

– ვერ გავიგე, – ვეუბნები.

ზაზა კვლავ ტუჩებს ამოძრავებს და მე კვლავ არ მესმის მისი სიტყვები.

– და ანგელოზი გაქრა, ცა დაიხურა. უცებ დედაჩემის თავი ხელიდან გამივარდა, ასაღებად დავიხარე და ამ დროს გამეღვიძა.

– 18 –

გაშტერებული ვუყურებ ზაზას. ვფიქრობ, რომ გააფრინა და კიდევ, რაც ყველაზე დიდი საშინელებაა, დედამისი მოკლა, თავი მოაჭრა, ახლა უნდა, რომ ისევ გაამთლიანოს და ამას მეუბნება მინიშნებებით. ხელებზე ვაკვირდები – სადმე სისხლის კვალი ხომ არ აქვს. არა, არ აქვს. „თუ არ მოუკლავს, მაშინ სად არის? სერიალს უყურებს მეზობელთან, სისულელეა. ქალბატონი ზეინაბისნაირი ადამიანები სერიალებს არ უყურებენ". ვდგები.

– რატომ ადექი? მოხდა რამე? – ორ შეკითხვას ერთად მისვამს ზაზა.

– არა, არაფერი, – ზაზას ორ შეკითხვას ერთ პასუხს ვცემ, – უბრალოდ ჯდომით დავიღალე, – მაქსიმალურად ვფრთხილობ, მეშინია, მეც არ მომკლას ზაზამ. შეუიარაღებელია, თან ინვალიდია, ეს ყველაფერი გააზრებული მაქვს, მაგრამ მაინც ძალიან მეშინია.

აქეთ-იქით ვიხედები, აღარაფერს აღარ ვეძებ. დარწმუნებული ვარ, რომ ზაზა გაგიჟდა და დედამისი მოკლა. წასვლაზე ვფიქრობ, მაგრამ ეს ისე უნდა გავაკეთო, რომ პრობლემები არ შემექმნას. ტაქტიკურ სვლას ვაკეთებ – ვჯდები. ვიჯდები რამდენიმე წუთი, შემდეგ რაღაც საქმეს მოვიმიზეზებ და წავალ.

არხეინად მიჭირავს თავი.

– როგორ ჩაიარა ჩაწერამ? – ვეკითხები ზაზას.

ზაზა მოყოლას იწყებს. მე ზაზას ნათქვამს ერთ ყურში ვუშვებ და მეორედან ვატარებ.

ზაზას გაგიჟების მიზეზზე ვფიქრობ. საკუთარ თავს ვადანაშაულებ, საბას ვადანაშაულებ და მექანიკურად „მექანიკასაც" ვადანაშაულებ. დაინვალიდების შემდეგ მივატოვეთ, ყურადღებას აღარ ვაქცევდით, რა იქნებოდა რომ საერთოდ არ დაწყებულიყო ეს ომი. კი არ ვწუწუნებ, არამედ წარმოვიდგენ:

– 19 –

რუკზაკებს ვტენით და ზღვაზე მივდივართ. ზუსტად იმ ზღვაზე, რომლის ნაპირებზე ერთმანეთს ავტომატები მივუშვირეთ და ერთმანეთი გადავცხრილეთ ისე, რომ კარგად არც ვიცოდით, რატომ ვიყავით მტრები და რა გვქონდა გასაყოფი. ჩვენ ამის ცოდნას არც არავინ გვთხოვდა, პირიქით, აკრძალულიც გვქონდა ამის ცოდნა. მიზეზი მხოლოდ რჩეულმა ერის მამიკოებმა იცოდნენ. ჩვენ სროლა და სიკვდილი გვევალებოდა და ვინც გადავრჩით, დიდხანს გვრცხვენოდა ამის.

ზღვის ნაპირზე ვწევართ, მზე დაგვნათის და ჩვენ არ ვიცით, რა დიდი ბედნიერებაა ეს, ჩვეულებრივ მოვლენად ვთვლით მზის ქვეშ ყოფნას. საღამოს რესტორანში ვვახშმობთ, ამით ხაზს ვუსვამთ იმას, რომ უკვე დიდები ვართ, უკვე კაცები ვართ, თუმცა კარგად ვიცით, რომ ჩვენი მშობლები ასე არ თვლიან. ეს ნერვებს გვიშლის, მაგრამ ყოველ საღამოს სტაბილურად ვრეკავთ სახლებში და ვეუბნებით, რომ კარგად ვართ. მამები გვაფრთხილებენ, რომ ვიღაც უჯიშო ქალებს არ გადავეკიდოთ და არ ავიკიდოთ რაღაც ვენერიული დაავადებები.

რა იქნებოდა, რომ ასე ბანალურად გვეცხოვრა, ასე უაზროდ გვეცხოვრა? მაგრამ ჩვენ საინტერესო და აზრიანი ცხოვრებისთვის გაგვიმეტეს რჩეულმა ერის მამიკოებმა, ეს არ იყო ჩვენი არჩევანი. ჩვენ ბანალური და უაზრო ცხოვრება გვინდოდა.

– 20 –

ვდგები. ეს არ არის ტაქტიკური სვლა, ეს რეაქციაა, უკმაყოფილების გამოხატვაა არსებული ვითარებით, ჯანყია. სამყაროს უკეთესობისკენ შეცვლის სურვილი მაქვს, მაგრამ ეს განცდები წამიერია, მახსენდება, რა ვითარებაშიც ვარ. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ბავშვობის მეგობარი გაგიჟდა და საკუთარი დედა მოკლა. ახლა შეიძლება მეც მომკლას, თუ დროზე არ გავასწარი აქედან.

– ზაზ, მე წავედი რა, – ვეუბნები, – სახლში რაღაც საქმეები მაქვს, – ვიტყუები, – გნახავ ამ დღეებში, – კიდევ ვიტყუები. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ველარ ვნახავ, ზაზას დაიჭერენ და საგიჟეთში ჩააგდებენ.

ზაზა ჯერ კედელზე მიყუდებულ ყავარჯნებს იღებს, შემდეგ – შარვლის ტოტს მრთელი ფეხიდან, ყავარჯნებს ეყრდნობა და დგება.

– არ დაგიჭერ ძმაო, – მეუბნება ზაზა. სიტყვა „დაჭერა“ ყურს მჭრის.

კარისკენ მივდივართ, ზაზა კარს აღებს, ხელს ვართმევთ ერთმანეთს და გამოვდივარ, მგონი გადავრჩი. ამ დროს მოპირდაპირე კარი იღება და ქალბატონი ზეინაბი გამოდის, ვიღაც უცნობი ქალი აცილებს და ხვალისთვის, ახალი სერიის საყურებლად ეპატიჟება. ქალბატონ ზეინაბს უცნობი ქალი ზეიკოს ეძახის.

კიბეზე ჩავრბივარ ისე, რომ ქალბატონ ზეინაბს არც ვესალმები. სადარბაზოს გასასვლელთან კვლავ ბიჭები არიან მოყუჩებულები, იცინიან. სწრაფად გავდივარ სადარბაზოდან, ბიჭების სიცილი მესმის. ვიცი, მე არ დამცინიან, მაგრამ მაინც არ მსიამოვნებს მათი სიცილი.

ტაქსის ვაჩერებ.

– 21 –

ტრადიცია დაირღვა: დღეს მარი ჩემს ოთახში სიგარეტის მოსაწევად არ მოვიდა.

ფანჯარასთან ვდგავარ და ვარსკვლავებით მოჭედილ

ცას ვუყურებ. ცა არასდროს ყოფილა ჩემი ოცნებების საგანი. პირიქით, ყოველთვის ძალიან მიწიერი ვიყავი და სწორედ ამის გამო მთვლიდნენ „არამიწიერ“ არსებად. ეს პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: მიწიერი ადამიანები უმცირესობაში არიან. მხოლოდ მიწიერი ადამიანები გრძნობენ, რამდენად წარმავალია მიწა, რამდენად არ ღირს მის გამო ბრძოლა. ადამიანი, რომელიც, დავუშვათ, ამერიკიდან ხორბლით დატვირთულ გემს მოჰყვება საქართველოში და ეს სერიოზულ საქმედ მიაჩნია, არის არა მიწიერი, არამედ ამაღლებული, რომანტიკული ადამიანი და სწორედ ასეთი, ე. წ. პრაქტიკული (სინამდვილეში რომანტიკული) ადამიანები ცდილობენ ზეციური პრინციპების მიწაზე დანერგვას. ამის რეალური შედეგია ომი.

მარი დღეს სწორედ ამ არამიწიერი უმრავლესობის მიერ შექმნილი იდეოლოგიის გავლენით არ მოვიდა. გამომდინარე იქიდან, რომ არამიწიერი ადამიანები რეალურად არარსებულ მიწიერ მარადიულობაში ცხოვრობენ, მათი იდეოლოგიის თანახმად, წარმავალ მოვლენებს და ქმედებებს (მაგალითად, ჩახუტებას) მარადიულის სტატუსი ენიჭება. ამ იდეოლოგიის თანახმად, მარი სამუდამოდაა ჩემთან ჩახუტებული.

– 22 –

ფანჯარას ვცილდები, საწერი მაგიდისკენ ვიხედები, თუმცა ვიცი, რომ დაჯდომას აზრი არ აქვს, რადგან დღეის დასანერი უკვე დავწერე, ამ მხრივ ცარიელი ვარ. სამაგიეროდ დიდი სიამოვნებით გავისეირნებდი.

ოთახიდან გამოვდივარ. დერეფანში ალექსანდრე ჯაფარიძის ერთ-ერთი მსახური მხვდება. ერთმანეთს ვესალმებით და გზას ვაგრძელებთ, მე ჩემს გზას, ის – თავისას.

ეზო განათებულია. მივდი-მოვდივარ. „გარეთ გასვლის უფლება მაქვს, თუ არა?“

ამ საკითხზე მე და ბატონ ალექსანდრეს არ გვისაუბრია.

ესე იგი, ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. მომინდება გავალ, არა და – არ გავალ, თუმცა მარტო სურვილი არაფერს ნიშნავს. აი, მინდა გასვლა, მაგრამ სად წავიდე? პასუხი არ მაქვს.

სკამზე ვჯდები, ფეხს ფეხზე ვიდებ და ველი, იქნებ ვინმე გამოჩნდეს. ვინმეში, რა თქმა უნდა, მარის ვგულისხმობ.

მაგრამ ყველაფერი როგორც მე მინდა, ისე არ ხდება; მარის მაგიერ არჩილი ჩნდება. „დაცვა" ასე ვფიქრობ მისი დანახვისას. ხელის აწევით ვესალმებით ერთმანეთს, რაღაც მიჩმახულია სახეზე.

– ხომ მშვიდობაა? – ვეკითხები.

– რა ვიცი, – მხრებს იჩეჩავს.

ვდგები.

– მოხდა რამე?

– ბავშვი მყავს ცუდად.

– რა ჭირს კაცო?

– მოიწამლა, მაღალი სიცხეები აქვს და აღებინებს.

– გაუვლის, არ ინერვიულო, – ვცდილობ, დავამშვიდო.

– სულ თვალწინ მიდგას, როგორ იკრუნჩხება და ცუდად ვარ.

– დამშვიდდი, ყველაფერი იქნება ძალიან მაგრად, – ეს არის უაზრო გარანტია, ამიტომ ორ ჯადოსნურ სიტყვას ვამატებ, – ღმერთის წყალობით, – არჩილს მხარზე ვუტყაპუნებ ხელს და ოთახისკენ ვბრუნდები. აი, ასეთი შინაარსიანი გასეირნება გამომივიდა.

ზოგიერთი ჩემი კოლეგა ასეთი საუბრის შემდეგ მოთხრობას გამოაცხობდა, დაამატებდა, რომ დაცვის ბიჭს შვილის სამკურნალო ფული არ ქონდა და ა. შ.

მე ასეთ რაღაცეებზე წერა არ შემიძლია. ალბათ ძალიან პატარა გული მაქვს და მასში სხვა ადამიანებისთვის ადგილი არ არის. და კიდევ მგონია, რომ ლიტერატურის მიზანი არა სოციალური და საზოგადოებრივი ცხოვრების ზუსტი ასახვაა, არამედ სამყაროს და ადამიანების გარკვეული ტიპების დაშვება.

დილა მოულოდნელობით იწყება: თვალებს ვახელ და საწოლიდან რამდენიმე მეტრში მოკალათებულ კავკასიურ ნაგაზს ვხედავ. უნებურად უკან ვიწევი და თავს საწოლის თავს ვურტყამ. საწოლი ხისთავაა, მე – არა, შეჯახების შედეგად დაზარალებული მე ვარ. თავზე ვიკიდებ ორივე ხელს და „ვაი დედა, ვაი დედას" ვიძახი. თან ძაღლისკენ ვიხედები. ის სევდიანი თვალებით მიყურებს. ძაღლის უკან, სავარძელში, მარი ზის, ძაღლი ჯაჭვით უჭირავს და იცინის.

– ამან, – ძაღლზე ვანიშნებ, – ჩემკენ რომ გამოიწიოს, შენ ვერ დაიჭერ.

– არ გამოიწევს, ძალიან კეთილი ძაღლია. ამიტომაც დებილად და უვარგისად ითვლება, ჩემ გარდა არავის არ უყვარს, – მარი დგება, ძაღლის გვერდზე ცუცქდება და თავზე ეფერება მას. აქამდე გატრუნული ძაღლი, ახლა საერთოდ თვალებს ხუჭავს ნეტარებით, – უნდა გაგაკეთებინო ის, რაც ვერავინ გაგაკეთებინა.

თავმირტყმული კი ვარ, მაგრამ ვხვდები: ბაღი უნდა დამათვალიერებინოს სრულად.

მაინც ვეკითხები:

– ბაღი უნდა დამათვალიერებინო?

მარი თავს მიქნევს. დგება. ძაღლს ჯაჭვით მსუბუქად ექაჩება, ძაღლიც დგება და მარი და ძაღლი მიდიან. მარი და ძაღლი კართან ჩერდებიან.

– დიდხანს არ გვალოდინო, – საქმეში ძაღლიც გაყავს მარის.

ყოველთვის მეგონა, რომ ფხიზელი ძილი მქონდა, ამხელა ძაღლის და ადამიანის შემოსვლა როგორ ვერ გავიგე, მიკვირს. ვაღიარებ, რომ თანდათან ვბერდები. როგორც ყველაფერი, დაბერებაც ჯერ შინაგანად ხდება. ვდგები, სარკეში ვიხედები, გარეგნულად ჯერჯერობით ასე არაა, გარეგნულად ჯერჯერობით ახალგაზრდა ვარ.

- 24 -

მარი ჯაჭვს მიწვდის.

– თუ გინდა, შენ გამოასეირნე.

– არა, შენ გყავდეს, მშვიდობაში, სიხარულში, ბედნიერებაში, – ვლოცავ მარის.

– რა მშიშარა ხარ, რა, – მარი აქეთ-იქით აქნევს თავს.

– კი, ვარ, – ვაღიარებ, – ბავშვობიდან მეშინია ძაღლების. როგორ აჩერებთ სახლებში, ძალიან მიკვირს.

– მე დიდი სახლი მაქვს, ირაკლი, – მეუბნება მარი და თვითონ იცინის თავის სიტყვებზე, – ხომ არ დაგაკომპლექსე? – მარი კიდევ უფრო მაგრად იცინის. მეც ვიცინი. ძაღლი ხან მარის უყურებს, ხან მე.

თანდათან ვწყნარდებით, უფრო სწორად, მარი წყნარდება, მე ისედაც თავშეკავებულად ვიცინოდი.

ბაღში შევდივართ. ძაღლი თავს ხრის და მიწას ყნოსავს.

– რა ქვია? – ვეკითხები.

– გიტა, – მეუბნება მარი და ძაღლს ყელზე ეფერება. გიტა მიწიდან თავს წევს და თვალებს ნაბავს, – მე დავარქვი, ჩემი სკოლის მეგობრის პატივისაცემად.

მარის მინდა ვკითხო, ინდოელი ბავშვები როდის აქეთ სწავლობენ ქართულ სკოლებში-მეთქი, მაგრამ დროულად ვხვდები, რომ მარი საზღვარგარეთ სწავლობდა და ვყუჩდები.

- 25 -

წინა ვიზიტებისას დათვალიერებულ ბაღის ნაწილს უყურადღებოდ, სწრაფი სვლით გავდივართ.

– აი, ამის იქით აღარ ვყოფილვარ, – ვეუბნები მარის და სვლას ვანელებ.

მამამისისგან და მებაღე ჯაბასგან განსხვავებით, მარი ყვავილების სახელებს საერთოდ არ მეუბნება.

– მამაშენი და მებაღე ჯაბა ყველა ყვავილის სახელს ქართულად და ლათინურად მეუბნებოდნენ.

– მე მაგ საკითხში ვერ ვერკვევი, – აღიარებს მარი, შემ-

დეგ ძალიან საინტერესო ინფორაციას მაწვდის, – მამა და ჯაბა ერთმანეთში ლათინურად ლაპარაკობენ.

– შანსი არ არის, – გამოვრიცხავ მე ამ ფაქტს, თან თვალწინ ალექსანდრე ჯაფარიძე და მებაღე ჯაბა მიდგებიან, ხოლო ყურებში მათი ლათინური საუბარი ჩამესმის. რეალურად ის, რაც ჩამესმის ლათინური ენა არ არის, რადგან მე ლათინური ენა არ ვიცი. უბრალოდ მოსმენილი მაქვს ვერგილიუსის „ბუკოლიკები" ერთ-ერთი ლათინისტის საღამოზე, სადაც ის ჯერ „ბუკოლიკების" ორიგინალურ ვერსიას, ხოლო შემდეგ საკუთარ თარგმანს კითხულობდა და ახლა მე სწორედ იქ მოსმენილ ინტონაციაზე დადებული სრულიად უაზრო სიტყვები ჩამესმის. წარმომსახველის ცოდნა განსაზღვრავს წარმოდგენის ხარისხს, ამ შემთხვევაში მე უვიცი ვარ, – ტოგებიც ხომ არ აცვიათ? – ვეკითხები მარის.

– არა, ეხლა მთლად ეგრეც არ არის. ფუ! – უკანასკნელ სიტყვას მარი ძაღლს ეუბნება, გიტამ მიწა გალოკა და მარიმ დაუშალა.

– მოიცა, მართლა მეუბნები მაგას? – რა თქმა უნდა, ამას ძაღლი არ ამბობს, მე ვამბობ და ლათინურ ენაზე საუბარს ვგულისხმობ.

– მართლა, მართლა, – ორჯერ ამბობს მარი.

ალბათ ფიქრობს, რომ ასე უფრო დავიჯერებ.

– საინტერესოა, – ვასკვნი და მეცინება.

– 26 –

ეს არ არის ბაღის დათვალიერება, ეს ბაღში სეირნობაა. გიტა ჩერდება და იზმორება.

– იმ შენს მეგობარს არ ეწყინება რომ გაიგოს, მისი სახელი ძაღლს რომ დაარქვი?

– იცის და ძალიან უხარია. ინდოელებს, ქრისტიანებისგან განსხვავებით, ცხოველებისადმი სხვანაირი დამოკიდებულება აქვთ.

– ჰო, შემდეგ ცხოვრებაში შეიძლება ძაღლი გახდეს, – ვილიმი.

– ირაკლი, ჩვენ ხომ სულ სხვა თემაზე გვინდა საუბარი, – მიყურებს, – მოთელვა ძალიან გაგვიგრძელდა.

– მართალი ხარ, – ვეუბნები მარის.

– დავსხდეთ, – მარი ჯაჭვს ქაჩავს და ძაღლს სკამისკენ ექაჩება.

ვსხდებით. მე და მარი სკამზე, ძაღლი – მიწაზე. მე და მარი ერთმანეთს ვუყურებთ.

– დაიწყე, – ინტონაციიდან გამომდინარე ვხვდები, რომ მარი ამას მავალებს.

– იცი, რა მაინტერესებს? მამაშენს ყველაფერს უყვები? – ვიწყებ.

– მაინც რა გაინტერესებს? – მარი აშკარად სხვანაირ დასაწყისს ელოდა, ალბათ უფრო ამაღლებულს. ეს ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა: გარკვეულ სიტუაციაში ქალი მამაკაცისგან ელის, რომ ის იქნება ამაღლებული და რომანტიკული, მაგრამ მამაკაცი სწორედ ამ დროს იქცევა მდარედ და ლაპარაკობს საშინლად ბანალურ რაღაცეებს. და პირიქით – ქალი იქცევა მდარედ და ლაპარაკობს საშინლად ბანალურ რაღაცეებს, როდესაც მამაკაცი მისგან ელის რომანტიკულ ქმედებებს და ამაღლებულ სიტყვებს. იმედგაცრუების მიზეზი ალბათ თავად მოლოდინია, და კიდევ იმედი (რომელიც ასეთ შემთხვევებში ილუზიაა), რომ იდეალურ ადამიანს შევხვდით. იდეალიზმი სიყვარულის მტერია, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანების უმეტესობა იდეალისტია, მდგომარეობა უიმედოა.

– 27 –

– მამაშენმა ბოლო შეხვედრისას მითხრა, გავიგე პირველ სიყვარულს შეხვდიო. რა საჭირო იყო მამაშენისთვის ამ ამბის მოყოლა? და საერთოდ, რა საჭირო იყო ელისოს დაპატიჟება? – მხრებს ვიჩეჩავ იმის ნიშნად, რომ ვერ ვხვდები ამას, – ამიხსენი.

– მეგონა რომ გაგიხარდებოდა, მაგრამ შეხვედრის მერე

სახეზე რომ შეგხედე, მივხვდი, არ გაგიხარდა და შევცდი. მამაჩემს იმიტომ მოვუყევი ეს ამბავი, რომ რჩევა მჭირდებოდა, როგორ გამომესწორებინა ჩემი შეცდომა. მე შენ უნებურად, მაგრამ გაწყენინე, – ამ მოკლე, მაგრამ სენტიმენტალური მონოლოგის განმავლობაში მარი ძაღლს უყურებს.

– და მამამ რა გირჩია? – ვეკითხები მარის. რა თქმა უნდა, არსით ეს ირონიული შეკითხვაა. მარი ამას ხვდება და სწყინს, სახეზე ვატყობ წყენას.

– რაც გავაკეთე ის, – მოკლედ მპასუხობს.

სისხლი მასხამს თავში, ბრაზის გორგალი მეჩხირება ყელში, თვალთ მიბნელდება. სამივე იდიომი ერთდროულად მჭირს, ვდგები და ვყვირი:

– შენ და მამაშენს ვინ გგონიათ თქვენი თავი. რა, რახან ბევრი ფული გიწყვიათ, თვლით, რომ ადამიანების დაცინვის უფლება გაქვთ? – მსგავს შემთხვევაში ამერიკელი და ევროპელი კონსტიტუციას და დემოკრატიას ეყრდნობა, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ მე პოლიციური სახელმწიფოს მოქალაქე ვარ, უბრალოდ კიდევ უფრო ხმამაღლა ვყვირი, – ვინ გგონიათ თქვენი თავი, ვიიინ?

მარი ტირილს იწყებს, ძაღლი წინა თათებს ყურებზე იფარებს, ალბათ, რომ კიდევ უფრო ხმამაღლა ვიყვირებ. ძაღლის ასეთ ქცევაზე ორივეს გვეცინება; მარის ცრემლნარევად, მე – ნერვიულად.

– ცირკში დაგვყავდა ვარჯიშებზე, – მეუბნება მარი.

-28-

დაუგეგმავი შეხვედრების დღე გამომდის – ალექსანდრე ჯაფარიძე მსახურს მიგზავნის და მისი პირით მთხოვს, მასთან, სამუშაო ოთახში მივიდე. მსახურს ვეუბნები, ბატონ ალექსანდრეს უთხრას, რომ მოვწესრიგდები და მივალ.

– რაც შეიძლება ჩქარა, გთხოვთ, ძალიან აღელვებულია, – მამცნობს ალექსანდრე ჯაფარიძის მდგომარეობას მსახური.

– აუცილებლად, ტანსაცმელს გამოვიცვლი და, – ვაიმედებ მსახურს და ისიც დაიმედებული მიდის.

დაახლოებით თხუთმეტ წუთში ალექსანდრე ჯაფარიძის კაბინეტში ვარ. ბატონი ალექსანდრე ხელით მანიშნებს, რომ მის პირდაპირ დავჯდე.

თავს ვუქნევ მადლობის ნიშნად და ვჯდები.

– ჯოჯოხეთის სიცარიელის კონცეფციის შესახებ ეკლესია რას ფიქრობს? – მეკითხება ბატონი ალექსანდრე.

გამომდინარე იქიდან, რომ ეს არა ახალი თემა, არამედ ძველი თემის გაგრძელებაა, უფლებას ვიტოვებ, საუბრისას ვიყო თამამი და ღია.

– ეკლესია ერთიანი არ არის. მართლმადიდებლები, კათოლიკეები, სხვადასხვა ყაიდის პროტესტანტები...

– ჩვენი, მართლმადიდებელი ეკლესია მაინტერესებს, – მაწყვეტინებს თითქმის ბოლომდე მიყვანილ ჩამონათვალს ბატონი ალექსანდრე.

– სიმართლე რომ გითხრათ, არ ვიცი, – მხრებს ვიჩეჩავ.

– ვისგან შეიძლება გავიგოთ ეს? – მეკითხება ბატონი ალექსანდრე. მე მეორედ ვიჩეჩავ მხრებს, – ათი ეკლესია მაქვს აშენებული, მაგრამ ვერც ერთში ვერ მივალ. ათივეში ისე მხვდებიან, როგორც ოფისში – დამფუძნებელს. ეხლა ეგეთი რაღაცეები არ მჭირდება. შენ არ იცნობ ვინმე ბერს, ყოველივე ამქვეყნიურთან მწყრალად რომ არის, მე რომ ვერ მიცნობს და თამამად და ღიად მეტყვის ყველაფერს?

– ვიცნობ, – ვეუბნები და ოდესღაც ლიტერატურად დაწყებული სინამდვილე ცოტა ხნით ისევ ლიტერატურა ხდება.

– წავიდეთ, ვნახოთ, დაველაპარაკოთ, – მეუბნება ბატონი ალექსანდრე, – სად ცხოვრობს და მოღვაწეობს?

– გორის იქით, რამდენიმე კილომეტრში, სოფლის პატარა, ნახევრად დანგრეულ ეკლესიაში.

– დღესვე წავიდეთ, – მთავაზობს ბატონი ალექსანდრე.

– კი, ბატონო, – ვთანხმდები, – ოღონდ ღარიბულად ჩაიცვით, რაიმე ძველი მანქანით გავემგზავროთ და არც დაცვაა საჭირო.

– მართალი ხარ, მართალი, – ჩემთვის მოულოდნელად ძალიან სწრაფად მეთანხმება ბატონი ალექსანდრე, საათს დასცქერის, – საათ-ნახევარში ეზოში შევხვდეთ.

– კარგით, – ვეუბნები ბატონ ალექსანდრეს, მის კაბინეტს ვტოვებ და მარის საძებრად მივდივარ. აუზზე ვპოულობ.

მარი ყელამდე წყალშია. ხელებს და ფეხებს ამოძრავებს წყალში.

– ცურვის გაკვეთილი ხომ არ მოგენატრა? – მარი მიღიმის.

– ორი რაღაც მინდა გთხოვო.

– გისმენ.

– ანაფორა, პარიკი და გრძელი მისაწებებელი წვერი მჭირდება ნახევარ საათში. ეს პირველი თხოვნა.

– რაში გჭირდება?

– ეგ არ მკითხო, ესეც მეორე თხოვნა.

მარი აუზიდან ამოდის. ტაკუნებში ოდნავ შეკვეხებულ საცურაო კოსტუმს საჩვენებელი თითებით ისწორებს და ქოშებში ჰყოფს ფეხებს. ნახევარი საათის შემდეგ პარკში ჩადებული ანაფორა, პარიკი და მისაწებებელი გრძელი წვერი დევს ჩემს ოთახში.

– 29 –

ბატონი ალექსანდრე შეხვედრაზე არ აგვიანებს (კიდევ ერთი მინიშნება, რომ ეს ყველაფერი დროებით სინამდვილეში არ ხდება და ზღაპარია), ღარიბულად აცვია.

– ჯაბას გამოვართვი, – ტანსაცმელზე მანიშნებს ბატონი ალექსანდრე, – წავა, თუ კიდევ უფრო ცუდად ჩაიცვა?

– ნორმალურია, – ვეუბნები ბატონ ალექსანდრეს და ზურგზე მოკიდებული რუკზაკის სამხრეებს ვისწორებ. რუკზაკში საჭირო ნივთები მიწყვია.

– წავედით მაშინ, – მთავაზობს ბატონი ალექსანდრე. მე აქეთ-იქით ვიყურები, ბატონი ალექსანდრე ხვდება, რასაც

ვეძებ, – მანქანა ჭიშკართან დგას, – მეუბნება და ჩვენ ჭიშკრისკენ მივდივართ. თავიდან ფეხშეუწყობლად, რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ფეხს ვუწყობ ალექსანდრე ჯაფარიძეს, მარცხენა, ერთი, ორი... თავად მას ფეხებზე ჰკიდია, როგორ დავდივართ – ფეხშენყობილად თუ ფეხშეუწყობლად.

ჭიშკართან ძველი „ოპელი"დგას. სდექ. ერთი, ორი. ვჩერდებით.

– წავა, თუ შევცვალოთ? – მეკითხება ბატონი ალექსანდრე.

– ნორმალურია, – ვპასუხობ და ვხვდები, რომ კითხვებზე პასუხის ქონა ადამიანს აამპარტავნებს.

ბატონი ალექსანდრე შარვლის მარჯვენა ჯიბიდან გასაღებს იღებს და მიწვდის.

– შენ დაჯდები, – და მანიშნებს, სადაც დავჯდები, ბავშვივით ატრიალებს ხელებს, – საჭესთან.

და რადგან ხანმოკლე ზღაპარში ვართ, ავტომობილის მართვას რა უნდა (რეალურად ტარება არ ვიცი, თუმცა ამბობენ, რომ რეალურადაც ძალიან ადვილი რამ არის). ბატონ ალექსანდრეს გასაღებს ვართმევ და მანქანაში ვჯდები, ჩაჯდომამდე რუკზაკს მხრებიდან ვიხსნი და ავტომობილის უკანა სავარძელზე ვაგდებ.

ჩემთვის მოულოდნელად ბატონი ალექსანდრე უკანა სავარძელზე ჯდება. ორი მიზეზით ვიძაბები. მიზეზი პირველი: მეშინია, რუკზაკით არ დაინტერესდეს და მიზეზი მეორე: მე კარის მწერალი ვარ და არა შოფერი.

მაგრამ რადგან ზღაპარში ვართ, ყველაფერი კარგად მთავრდება. ალექსანდრე ჯაფარიძე შუბლზე ხელს ირტყამს, შემდეგ ხელებს მაღლა წევს დანებებული ჯარისკაცივით და მეუბნება:

– ჩვევით დავჯექი, ჩვევა კიდევ, ხომ იცი ეგ ანდაზა.

თავს ვუქნევ.

ალექსანდრე ჯაფარიძე წინ გადმოდის. ჭიშკარი ავტომატურად იღება და გზას ვადგებით. რამდენიმეჯერ საცობში ვიჭედებით. გვაგინებენ. მეც და ბატონი ალექსანდრეც ვაგინებთ.

– ვერ მცნობენ, კარგია, – ამბობს ის და ხელებს იფშვნეტს.

– 30 –

საათ-ნახევრის შემდეგ დანიშნულების ადგილზე ვართ. მინდორი, ნახევრად დანგრეული ეკლესია, რამდენიმე ათეული მეტრის მოშორებით ტყე. იდეალური გარემოა.

მანქანიდან გადმოვდივართ.

– მამაოს რა ქვია? – მეკითხება ალექსანდრე ჯაფარიძე.

– უბრალოდ მამაო დაუძახე, საკმარისია.

– კარგი.

ნახევრად დანგრეული ეკლესია ცარიელია.

– არ არის? – მეკითხება ბატონი ალექსანდრე.

– ალბათ ტყეშია, წავალ ვნახავ, თქვენ აქ დამიცადეთ.

– კარგი, – ალექსანდრე ჯაფარიძე თავს მიქნევს.

რუკზაკს მარცხენა ხელში ვიჭერ და ტყისკენ მივდივარ. ტყეში ტანსაცმელს ვიცვლი, თავზე პარიკს ვიდებ, წვერს სახეზე ვიწებებ და უკან გაბრუნებას ვაპირებ, სწორედ ამ დროს ტყის შიგნიდან ხმები მესმის, რამდენიმე მეტრით ტყის სიღრმეში შევდივარ, ხეებს ვეფარები და აქეთ-იქით ვიხედები. ჯარისკაცებს ვხედავ: გადაადგილდებიან. „ალბათ ისევ ომი დაიწყება“, ვფიქრობ და მწყინს ეს ამბავი.

ტყიდან გამოვდივარ. სხვა ადამიანად ვგრძნობ თავს. მინდორზე ვბრუნდები. ალექსანდრე ჯაფარიძე ჩემს დანახვაზე იღიმის და რამდენიმე ნაბიჯს დგამს ჩემსკენ.

– გამარჯობა, – ვესალმები ხმაშეცვლილი, – ირაკლიმ მითხრა, რომ საუბარი გსურთ ჩემთან.

– გამარჯობა, – თავს მიქნევს ალექსანდრე, – დიახ, მინდა. უკაცრავად, ირაკლი სად არის?

– ტყეში დავტოვე შეშის საყარაულოდ.

– ემზადებით უკვე ზამთრისთვის, – მეუბნება ალექსანდრე.

– დიახ, – თავს ვუქნევ.

– ირაკლიმ მითხრა, რა თემაზეც გსურთ ჩემთან საუბარი, – ვეუბნები.

– დიახ, რამდენად შესაძლებელია, რომ ჯოჯოხეთი ცარიელი იყოს?

– თქვენს შეკითხვაზე, შვილო ჩემო, – ამ „შვილო ჩემოს" წარმოთქმისას დიდ სიამოვნებას განვიცდი, – ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს. ერთმნიშვნელოვანი მხოლოდ ის არის, რომ ღმერთისთვის შეუძლებელი არაფერია. ადამიანურად გაუგებარია, რატომ უნდა იყოს ჯოჯოხეთი ცარიელი. გამოდის, რომ მცნებებით ცხოვრება გაცილებით უაზროა, ვიდრე ცოდვილი ცხოვრება, გამოდის რომ ცოდვილი ერთი გასროლით ორ კურდღელს კლავს: ტკბება მიწიერი ცხოვრებით და სამოთხეშიც ადგილი აქვს გარანტირებული. ადამიანურად ეს სრულიად დაუშვებელია, მაგრამ ადამიანი მხოლოდ ამომრჩეველია და არა შემოქმედი. ისე, შვილო ჩემო, მაინცდამაინც ჯოჯოხეთის ამბებით რატომ ხარ დაინტერესებული, უიმედობა დიდი ცოდვაა, – პირჯვარს ვისახავ.

– ასეთ საკითხებში ჯობს, ცუდ მხარეებს ჩაუკვირდეს ადამიანი, რადგან სამოთხე საჩუქარია, ჯოჯოხეთი – დამსახურება. კიდევ იცით, რა მაინტერესებს? სხეულის გარეშე ცხოვრება როგორია.

– ჯერჯერობით არ მიცხოვრია, – ვილიმი, – თუმცა ამ საკითხზე ჩამოყალიბებული აზრი მაქვს, თუ გაინტერესებთ, გეტყვით.

– რა თქმა უნდა მაინტერესებს, მამაო.

– ადამიანი ორი ადამიანისგან შედგება: ერთი, რომელიც ცხოვრობს მიწაზე, იბრძვის, ფიქრობს, აგროვებს და ა. შ. მეორე (იდეალური ადამიანი), რომელიც მიწიერი ცხოვრების ამაოებას გრძნობს, მას სწრაფად უნდა სხეულის (რომელიც თავისთავად მიწაა) დატოვება. მიწა არ არის მისი სივრცე. ბავშვების სიკვდილი დიდი ადამიანური ტკივილია, მაგრამ ბავშვობაში სიკვდილი ამავე დროს გარანტირე-

ბულ სამოთხეს ნიშნავს. ვინ დაიჯერებს ამას გულით და ვის გაუხარდება საკუთარი შვილის სიკვდილი? არავის! ურწმუნოები ვართ, შვილო ჩემო, ურწმუნოები. გვიხარია, ჩვენი შვილები რომ იზრდებიან, წარმატებებს აღწევენ ცხოვრებაში და სულ უფრო და უფრო შორდებიან სამოთხეს.

– სხეული აქვს ამ იდეალურ ადამიანს?

– ჯერჯერობით არა. მეორედ მოსვლას ელის ყველა იდეალური ადამიანი.

ტყეში დაბრუნებული კიდევ ერთხელ ვხედავ ჯარისკაცებს და კიდევ ერთხელ ვფიქრობ, რომ მალე ალბათ ახალი ომი დაიწყება. ტანსაცმელს ვიცვლი. მინდორზე ვბრუნდები, მანქანაში ვსხდებით და საათ-ნახევარში სინამდვილეში ვბრუნდებით.

მანქანას ჭიშკართან ვაჩერებ. მე და ბატონი ალექსანდრე ერთმანეთს ვუყურებთ.

– ვერ ვიჯერებ ამ ყველაფერს.

– რას?

– აი, რაც მინდორზე მელაპარაკე, – ბატონი ალექსანდრე თავზე მისვამს ხელს, – კარგი ბიჭი ხარ.

– პირდაპირვე მიცანით? – თავდახრილი ვეკითხები ბატონ ალექსანდრეს.

– არა, არ მიცვნიხარ. მარიმ მთხოვა ანაფორა, პარიკი და მისაწებებელი წვერი.

– 32 –

რუკზაკს ოთახის კუთხეში ვაგდებ. ტანსაცმელს ვიხდი და აბაზანაში შევდივარ.

შხაპს ვიღებ. თბილი წყალი მსიამოვნებს, დიდხანს ვდგავარ წყლის ქვეშ, ვსუფთავდები.

– 33 –

სარკეში ვიხედები. პიჯაკს ვისწორებ, ასე სოლიდურად ჩაცმული საერთოდ ბანკში დავდივარ ხოლმე, მაგრამ ახლა ასე არ არის. საბამ დამირეკა, ძალიან სერიოზულ

რესტორანში (მისი სიტყვებია) დამპატიჟა, და ისე, სხვათა შორის მთხოვა, რომ სოლიდურად ჩამეცვა.

კარზე ზარია. საათს ვუყურებ. ჩემი წასვლის დროა. მთავარია, ვინმე ერთსაათიანი სტუმარი არ იყოს. კართან მივდივარ, ვიჭვრიტები, საბაა. რამ ამოიყვანა?

კარს ვაღებ.

– ახლა ჩამოვდიოდი ზუსტად, – ვეუბნები.

საბა თავიდან ფეხებამდე მათვალიერებს, შემდეგ მარჯვენა ხელის ცერა თითს ჭიმავს და მაქებს:

– ყოჩაღ, კარგად გაცვია.

– მაგის შესამოწმებლად ამოხვედი? – კი არ ვეკითხები, არამედ კითხვით ფორმაში დავცინი.

– არა, მაგიტომ არა, – სერიოზულად მპასუხობს საბა, პიჯაკის მარჯვენა ჯიბიდან კონვერტს იღებს და მიწვდის, – გამომართვი.

– ეს რა არის? – თავს ვიშტერებ.

– ჩემი პატარა საჩუქარი, – მიზუსტებს საბა.

– რა სისულელეა, ჩაიდე ახლა ეგ ჯიბეში, – მკაცრად ვეუბნები საბას, მაგრამ ჩემი მკაცრი ტონი საბაზე არ მოქმედებს, უფრო სწორად, შესაბამისად არ მოქმედებს. საბა კონვერტით ხელში ოთახში შედის და რამდენიმე წამში კონვერტის გარეშე ბრუნდება, ხელკავს მდებს და მაფრთხილებს:

– ეხლა არ გაატრაკო, – შემდეგ მეკითხება, – წავედით?

– აუ, რა კაცი ხარ შენ?! – ვეუბნები საბას და უკვე ვფიქრობ, რომ ზედმეტი ფული არ მაწყენს, – წავედით.

– 34 –

უკანა სავარძელზე ზაზა ზის. ერთმანეთს ვესალმებით, ზაზა მიღიმის. ველი, რომ ჩვენს უკანასკნელ შეხვედრაზე, კონკრეტულად კი, ამ შეხვედრის ფინალზე გააკეთებს კომენტარს და რამდენიმე შეკითხვას დამისვამს, მაგრამ ზაზა ამას არ აკეთებს. კარგია ასე რომ იქცევა. ისე, კაცმა რომ

თქვას, ამ შეხვედრასთან დაკავშირებით მეც მაქვს ჩემი სათქმელი. მაგრამ რა საჭიროა. ზაზას თვალს ვუკრავ, შემდეგ ვანიშნებ, რომ კარგად აცვია.

დღეს, ჩემი არ იყოს, ზაზაც სოლიდურია. აღარაფერს არ ვამბობ საბაზე – ის მისტერ სოლიდურობაა.

მე და საბა მანქანაში ვსხდებით, რა თქმა უნდა, საბა საჭესთან, ხოლო მე – გვერდზე.

– რომელ რესტორანში მივდივართ და რას ვზეიმობთ? – ვეკითხები საბას.

– ყველაფერს ნახავთ და ყველაფერს გაიგებთ, – გვპირდება საბა, თუმცა კითხვა მე დავსვი და სწორი იქნებოდა, მხოლობით რიცხვში წარმოეთქვა ეს დაპირება. იქნებ ზაზას საერთოდ არ აინტერესებს, სად და რატომ მივდივართ. საბა მანქანას ქოქავს, მივსრიალებთ. საბა რადიოს რთავს და კოცონზე დამწვარი მეცნიერის სახელი და გვარი გვესმის: ჯორდანო ბრუნო. შემდეგ გვესმის მუსიკა, რაც იმას ნიშნავს, რომ რუბრიკა „თარიღი" დასრულდა. დღეს ალბათ ბრუნოს დაბადების დღეა, ან გარდაცვალების დღე, შეიძლება რომელიმე მისი აღმოჩენა დაფიქსირდა ამ დღეს, ზუსტად არ ვიცი.

ჯორდანო ბრუნოს სახელის და გვარის გაგონება რამდენიმე წამით სკოლას მახსენებს, კონკრეტულად ფიზიკის კაბინეტს, რომლის კედლებზეც სხვადასხვა გამოჩენილი ფიზიკოსის სურათები ეკიდა. მე მიკვირდა, რომ ამ სურათებს შორის მამაჩემის სურათი არ იყო, უფრო სწორად, მწყინდა, მაგრამ ჩემს წყენას არავის ვეუბნებოდი და არც ვიმჩნევდი. რაც შეეხება ჯორდანო ბრუნოს, მისი სურათი კარგად მახსოვს, შუბლზე ჩამოყრილი თმა, მოკლე ულვაში... ასევე კარგად მახსოვს ტორიჩელი და სერ ისააკ ნიუტონი. უცნაურია, მაგრამ მამას სამუშაო ოთახში არც ერთი ფიზიკოსის ფოტო არ იყო ჩამოკიდებული, არც ჩემს სამუშაო ოთახშია რომელიმე მწერლის სურათი ჩამოკიდებული. ამ მხრივ მე და მამა ერთმანეთს ვგავართ – კერპები არ გვყავს, უფრო სწორად, საკუთარი თავის გარდა

კერპი არ გვყავს. გამოდის, რომ ეს წინადადება სიტყვა „უცნაურიას" მაგივრად სიტყვა „ბუნებრივიათი" უნდა დამეწყო.

– 35 –

– ძმებო, დღეს ბოლო თავისუფალი დღე მაქვს და თქვენთან ერთად მინდა, რომ კარგად მოვილხინო, – საბა ჭიქას წევს, – გაგვიმარჯოს! – სვამს.

– ხვალიდან რა ხდება? – ვეკითხები.

საბა იღიმის:

– რეალითი შოუს გმირი ვხდები. საშინელებაა, მთელი ერთი თვე კამერები რომ დაგდევენ, მაგრამ საქმეს ჭირდება, – საბა ღვინოს ისხამს, ჩვენ, მე და ზაზას ჯერ პირველი „გაგვიმარჯოს" არ დაგვილევია, – გუშინ ერთი ძალიან მაგარი ფრაზა წავიკითხე: ყოველდღე იცხოვრე ისე, თითქოს ეს შენი ცხოვრების უკანასკნელი დღე იყოს. შეიძლება ზუსტად ვერ ვთქვი, მაგრამ აზრი არ დამიმახინჯებია, – „მარკუს ავრელიუსი", გულში ვამბობ ამ აფორიზმის ავტორის სახელს და გვარს. ხმამაღლაც ვიტყოდი, მაგრამ ინტელექტის უადგილო დემონსტრირებად ჩამითვლიან (განსაკუთრებით ზაზა) ასეთ საქციელს, ამიტომაც ჩუმად ვარ. სამაგიეროდ საბა ლაპარაკობს, – წავიკითხე და ჩავფიქრდი. მართლა რომ ჩემი ბოლო დღე იყოს დედამიწაზე, რას ვიზამდი? რას გავაკეთებდი? ჩავფიქრდი, მაგრამ ვერ მივხვდი. როგორი ვიქნებოდი – კეთილი და მშვიდი, თუ შეშინებული და გაღიზიანებული? ვერ მივხვდი. თქვენ გიფიქრიათ ამაზე? – საბა კითხვას თქვენობით ფორმაში სვამს, მაგრამ სახეზე მე მიყურებს, რაც იმას ნიშნავს, რომ პასუხს ჯერ ჩემგან ელის და მეც ვპასუხობ:

– ალბათ მუხლებზე დავეცემოდი და ვიღოღებდი ეკლესიიდან ეკლესიაში, – ვამბობ ნახევრად ხუმრობით, თან თვალწინ ეს სცენა მიდგება და კიდევ ერთხელ ვხვდები იმას, რომ ღმერთთან კავშირი ყოველგვარი ადამიანური ეტიკეტის დაცვას გამორიცხავს. ეტიკეტის დაუცველობას

მოჰყვება გაუცხოება ადამიანებთან და აი, ეს უცხო ადამიანები უნდა მიყვარდეს. ძნელია, ძალიან ძნელია, დედამიწაზე ცხოვრების უკანასკნელ დღესაც კი ძნელია ასეთი სიყვარული, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ძნელია.

– ცოდვები, ცოდვები, – ამბობს საბა და იღიმის, – შენც მუხლებზე დაეცემოდი? – ეკითხება ზაზას.

– ცალფეხა ვარ შეჩემა, მუხლებზე როგორ დავეცემი? – ამბობს ზაზა და მჟავე კიტრს კბეჩს, მორჩენილ კიტრს თეფშზე აგდებს, საბას ანიშნებს, რომ საჭირო არ არის თანაგრძნობა და ამბობს, – ბოლო დღესაც იმავეს გავაკეთებდი, რასაც ყოველდღე ვაკეთებ: დავჯდებოდი სავარძელში და „აპატიე, აპატიე" – ვეტყოდი საკუთარ თავს. მგონია, რომ გამოვიდოდა და მართლა ვაპატიებდი.

– ვის, რას? – კითხულობს საბა.

– ნაღმის დამდებს, ნაღმი რომ დადო, იმას, – განმარტავს ზაზა, – ჯერჯერობით არ გამომდის, მაგრამ ჯერჯერობით არც ბოლო დღეა.

– 36 –

რესტორნიდან რამდენიმე საათის შემდეგ გამოვდივართ. საღამოვდება, საბას მანქანაში ვსხდებით, საბა მანქანას ქოქავს და...

– მცხეთაში ხომ არ გაგვესეირნა? – გვეკითხება.

– კაი აზრია, – ვიწონებ საბას წინადადებას, – დიდი ხანია, არ ვყოფილვარ.

– მცხეთაში? სულერთია, – მხრებს იჩეჩავს ზაზა.

გადაწყვეტილება მიღებულია, მივდივართ მცხეთაში.

თბილისის გასასვლელთან საბა მანქანას აჩერებს, გადადის, ჯიხურში რაღაცეებს ყიდულობს, პარალელურად მობილურ ტელეფონზე ლაპარაკობს. მანქანაში დაბრუნებული თითო-თითო ჯოხიან კანფეტს გვჩუქნის მე და ზაზას და ღიმილით გვეუბნება:

– ეს ჩემგან სახსოვრად.

– 37 –

ჯვრის მონასტრის გადასახვევთან ორი პოლიციელი გვაჩერებს.

– რა უნდათ? – უკვირს საბას.

შემდეგ ჩვენკენ მოშვერილ ავტომატებს ვხედავ და აქ მთავრდება ჩემი და ზაზას მიწიერი სიცოცხლე.

რამდენიმე წამის შემდეგ საბას ხმა მესმის:

– მკვდრები არიან, კარგები ხართ.

მიხარია, რომ სიკვდილი მხოლოდ და მხოლოდ აუცილებელი ფორმალობაა სიცოცხლის გასაგრძელებლად.

– 38 –

მინიმალისტური კადრი – საბა სამგლოვიარო ტანსაცმელში: „ეს იყო პოლიტიკური შეთქმულება ჩემ წინააღმდეგ, რომელსაც ჩემი ბავშვობის ორი მეგობარი შეეწირა. მე ვფიცავ მათი სულების წინაშე, რომ მკვლელები უმკაცრესად დაისჯებიან, ხოლო საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ დამყარდება წესრიგი".

მე და ზაზა ციდან ვადევნებთ საბას გამოსვლას თვალს, თან მის ნაჩუქარ კანფეტებს ვწუწნით.

– ისე, რიხი აქვს, – მეუბნება ზაზა.

მე ვუღიმი და თავს ვუქნევ.

ზაზას ისევ ორი ფეხი აქვს.

ნაწილი

IV

– 1 –

საწერი აღარ მაქვს. მარი ბრიტანეთში გაემგზავრა. გამგზავრების წინ მოკლე წერილი მომწერა. არჩილის შვილი გამოჯანმრთელდა. მებაღე ჯაბა გარდაიცვალა – ბაღის მორწყვისას გული გაუსკდა. ასეთია უკანასკნელი სამი დღის ქრონიკა.

ეზოში ვდგავარ და მებაღე ჯაბას გადასვენებას ვესწრები. დაცვის ბიჭები სასახლეს კატაფალკაში დებენ, რამდენიმე წამის შემდეგ კატაფალკა მიდის და მებაღე ჯაბა მიყავს, თუ მიაქვს? თუმცა ამას მნიშვნელობა არ აქვს არც ჯაბასთვის და არც კატაფალკისთვის. ისინი ორივე უსულო საგნები არიან. „სად არის ახლა მებაღის სული?" ვფიქრობ „ბაღში, ან იქნებ აბსოლუტურ თავისუფლებაში, ან უბრალოდ წინასწარ დადგენილ რთულ გზას გადის". რა ხდება სიკვდილის შემდეგ, მებაღე ჯაბამ ეს უკვე იცის, მე უბრალოდ ვერსიებს გამოვთქვამ და მხრებს ვიჩეჩავ.

მებაღის სიკვდილმა ბატონი ალექსანდრე ძალიან შეაშინა.

– ხომ შეიძლება, მეც ეგრე დამემართოს? – მითხრა გუშინ.

მე სითამამეზე და პირდაპირობაზე რამდენიმე დღით ადრე გაცემული ნებართვით ვისარგებლე, თავი დავუქნიე და ვუთხარი:

– თავისუფლად.

– ჰო, თავისუფლად, ბუნება თავხედია. ამ ამბავს ბოლო

უნდა მოეღოს, – თქვა ბატონმა ალექსანდრემ, ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაიყო და წავიდა.

კატაფალკა ეზოდან გადის, უკან ერთი მანქანა მიჰყვება, მასში დაცვის ბიჭები სხედან არჩილის ხელმძღვანელობით. არჩილი ბედნიერია, შვილი გამოუჯანმრთელდა.

– 2 –

ოთახში ვბრუნდები, კომპიუტერთან ვჯდები, საწერი აღარ მაქვს. გადაკითხვის დროა. ეს აუცილებელი პროცედურა რუტინაა და ვერანაირ სიამოვნებას ვერ ვიღებ. ახალი სიტყვა, ახალი სიტყვათაწყობა და ძველი იდეები. გადაკითხვა არანაირ სიამოვნებას არ მანიჭებს, რადგან სიამოვნება ჩემთვის იდეებშია.

რამდენიმე გვერდს ვკითხულობ, რამდენიმე სიტყვას ვასწორებ. შემდეგ მაგიდის უჯრას ვაღებ. უჯრაში სიგარეტი, სანთებელა და მარის მოკლე წერილია, სამივეს ერთდროულად ვიღებ. სიგარეტს პირში ვიდებ, სანთებელას ვანთებ, სიგარეტს ვუკიდებ, შემდეგ მარის წერილს ვშლი და კიდევ ერთხელ (ალბათ მეათედ) ვკითხულობ.

მამა ლონდონში მაგ ზავნის. მგონი საკუთარ თავზე რაღაც ექსპერიმენტის ჩატარებას აპირებს და არ უნდა, რომ აქ ვიყო. ძალიან მეშინია.

მარი

წერილს ვკეცავ და მაგიდაზე ვდებ, შემდეგ კომპიუტერში ვკეცავ ტექსტს. სიგარეტს საფერფლეში ვაქრობ, ვდგები, საწოლთან მივდივარ, ვწვები, ხელებს თავქვეშ ვიდებ და მარის წერილზე ვფიქრობ. უფრო სწორად, იმაზე ვფიქრობ, იცის თუ არა მარიმ, რომ მამამისს სხეულის უკვდავება სურს. „ალბათ არ იცის", – ვასკვნი, თუმცა დარწმუნებული არ ვარ, რომ სწორად ვასკვნი. თვალებს ვხუჭავ და მარჯვენა მხარზე ვწვები, ხელებს ფეხებშუა ვიდებ და ფეხებს ვკეცავ. მარტო ვარ, სულ მარტო. ამაზე ფიქრს ვცდილობ, ყოველთვის გავექცე: ავიცილო ან ავისხლიტო

მოულოდნელად წამოსული ფიქრები, მაგრამ ყოველთვის არ გამომდის გაქცევა, აცილება და ასხლეტა. თუნდაც ახლა.

– 3 –

პირველად დიდი და ნამდვილი სიმარტოვე 15 წლის ასაკში ვიგრძენი, როდესაც გვერდითა მეზობლებთან დიდი ჩხუბი მოგვივიდა და შუბლზე იარაღი დამადეს. თვალწინ მიდგება ეს ეპიზოდი და კიდევ უფრო ვიკეცები და ვპატარავდები. სადარბაზოში სამნი მხვდებიან, ერთ-ერთი შუბლზე იარაღს მადებს. ვერაფერს ვერ ვფიქრობ, უბრალოდ ვგრძნობ, რომ ყველაფერი დამთავრდა. შემდეგ თავში რაღაც მძიმე მხვდება (იარაღის ტარი), შემდეგ წიხ-ლები სახეში და მუცელში, მეორე დღეს ჩემი მეგობრები ჩემ გვერდით არიან, თუმცა მე უკვე ვიცი: განსაკუთრებულ სიტუაციებში ადამიანი მარტოა, თუმცა ჯერ პატარა ვარ და არ ვიცი, რომ ზოგადად ცხოვრებაა განსაკუთრებული სიტუაცია.

წიგნის დამთავრების შემდეგ ყოველთვის ასე ვარ: მი-ტოვებული პერსონაჟების და იდეების მიერ, რომლებთან ერთადაც გარკვეული დრო ვიცხოვრე. და ვიკეცები და ვპა-ტარავდები ახალი პერსონაჟებისა და რაც მთავარია, იდეე-ბის მოლოდინში. ასეთ დროს ოჯახის შექმნაზე ვფიქრობ, თუმცა კარგად ვიცი, რომ ოჯახი გამოსავალი არ არის და ქრისტიანობაც ამიტომ მაინცდამაინც დიდად არ გვირჩევს ოჯახის შექმნას. მოსიყვარულე ცოლი და უსაყვარლესი შვილები მხოლოდ და მხოლოდ მძლავრი ტკივილგამაყ-უჩებელია, რომელიც დღითი დღე სულ უფრო და უფრო ნაკლებ ეფექტურად მოქმედებს; ქმარი – ცოლზე, შვილები – მშობლებზე, მშობლები – შვილებზე.

ვიძინებ. მებაღე ჯაბა მესიზმრება, უზარმაზარი ფო-ლადის მაკრატელი უჭირავს ხელებში და ბუჩქებს კრეჭს, თუმცა რომელ ბაღში ხდება ეს ამბავი, ვერ ვხვდები, არც ჯაბა მეუბნება, ალბათ იმიტომ, რომ არ ვეკითხები. სიზ-

მარი ფატალურია, თავისუფალი არჩევანის პრინციპი ამ სფეროში არ მოქმედებს. გამოღვიძებასაც კი ვერ ირჩევ.

– 4 –

საღამოსკენ მეღვიძება, ვამთქნარებ და ვიზმორები. პირი გამომშრალი მაქვს. ვდგები, აბაზანაში შევდივარ, შხაპს ვიღებ, თან რამდენიმე ყლუპ თბილ წყალს ვყლაპავ და პირი აღარ მაქვს გამომშრალი.

თხუთმეტი-ოცი წუთის შემდეგ ეზოში ვიწყებ სეირნობას, „მაქვს თუ არა გარეთ გასვლის უფლება?“ ვეკითხები საკუთარ თავს. „უნდა შევამოწმო“, ვიღებ გადაწყვეტილებას და ჭიშკრისკენ მივდივარ.

კაბინაში მჯდომ მორიგეს ვანიშნებ, რომ ჭიშკარი გამიღოს. ის არაფერს მეკითხება, ჭიშკარში ჩამონტაჟებულ პატარა კარს მიღებს. ამ კარს ბატონი ალექსანდრე „ადამიანის გასასვლელს“ უძახის. მე მომწონს ეს სიმბოლური სახელწოდება.

გარეთ გავდივარ, კარი ავტომატურად იკეტება. ჯიბეებს ვიჩხრეკ, ცოტა ფული მაქვს, შემიძლია კაფეში დავჯდე და ლუდი დავლიო. ცენტრალური გზისკენ მივდივარ. აქეთ-იქით ვიხედები. გაუცხოებული ვარ, უფრო სწორად, გადავეჩვიე ლუკმაპურისთვის წელში გაწყვეტამდე მომუშავე ადამიანებს. ახლა კვლავ მათ ვხედავ, ხელში პროდუქტებით სავსე პარკებით სახლებისკენ მიდიან, მუშაობით დაღლილები, საკუთარი ერთფეროვანი ცხოვრებით უკმაყოფილოები, რომ ოდესღაც სადღაც რაღაც არ გამოვიდა და მთელი ეს ტრაგიკული სისულელე ამ ოდესღაც სადღაც რაღაცის არგამოსვლის ბრალია.

ვუყურებ ამ ადამიანებს და ვგრძნობ, რომ არაფრით არ შემიძლია, დავეხმარო მათ. თანამედროვე სამყაროში სიკეთე მატერიაა. ასეთ დროს ფორმალისტური წიგნების წერა მინდება.

– 5 –

კაფეში შევდივარ, კუთხეში ვჯდები, ლუდს ვუკვეთავ და ლუდის მოლოდინში სიგარეტს ვეწევი. ლიტერატურის ისტორიაში არსებობს კაფეების მითი, ასევე ლეგენდარული კაფეები. ეს ლიტერატურის ისტორიის (ჩემთვის უკვე არასაინტერესო) კომერციული მხარეა. იყო დრო, როდესაც ასეთი რამეები ძალიან მაინტერესებდა, ბევრი წიგნი წავიკითხე ამის შესახებ. რაღაც-რაღაცეები დღემდე მახსოვს, თუმცა ძირითადი ინფორმაცია გაქრა, ისევე, როგორც ლიტერატურისადმი ჩემი მაშინდელი დამოკიდებულება.

ოფიციანტს ლუდი მოაქვს, მაგიდაზე დგამს კათხას და მიდის. კათხას ვიღებ და ლუდს ვწრუპავ, კათხას მაგიდაზე არ ვდგამ, მარჯვენა ხელში მიჭირავს. მარცხენაში – სიგარეტი. კაფეების მითის პერსონაჟობამდე ერთი ნაბიჯი მაცილებს, უფრო სწორად, ორი საგანი – გაშლილი ბლოკნოტი და ფანქარი. საკუთარ წარსულზე მეცინება. რა იყო ჩემთვის ლიტერატურა: იაფფასიანი პოპულარობის და გოგოების მოხიბვლის საშუალება.

– 6 –

ჭიშკართან ვდგავარ, ზარს ვრეკავ. პატარა კარი იღება. შევდივარ, ისეთი განცდა მაქვს, რომ სახლში დავბრუნდი, თუმცა კარგად ვიცი, რომ ეს ჩემი სახლი არ არის. ბევრი ლუდი დავლიე და.თავი მაქვს გასიებული. ლუდი მიყვარს, მაგრამ ლუდით დათრობა არა. ლუდი არ არის დასათრობი სასმელი.

სასახლესთან ალექსანდრე ჯაფარიძე მხვდება, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი დგას და მთვარეს უყურებს, ხელით მანიშნებს, რომ გვერდზე დავუდგე. ძაღლად ვგრძნობ თავს, მაგრამ პროტესტს არ გამოვთქვამ, რადგან ვხვდები, რომ ბატონი ალექსანდრე ასე განზრახ არ მექცევა, უბრალოდ ფიქრშია გართული და საკუთარ ჟესტებს ყურადღებას არ აქცევს.

ბატონ ალექსანდრეს გვერდზე ვუდგები, ის მხარზე ხელს

მხვევს და მე ვგრძნობ, რას განიცდის ძაღლი პატრონის მეგობრული შეხებისას. ეს სუბიექტური განცდა და დასკვნაა და არანაირი პრეტენზია არ აქვს მეცნიერულ ჭეშმარიტებაზე. უბრალოდ, ჩემთვის ვგრძნობ და ჩემთვის ვიცი.

ბატონი ალექსანდრე (მეორე) ხელს მთვარისკენ იშვერს და მეუბნება:

– მთვარე მზეზე მეტად მიყვარს, თუმცა ღამეს დღე მირჩევნია. სიყვარული არასდროს მოდის იდეალური გარემოთი. მთვარე მიყვარს, მაგრამ ღამე არა. მთვარე წარმოუდგენელია ღამის გარეშე, სიყვარული არასოდეს მოდის იდეალური გარემოთი, – იმეორებს ბატონი ალექსანდრე და დასძენს, – მთვარე მიზეზია, ხომ ხვდები? ადამიანებზე მინდა გელაპარაკო, – ბატონი ალექსანდრე მხარზე ხელს მიჭერს და მე ვპანიკდები: „გადახრები ხომ არ აქვს ამ კაცს?" ცრუ განგაშია, ბატონი ალექსანდრე ჩემი მხრიდან ხელს იღებს და მორცხვად მეუბნება:

– მიყვარს, – და თავსაც მორცხვად ხრის.

– 7 –

მთვარით და ლამპიონებით განათებულ ბაღში შევდივართ, სკამზე ვსხდებით, ბატონი ალექსანდრე ფეხს ფეხზე იდებს:

– საწყალი ჯაბა, კარგი კაცი იყო, – აფასებს გარდაცვლილ მებაღეს ბატონი ალექსანდრე. მე მინდა ვკითხო, ერთმანეთში მართლა ლათინურად საუბრობდნენ თუ მარიმ მოიგონა ეს ამბავი (მარის გახსენებაზე გული მიფართოვდება, მინდა რომ აქ იყოს. მენატრება), მაგრამ ვერ ვბედავ, – ახალი მებაღე ავსტრიიდან ჩამომყავს, – მაწვდის უახლეს ინფორმაციას ბატონი ალექსანდრე და მოულოდნელად ყოფითი თემიდან ყოფიერ საკითხზე გადადის, – ირაკლი, სიყვარულის გჯერა?

– ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ვალდებული ვარ მჯეროდეს, – ვამბობ ნახევრად ხუმრობით და მეც ფეხს ფეხზე ვიდებ.

– შენ მე ეხლა სიყვარულზე, როგორც იდეაზე, ისე მელაპარაკები, მე სულ სხვა რამე მაინტერესებს, სიყვარული, როგორც რეალობა.

– არავინ არ მყვარებია, – ვამბობ, – აქედან გამომდინარე, რეალური სიყვარული რა არის, არ ვიცი.

– მაგ არცოდნაზე უნდა წერო, – მირჩევს ბატონი ალექსანდრე, შემდეგ ფეხს ფეხიდან იღებს, მიწაზე დგამს და მეუბნება, – მე მიყვარს. თვითონ გრძნობა რეალურია, მაგრამ ვინც მიყვარს, ის მიწაზე არ ცხოვრობს, – გაკვირვებული და დაბნეული ვუყურებ ბატონ ალექსანდრეს, ის მიღიმის და ახსნა-განმარტებას განაგრძობს, – შვილო, – ასე პირველად მომმართავს ბატონი ალექსანდრე და ვგრძნობ, როგორ მეღვრება სითბო გულში და როგორ მენატრება არა სტატუსით, არამედ ყოველდღიურობაში ვიყო შვილი, – ჩემი ცოლი მიყვარს. ცოცხალი რომ იყო, არ მიყვარდა, ეხლა მიყვარს, – არ ვიცი რა ვთქვა, ფეხს ფეხიდან ვიღებ და მიწაზე ვდგამ, – მიყვარს, – იმეორებს ბატონი ალექსანდრე, – გრძნობა რეალურია, ეს სრულიად მაკმაყოფილებს და მიწიერი უკვდავების სურვილს მიათმაგებს.

– 8 –

ჭიშკართან ავტომობილების კოლონა დგას. ჭიშკარი ავტომატურად იღება და ავტომობილების კოლონა ეზოში შემოდის. კოლონა არ არის მრავალრიცხოვანი – სულ სამი მანქანა. სამივე ავტომობილის უკანა კარი ერთდროულად იღება და ავტომობილებიდან საპატიო სტუმრები (ასე მოიხსენია ისინი დილით ბატონმა ალექსანდრემ: „შუადღეზე საპატიო სტუმრები მოვლენ") გადმოდიან. მე მოვლენებს ჩემი ოთახის ფანჯრიდან ვადევნებ თვალს. დაცვის ბიჭები ავტომობილების საბარგულებს ხსნიან და საპატიო სტუმრების ბარგს იღებენ საბარგულიდან, ჩემოდნებს მიწაზე დგამენ, საბარგულებს კეტავენ, ჩემოდნებს იღებენ და სასახლეში მოაქვთ. რაც შეეხება საპატიო სტუმრებს, მათ თავად ბატონი ალექსანდრე მოუძღვის სასახლისკენ,

ულიმიან ერთმანეთს. აშკარაა, ზოგადი, აბსოლუტურად არასაქმიანი საუბარი აქვთ, როგორ იმგზავრეთ, კარგი ამინდებია და ა. შ.

ბატონი ალექსანდრე და საპატიო სტუმრები სასახლეში შემოდიან. მე ფანჯარას ვცილდები, სარკესთან ვდგები, საკუთარ თავს ვათვალიერებ და ოთახიდან გავდივარ და ერთ-ერთი საპატიო სტუმრის სანახავად მივდივარ, რადგან ეს საპატიო სტუმარი მამაჩემია.

– 9 –

მამას დერეფანში ვხვდები. მამა ჯერ გაოცებისაგან პირს აღებს, შემდეგ სიხარულისგან იღიმის. ერთმანეთს ვეხვევით. ვკითხულობთ და კვლავ ვეხვევით. მე და მამა ალექსანდრე ჯაფარიძისკენ ვიხედებით და ეშმაკურად ვულიმით. რა თქმა უნდა, ბატონმა ალექსანდრემ განზრახ არ მითხრა მამას მოწვევის ამბავი და განზრახ არ უთხრა მამას ჩემი აქ ყოფნის ამბავი. სიურპრიზი მოგვიწყო. მე არ მიყვარს სიურპრიზები, ვთვლი, რომ ცხოვრების ბუნებრივი ერთფეროვნების დაძლევის ხელოვნური და არაეფექტური საშუალებაა.

დანარჩენ ორ საპატიო სტუმარს ვესალმები, ხელს ვართმევ და ვეცნობი. ისინიც მესალმებიან, ხელს მართმევენ და მეცნობიან, რა თქმა უნდა, რიგრიგობით. პირველი ჩეხი გენეტიკოსი პაველ იაჩეკია, მეორე – ავსტრალიელი ქიმიკოსი სემ კეჰილი. გაცნობის შემდეგ ისინი მსახურებს მიჰყვებიან საკუთარი ოთახების სანახავად. რაც შეეხება მამას, ის ჯერ ჩემთან მოდის ოთახში.

დაშლამდე ბატონი ალექსანდრე საპატიო სტუმრებს ერთი საათის შემდეგ სადილზე ეპატიჟება.

– შენც მოდი, ირაკლი, – მეუბნება ბატონი ალექსანდრე.

– 10 –

მამა სავარძელში ჯდება, მე – საწერ მაგიდასთან. ერთმანეთს ვუცქერთ და ერთმანეთი გვიხარია.

– დედა რას შვება? – ვეკითხები.

– ჩიკაგოში დარჩა. შენ როგორ ხარ? აქ რას აკეთებ?

– მემუარების წერაში ვეხმარები ალექსანდრეს, – მხოლოდ სახელით ვიხსენიებ ბატონ ალექსანდრეს, – შენ როგორ ხარ?

– ვარ რა, ექსპერიმენტი გაიწელა, ახალი არაფერი არ არის, – მამა მარჯვენა ხელს იქნევს მაღლიდან დაბლა, – აქ ერთი კვირით ჩამოვედი, ალექსანდრეს რაღაცეები აინტერესებს, კარგ ფულს მიხდის. შენსას წერ რამეს? – მეკითხება მამა.

– არა, – ვეუბნები მამას. არ ვატყუებ, მართლა არ ვწერ, უკვე დავწერე, მაგრამ ამას აღარ ვეუბნები, არ მინდა ამ თემაზე საუბარი.

– ცუდია, – ასკვნის მამა, – უნდა წერო. საზოგადოდ მაინცდამაინც დიდი აზრი არ აქვს, დაწერ თუ არა, მაგრამ პირადად შენთვის ძალიან მნიშვნელოვანი რამ არის, თუ აღარ?

– არის, – თავს ვუქნევ მამას, – როგორც შენთვის შენი თეორია.

– არა. ჩემი თეორია თუ დამტკიცდა, რეალურად ბევრი რამე შეიცვლება ადამიანების ცხოვრებაში. ეხლა დაღლილი ვარ და მაგაზე ლაპარაკის თავი არ მაქვს, სხვა დროს გეტყვი, ჩემი აზრით რა განსხვავებაა მეცნიერებასა და ხელოვნებას შორის, – მამა დგება, – წავალ, ჩემ ოთახს ვნახავ და ცოტა აზრზე მოვალ, – მამა თვალს მიკრავს და მიდის.

-11-

გაწყობილ მრგვალ მაგიდას ვუსხდებით. მე მამას გვერდზე ვჯდები. ჩვენ პირდაპირ ჩეხი გენეტიკოსი და ავსტრალიელი ქიმიკოსი სხედან. მიუხედავად მრგვალი მაგიდის დემოკრატიული პრინციპისა, ალექსანდრე ჯაფარიძე ისე ზის, რომ სუფრის თავში მჯდომი მაინც ის გამოდის. შეიძლება მე მეჩვენება ასე, რადგან მე რეალუ-

რად ვიცი, ვინ ვინ არის, უფრო სწორად, არა მხოლოდ მე ვიცი, ყველამ იცის.

ერთმანეთში ინგლისურად საუბრობენ. მათი საუბრის შინაარსი კარგად მესმის, მაგრამ საუბარში ვერ ვერთვები, ამის საშუალებას ჩემი სალაპარაკო ინგლისური არ მაძლევს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საუბარში ჩემი ჩართვა მაინცდამაინც არავის აინტერესებს, რადგან ჰუმანიტარის აზრი ამ შემთხვევაში დიდად საინტერესო არ არის.

თანამედროვე ჰუმანიტარი გართობის ინდუსტრიის ერთ-ერთი წარმომადგენელია, მისი აზრი რეალურად არავის აინტერესებს, რადგან ჰუმანიტარული აზრის მიზანი ყოველთვის შინაგანია, რეალურად კი გარეგანი მიზნების ეპოქაში ვცხოვრობთ. ჰუმანიტარული აზრის ბუნება დიდი ხნის წინ გაირკვა, როდესაც ღმერთმა პირველი, სისტემურად ჩამოყალიბებული ჰუმანიტარული აზრი მიანოდა ადამიანებს ათი მცნების სახით. მას შემდეგ არაფერი შეცვლილა, მხოლოდ რამდენიმე ადამიანი შეიცვალა, რომელთა გულებზეც დღეს დგას კაცობრიობა (სიტყვა „მხრები" ამ შემთხვევაში სუსტი იქნებოდა).

– 12 –

აღარ ვფიქრობ. ვჭამ რაღაც სალათს და საუბარს ვუსმენ. ალექსანდრე ჯაფარიძე კითხვებს სვამს, მამა და სხვა საპატიო სტუმრები შეძლებისდაგვარად არამეცნიერულ, სასაუბრო ენაზე პასუხობენ. მე ვჭამ, უკვე შემწვარ კარტოფილს და ვუსმენ. ჯერჯერობით ალექსანდრე ჯაფარიძეს თავისი მთავარი შეკითხვა არ დაუსვამს და ალბათ დღეს, ყოველ შემთხვევაში სადილის განმავლობაში, არც დასვამს. ახლა ის აუცილებელ მოსამზადებელ სამუშაოებს ატარებს. არ არის ადვილი, პირდაპირ ჰკითხო ადამიანებს, შეგიძლიათ უკვდავად მაქციოთ თუ არ შეგიძლიათო და მით უმეტეს, არც პასუხის მოსმენაა ადვილი ამ კითხვაზე, რადგან დადებითი და უარყოფითი პასუხი ორივე ერთ-

ნაირად საშიშია. დანა-ჩანგალს თეფშზე ვაწყობ და ფორ-თოხლის წვენს ვსვამ.

მამა საკუთარ მიღწევებზე საუბრობს. უფრო სწორად, წინსვლებზე, რადგან მიღწევა მხოლოდ და მხოლოდ მისი თეორიის დამტკიცებას შეიძლება ეწოდოს.

მოულოდნელად ბატონი ალექსანდრე მამას ქართულად ეკითხება:

– ყველაფერი რომ დამტკიცდეს, ადამიანები დამშვიდ-დებიან?

– ჭეშმარიტება, ბატონო ალექსანდრე, დამამშვიდე-ბელი საშუალება არ არის, პირიქით, ადამიანებს დიდი ძალისხმევა დაჭირდებათ იმისთვის, რომ ჭეშმარიტება გადაიტანონ, – ქართულადვე პასუხობს მამა.

ჩეხი და ავსტრალიელი საპატიო სტუმრები დაბნეულად იღიმიან. მე ისევ ფორთოხლის წვენს ვსვამ.

– 13 –

ტრადიცია აღდგა, შეიცვალა მთავარი გმირი და მცირე დეტალი. საღამოს მამა შემოდის ჩემს ოთახში სიგარეტის მოსაწევად და აი, შეცვლილი მცირე დეტალი: მამას საკუ-თარი სიგარეტი და სანთებელა აქვს. საფერფლეს ვუწვდი, მამა მართმევს, სავარძელში ჯდება, საფერფლეს მარჯვენა ბარძაყზე იდებს და სიგარეტს უკიდებს.

პირველი ნაფაზის შემდეგ მეუბნება:

– შენი ოთახი ჩემ ოთახს ჯობია, – და მეორე ნაფაზს ურტყამს, ოთახს კიდევ ერთხელ ავლებს თვალს და მტკი-ცედ ასკვნის, – ჯობია, კი.

მამას სიგარეტს და სანთებელას ვართმევ, სიგარეტს ვუკიდებ. ოცდაორ წლამდე მამას თანდასწრებით სიგა-რეტს არ ვეწეოდი. მამას ამ ფაქტს ვახსენებ.

– ძალიან მსიამოვნებდა, ეგრე რომ იქცეოდი, მადლიერი ვიყავი, – მეუბნება მამა, – ომმა ხომ ყველაფერი მოსპო: მამაშვილობა, ძმობა, უფროს-უმცროსობა, ზოგადად ნორ-მალური ურთიერთობები ადამიანებს შორის, და ამ დროს

შენი შვილი სიგარეტს რომ არ გიბოლებს ცხვირწინ, იმედი გეძლევა.

„დაბერდა მამა“, ვფიქრობ. მინდა მივიდე და მივეფერო, მაგრამ რაღაც ძალა მაკავებს. მე არ ვიცი, რა ჰქვია ამ ძალას, მაგრამ ვიცი, რომ ეს იგივე ძალაა, რომელიც ოცდაორ წლამდე მამას თანდასწრებით სიგარეტს არ მაწევინებდა.

ჯერ მამა ფერფლავს სიგარეტს საფერფლეში, მერე – მე. მამას სიგარეტი პირისკენ მიაქვს, მე – არა, რადგან თავისუფალი პირი მჭირდება, შეკითხვა მაქვს მამასთან:

– შენი თეორიის დამტკიცების შემდეგ რა შეიცვლება ადამიანების ცხოვრებაში?

– ან შენ ხარ ალექსანდრეს გავლენის ქვეშ, ან პირიქით – შენ გააგიჟე სიბერეში კაცი, – ამბობს მამა და იცინის.

მეც ვიცინი, ოღონდ არა მამას ნათქვამზე. ხვალ ალექსანდრე ჯაფარიძე, უკვდავად მაქციეო, რომ ეტყვის მამას, მისი სახე მიდგება თვალწინ და მეცინება.

– მეტყვი თუ საიდუმლოა? – მთავარ თემას ვუბრუნდები.

– საიდუმლო არ არის, უბრალოდ ბუნდოვანია. დღეს მხოლოდ ერთი რამ შემიძლია ვთქვა: ცვლილებები იქნება გრანდიოზული, – ამბობს მამა და სიგარეტს საფერფლეში აქრობს, – პირდაპირ მკითხე, გაინტერესებს, რა ადგილი ექნება ქრისტეს ახალ სამყაროში, ხომ?

თავს ვუქნევ.

მამა დგება. საფერფლეს საწერ მაგიდაზე დებს. შარვალს ისწორებს და მეუბნება:

– ქრისტეს ადამიანები აინტერესებს და არა სამყარო. შენნაირი ადამიანები კიდევ ყოველთვის იყვნენ, არიან და იქნებიან. მე სამყაროს ვიკვლევ, ადამიანები არ მაინტერესებს და ალბათ ამიტომ ვერ შევხვდით ერთმანეთს მე და ქრისტე, – მამა მხარზე მიტყაპუნებს ხელს და ოთახიდან გადის.

„სამყაროს ადამიანის გარეშე რა აზრი აქვს“, ვფიქრობ და მხრებს ვიჩეჩავ.

ახალი მებაღის ჩამოსვლამდე მებაღის ფუნქციებს თავად ბატონი ალექსანდრე ასრულებს, მე მისი თანაშემწე ვარ. მაკრატელს ვაწვდი, ონკანს ვხსნი და სხვა მსგავს დამხმარე სამუშაოებს ვასრულებ. რომანის პერსონაჟები რომ ვიყოთ, ეს ყველაფერი იაფფასიანი სიმბოლიზმი იქნებოდა, მაგრამ რადგან სინამდვილეში ვართ, ამ ამბავს არანაირი სიმბოლური დატვირთვა არ აქვს.

მამა ფიზიკის ინსტიტუტში წავიდა თავისი კოლეგა ძმაბიჭების (თავად ეძახის ასე) სანახავად. ალბათ ცოტა მოილხენს კიდეც მათთან ერთად.

რაც შეეხება დანარჩენ საპატიო სტუმრებს, მათ ალექსანდრე ჯაფარიძე ბაღს ათვალიერებინებს. მე ამ ექსკურსიას მისი თანაშემწის სტატუსით ვესწრები, ხმას არ ვიღებ, მხოლოდ ალექსანდრე ჯაფარიძის სიტყვებზე ვაქნევ დროდადრო თავს და ვიღიმი.

ექსკურსია მოულოდნელად წყდება – ბატონ ალექსანდრეს მობილურ ტელეფონზე ურეკავენ. ბატონი ალექსანდრე ზარს პასუხობს:

– ჰო, შვილო.

„მარია“, ვფიქრობ.

ბატონი ალექსანდრე რამდენიმე ნაბიჯს დგამს განზე და მე აღარ მესმის მისი ლაპარაკი, სამაგიეროდ საპატიო სტუმრების დიალოგი მესმის:

– მშვენიერია, – ამბობს ჩეხი საპატიო სტუმარი.

– ნამდვილად, მაგრამ ქუჩებში ისეთი სიღარიბეა, რომ უხერხულად და არაადეკვატურად მიმაჩნია ასეთი ბაღი, ასეთი სახლი ამ ქვეყანაში, – საკუთარ პოზიციას აფიქსირებს ავსტრალიელი სტუმარი და მე დიდი ეჭვი მაქვს, რომ მას ცაცია პოლიტიკური შეხედულებები აქვს.

ალექსანდრე ჯაფარიძე საუბარს ასრულებს, მობილურ ტელეფონს ჯიბეში იდებს, ჩვენთან ბრუნდება, ბოდიშს უხდის სტუმრებს წუთიერი მიტოვებისთვის, ხოლო მე ქართულად მეუბნება:

– მარიმ მოგიკითხა.

თავს ვაქნევ და ვიღიმი ალექსანდრე ჯაფარიძის სიტყვებზე.

– 15 –

მამა ოდნავ მთვრალია და ძალიან აღშფოთებული. სავარძელში ზის და ნერვიულად ფერფლავს სიგარეტს საფერფლეში:

– ესე არ შეიძლება, ესეთი ფეხებზე დაკიდება არ შეიძლება, – ჩივის მამა, – კაი, ჭეშმარიტება არ გაინტერესებს, მაგრამ მთავრობა ხარ, მაგის დედა ვატირე, და გევალება, რომ იმ ადამიანებს, რომლებმაც ცხოვრება ჭეშმარიტების ძიებას მიუძღვნეს და შეალიეს, ნორმალური პენსია დაუნიშნო! გამათხოვრებული და გალოთებულია ხალხი, – მამა ხალხში თავის კოლეგა-ძმაბიჭებს გულისხმობს, – ქვეყანა კი არა, საღორეა! – ასკვნის მამა და სიგარეტი პირისკენ მიაქვს, ღრმა ნაფაზს არტყამს და ერთდროულად ცხვირიდან და პირიდან ბოლავს.

მამა სამართლიანად ბრაზობს, მაგრამ ვერ ვხვდები, რა საჭიროა ეს პათეტიკა: „ცხოვრება ჭეშმარიტების ძიებას მიუძღვნეს და შეალიეს". სისულელეა. ჭეშმარიტებას ძიება არ ჭირდება, ის ზედაპირზეა. მთავარი პრობლემა ჭეშმარიტების მიხედვით ცხოვრებაა, რადგან ჭეშმარიტების მიხედვით ცხოვრება ადამიანების მიერ საყოველთაოდ აღიარებულ კანონებს და წესებს ეწინააღმდეგება.

მამა ხვდება, რაზეც ვფიქრობ:

– ვიცი, ჩემი გამონათქვამები არ მოგწონს. შენთვის ეგ ადამიანები რეგრესს ემსახურებიან და არა ჭეშმარიტებას, შენნაირებისთვის მეცნიერება უაზრობაა, მაგრამ უნდა გახსოვდეს, რომ ყველაფერი, რითიც დღეს შენ სარგებლობ, მეცნიერებამ შექმნა.

მე, რა თქმა უნდა, შემიძლია ამ ძველისძველ არგუმენტს ასეთივე ძველისძველი პაციფისტური კონტრარგუმენტი დავუპირისპირო და ჩამოვთვალო რამდენიმე რაკეტის და

ბომბის სახელწოდება და ამის შემდეგ მამას საზეიმო იერით შევხედო, მაგრამ ეს ჩემს მთავარ სათქმელს დამაშორებს:

– მე უბრალოდ მგონია, რომ ადრე ადამიანები გაცილებით საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხებზე ფიქრობდნენ, როგორია ცა, როგორები არიან ანგელოზები, რა ემართება სულს სხეულიდან გასვლის შემდეგ... პროგრესი ჩემთვის ამ კითხვებზე პასუხის გაცემაა და არა იმის დადგენა, აფეთქებით დაიწყო ყველაფერი თუ სხვა რამით. ნებისმიერ შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ ღმერთის სიტყვაზე მომხდარ ფიზიკურ რეაქციასთან გვექნება საქმე.

– მოდი ჩემთან, – მამა სიგარეტს აქრობს, – და ფეხებთან დამიჯექი, ბავშვობაში ზღაპრის მოყოლის წინ რომ მიჯდებოდი, ისე.

დისკუსიას სენტიმენტალური გარემოება ცვლის: მამას მუხლებთან ვჯდები. მამა, როგორც ოდესღაც ბავშვობაში, მხრებზე ხელებს მაწყობს და ზღაპარს მიყვება:

– იყო და არა იყო რა, თავიდან იყო სიცარიელე და ეს სიცარიელე არსებობს დღემდე, – მამა მსუბუქად მიჭერს მხრებზე ხელებს.

– 16 –

ვწევარ. დღე დასრულდა. მამის ნახვით გამოწვეულმა სიხარულმა უკვე გადამიარა. ხვალიდან ყველაფერი ჩვეულებრივად იქნება ემოციების მხრივ, თორემ ძირითადი მოვლენების დაწყებას ზუსტადაც რომ ხვალიდან ველი. თვალებს ვხუჭავ და მარცხენა გვერდზე ვწვები, ვამთქნარებ და პირღიას კარზე კაკუნი მესმის. ვდგები, სინათლეს ვანთებ, საშინაო შარვალს ვიცვამ, ფეხებს ჩუსტებში ვყოფ და კარის გასაღებად მივდივარ. საკეტს ვატრიალებ და ღია კარში ალექსანდრე ჯაფარიძეს ვხედავ.

– შეიძლება?

ხანდახან მგონია, რომ ეს კაცი მაგრად დამცინის.

– რა თქმა უნდა, მობრძანდით, – ვეუბნები და მარჯვენა ხელით ოთახში ვეპატიჟები.

ალექსანდრე ჯაფარიძე ოთახში შემოდის, მე კარს ვკეტავ.

– გაგაღვიძე? – მეკითხება და სავარძელში ჯდება.

მე არეულ ლოგინს ვუყურებ და ვპასუხობ:

– არა, უბრალოდ ვიწექი.

– შეგიძლია გააგრძელო და დაწოლილი მელაპარაკო, – მეუბნება ბატონი ალექსანდრე.

– არა, რატომ, – ვუარობ და საწერ მაგიდასთან, სკამზე ვჯდები.

– არ მინდა, რომ შეგზღუდო.

– არ მზღუდავთ არანაირად.

ორივე ვხვდებით, რომ ეს ზედმეტად თავაზიანი საუბარი უაზრობაა, რადგან ბატონ ალექსანდრეს აქვს ჩემთან საქმე და არა პირიქით, მე – მასთან. საუბარს აზრიანს სწორედ ეს ხდის.

– 17 –

– ადამიანი როგორ მოკვდება, ხომ აქვს ამას მნიშვნელობა? – ამბობს ბატონი ალექსანდრე და მე ვხვდები, რომ ის საკუთარი ნაფიქრალის გამონაყოლშია, რადგან საუბარს (თუნდაც ძალიან მნიშვნელოვანს) ასე არ იწყებენ, – უაზროდ არ მინდა, რომ მოვკვდე, ჯაბასავით გული გამისკდეს, ან ვიღაცეებივით ლოგინად ჩავვარდე. ან მივიხრწნა და ძილში გავიპარო. სიკვდილს აზრი უნდა ქონდეს, დიდი აზრი, – ბატონი ალექსანდრე სახეზე ისვამს ხელისგულებს. ეს პანიკაა ხვალინდელი დღის წინ, – შენ როგორ წარმოგიდგენია შენი იდეალური სიკვდილი?

– მე... მე... – ორჯერ ვამბობ პირველი პირის ნაცვალსახელს მხოლობით რიცხვში, – არ ვიცი, მე, – მესამედ ვამბობ პირველი პირის ნაცვალსახელს მხოლობით რიცხვში, – სიკვდილის შემდგომი ამბები უფრო მაინტერესებს, უფრო სწორად, მეშინია, – კომპიუტერის კლავიატურაზე მსუბუქად ვარტყამ მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითს და ვიმეორებ, – მეშინია.

– შიშს აღიარება აქრობს, თუმცა ერთ შიშს მეორე შიში ანაცვლებს და გამოსავალი არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში, მე ვერ ვიპოვე. მთელი ჩემი ცხოვრება მეშინია. ბავშვობაში მამაჩემის მეშინოდა, დათვრებოდა და იარაღს გვიტენიდა მე და დედას, გვაგინებდა და მოკვლით გვემუქრებოდა, – ბატონი ალექსანდრე იღიმის, – საქმე როგორც უნდა წავიდეს, მემუარების წიგნი აღარ დაიწერება, ამიტომაც თამამად გიყვები ჩემ ამბებს. მერე მთელი ახალგაზრდობა ქალებთან ურთიერთობის მეშინოდა. ამიტომაც დავიწყე ფულის შოვნა. რა თქმა უნდა, დღეს ეს ყველაფერი სასაცილოა. მამა ერთი უბედური, შეუმდგარი კაცი იყო. რაც შეეხება ქალებს, ისინი ისეთივე საცოდავები არიან, როგორც კაცები, განსაკუთრებით საცოდავები ლამაზი ქალები და ნიჭიერი კაცები არიან. ორივე – სილამაზე და ნიჭი დროებითია, შური კი მუდმივი: ოდესღაც ხომ იყვნენ ლამაზები, ოდესღაც ხომ იყვნენ ნიჭიერები, შური მუდმივია. მაგრამ ეს არ არის ეხლა მთავარი, – ამბობს ბატონი ალექსანდრე, – ჩემი უკვდავების ამბავი თუ არ გამოვა, დღის წესრიგში ჩემი სიკვდილის საკითხი დადგება, როგორ უნდა მოვკვდე? რა დიდი აზრი უნდა ქონდეს ჩემ სიკვდილს? – პაუზა, – შენი აზრით ჩემნაირი ადამიანი როგორ უნდა მოკვდეს?

– არ ვიცი, – მხრებს ვიჩეჩავ.

– მე მგონი უფრო გერიდება თქმა, – მეუბნება ბატონი ალექსანდრე.

– არა, მართლა არ ვიცი, – კიდევ ერთხელ მსუბუქად ვარტყამ კომპიუტერის კლავიატურაზე მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითს. უცნაური და არც ისე სასიამოვნო საუბარი გვაქვს. დაძაბული ვარ.

– მე მაქვს ერთი ვარიანტი, – ალექსანდრე ჯაფარიძე სავარძლის სახელურებს ეყრდნობა და დგება, – უნდა მომკლან. როგორია? – მეკითხება და ოთახიდან ისე გადის, რომ ჩემს პასუხს არც ისმენს.

ჩემი პასუხი ასეთია:

– იქნებ უკვდავება გამოვიდეს?

– ეს ცოტა, – მამას მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი საფეთქელთან მიაქვს და წინ და უკან ატრიალებს, – ვერ არი, ხო იცი!

მე სამუშაო მაგიდასთან ვზივარ, კართან ატუზულ მამას ვუყურებ და ღიმილს ვიკავებ.

– ვიზე ლაპარაკობ? – ვითომ ვერ ვხვდები.

– ვიზე და ალექსანდრეზე, უკვდავად მაქციეთო. გიჟია.

– ბევრი ფული, ასაკი, – ვთვლი, – სიკვდილის შიში – ეს ყველაფერი უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანზე. შენ და ის ორი ალექსანდრეს იმედი ხართ, მეცნიერები, გლობალურად მოაზროვნე პიროვნებები.

– დამცინი? – მეკითხება მამა.

– არა, უბრალოდ ფაქტის კონსტატაციას ვახდენ.

– სიგიჟეა, კაცი მილიარდს იხდის და გვთხოვს, უკვდავად ვაქციოთ! სიგიჟეა, – იმეორებს მამა.

– სხვები რას ამბობენ? – ვეკითხები.

– დაბნეულები არიან.

– ისე, მილიარდი ძალიან დიდი ფულია, – ვამბობ მე.

– კი, ძალიან დიდი, მაგრამ როგორ ვაქციო უკვდავად, შეუძლებელია.

– მაშინ უთხარი, რომ არ შეგიძლია; აუხსენი, რომ შენი კვლევის ობიექტი სამყაროა და არა ადამიანი.

– და მილიარდი?

– თავის ძველ პატრონს დარჩება, – ვხვდები, რომ ამ წინადადებას შორისდებულით დასრულება მოუხდება, – ეჰ!

მამას მობილურ ტელეფონზე ურეკავენ. გამომდინარე იქიდან, რომ მამა ინგლისურად საუბრობს და პირობას დებს, რომ ხუთ წუთში ეზოში იქნება, ვხვდები, ვისაც ელაპარაკება – ერთ-ერთ საპატიო სტუმარს, ოღონდ კონკრეტულად რომელს, ამას ვერ ვხვდები.

შეხვედრას ექსპერტის სტატუსით ვესწრები.

– ჩვენ შორის თქვენ ყველაზე კარგად იცნობთ მისტერ ჯაფარიძეს, – მეუბნება ავსტრალიელი საპატიო სტუმარი, – როგორ ფიქრობთ, ის ნორმალური ადამიანია?

– სავსებით, – თავს ვუქნევ, – თუმცა, როგორც ნებისმიერ ნორმალურ ადამიანს, მასაც გარკვეული არანორმალურობები ახასიათებს.

მამა ჩემს სიტყვებს თარგმნის.

– თქვენ ფიქრობთ, რომ უკვდავების სურვილი ერთ-ერთი ასეთი არანორმალურობაა? – საუბარში ჩეხი საპატიო სტუმარი ერთვება.

– თავისთავად, უკვდავების სურვილი, ჩემი აზრით, სრულიად ნორმალურია, მაგრამ იმის დაჯერება, რომ სხვა ადამიანებმა შეიძლება უკვდავად გაქციონ, სისულელეა. და საერთოდ, რა საჭიროა იმის ძიება, რაც ისედაც ხარ, ჩვენ ხომ ყველა უკვდავები ვართ.

მამა ჩემს სიტყვებს პატიოსნად, მაგრამ დაძაბულად თარგმნის.

– ეს რწმენის საკითხია, – მიღიმის ავსტრალიელი საპატიო სტუმარი, – რადგან ჩვენ ამჟამად მოკვდავ მდგომარეობაში ვიმყოფებით. ერთადერთი, რაც ზუსტად ვიცით, ესაა, სხვა ყველაფერი რწმენის საკითხია.

– და თქვენ გგონიათ, რომ ეს ცოდნა რწმენის გარეშე რამენაირად ღირებულია?

მამა თარგმნის, თუმცა ვატყობ, რომ თარჯიმნის სტატუსი მაინცდამაინც არ აკმაყოფილებს და საცაა საუბარში ჩაერთვება.

– ვერ გეტყვით, – ავსტრალიელი საპატიო სტუმარი მხრებს იჩეჩავს.

– შეგვიძლია ცოდნას რწმენის ელემენტარული სახეობა ვუწოდოთ, – ამბობს ჩეხი საპატიო სტუმარი, – როდესაც ვამბობ, რომ შესაძლებელია კლონირება, მე ჩემს რწმენას გამოვხატავ და არა ჩემს ცოდნას. ცოდნა რწმენის არ-

სებული მონაცემებია. ჩემთვის გასაგებია, რატომ საუბრობდა ქრისტე იგავებით და არა ფორმულებით. ამის მიზეზი ხალხის მეცნიერული ცოდნის დაბალი დონე არ იყო – ქრისტეს იგავები თავისთავად ძალიან რთული გასაგებია (ყოველ შემთხვევაში ჩემთვის, და სწორედ ამიტომ მივატოვე სასულიერო სემინარია და მეცნიერებაში წავედი), მაგრამ ფორმულისგან განსხვავებით, იგავი ყოველთვის გიტოვებს არჩევანის უფლებას. ყველაზე ცნობილი და ამავე დროს ყველაზე დემოკრატიული და სამყაროს მრავალფეროვნების დამცველი ფარდობითობის თეორიის ფორმულაც კი არ გვაძლევს არჩევანის უფლებას – ყველაფერი ფარდობითია და მორჩა.

საუბარში მამა ერთვება:

– 20 –

– ეს ყველაფერი ძალიან საინტერესოა, მაგრამ შეგახსენებთ, რომ ჩვენ აქ სულ სხვა რამის გამო შევიკრიბეთ.

– დიახ, დიახ, – თავს უქნევს ჩეხი საპატიო სტუმარი მამას, – მაპატიეთ.

– თქვენი ნებართვით, შვილს ქართულად დაველაპარაკები, – ეუბნება მამა საპატიო სტუმრებს, – მომისმინე ირაკლი, ჩვენ არც ერთს არ გვინდა მილიარდის დაკარგვა, მაგრამ ალექსანდრეს დავალების შესრულება შეუძლებელია, ზოგადად შეუძლებელია, ხომ გესმის? პიროვნული ფაქტორი აქ არაფერ შუაშია, – თავს ვუქნევ მამას და საკუთარ თავს ვეკითხები: შემიძლია თუ არა, დავეხმარო მამას და სხვა საპატიო სტუმრებს მილიარდის მოპოვებაში. პასუხი უარყოფითია: არ შემიძლია, – არსებობს ერთი გარემოება – ალექსანდრე ჯაფარიძე ფულს წინასწარ იხდის, – მეუბნება მამა.

„ეს ძალიან უცნაური გარემოებაა“, ვფიქრობ.

– ჩვენ გადავწყვიტეთ, უბრალო წყალი შევუშხაპუნოთ ვენაში და ვუთხრათ, რომ ეს ახალი საცდელი პრეპარატია, შენ ჩვენზე კარგად იცნობ ალექსანდრეს და როგორ

გგონია, თუ გაიგებს რომ მოვატყუეთ, მოგვკლავს?

– სანამ არ მოკვდება, მანამ ვერ გაიგებს.

მამას თვალები უბრწყინდება, ჩემს სიტყვებს ინგლისურად თარგმნის ლაღად, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე, დანარჩენ საპატიო სტუმრებსაც თვალები უბრწყინდებათ. ხანდახან ადამიანები ელემენტარულ რაღაცეებს ვერ ხვდებიან, უცნაურია. მეღიმება.

ვხვდები, რომ უნებურად შეთქმულების მონაწილე გავხდი.

-21-

ეზოში ვდგავარ. სასახლიდან გამოსულ ალექსანდრე ჯაფარიძეს და საპატიო სტუმრებს ვხვდები. ყველა ერთად ვართ.

მამას და სხვა საპატიო სტუმრებს ხელში კეისები უჭირავთ, მათი ბარგი მსახურებს მიაქვთ მანქანებთან და საბარგულებში აწყობენ. წასვლაზე მეც ვფიქრობ. გუშინ ჩემი კუთვნილი თანხა ავიღე, უბრალოდ ბატონმა ალექსანდრემ მთხოვა რამდენიმე დღით შეყოვნება, მე დავთანხმდი. მამა და საპატიო სტუმრები მანქანებისკენ მიდიან. მე მათ დილით დავემშვიდობე, მამას მხურვალედ, სხვებს უბრალოდ – ხელის ჩამორთმევით.

– წასვლამდე გთხოვთ, ბაღში გავისეირნოთ, მცირე სიურპრიზი მაქვს თქვენთვის, – ალექსანდრე ჯაფარიძეს პატარა ჩანთა უჭირავს მარცხენა ხელში.

საპატიო სტუმრები კეისებით ხელში, ალექსანდრე ჯაფარიძე პატარა ჩანთით ხელში, ხოლო მე თავისუფალი ხელებით მივდივართ ბაღისკენ. ბაღში რამდენიმე ათეული მეტრის გავლის შემდეგ ალექსანდრე ჯაფარიძე ჩერდება, ვჩერდებით ჩვენც.

ალექსანდრე ჯაფარიძე პატარა ჩანთას ხსნის, პისტოლეტს იღებს, ტენის და მე მიწვდის:

– მესროლე, – პისტოლეტს ხელში მაჩეჩებს, – უკვდავი ვარ, ნუ გეშინია.

ყველა ყველაფერს ხვდება, თარგმნა არ არის საჭირო.

ალექსანდრე ჯაფარიძე რამდენიმე ნაბიჯს დგამს უკან და მიმეორებს:

– მესროლე, უკვდავი ვარ.

მამა და სხვა საპატიო სტუმრები დაძაბულები არიან, არც ერთი არ მეუბნება, რომ არ ვესროლო, რომ ალექსანდე ჯაფარიძე უკვდავი არ არის.

მე ვდგავარ პისტოლეტით ხელში და თანდათან ყველაფერს ვხვდები: ალექსანდრე ჯაფარიძემ ყველაფერი იცის და ეს მისი შეთქმულებაა ბანალური სიკვდილის წინააღმდეგ და არა მამასი და სხვა საპატიო სტუმრების შეთქმულება მის წინააღმდეგ. ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა მახსენდება და საბოლოოდ ნათელი ხდება ყველაფერი: ალექსანდრე ჯაფარიძემ იპოვა მდგომარეობა, რომელშიც სიკვდილი შეუძლია.

ახლა უკვე ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული.